კაშხლის უცნობი სისქეების განსაზღვრა გათვალისწინებულია რთული დაძაბული მდგომარეობის მოდიფიცირებული სიმტკიცის პირობიდან, რომელიც უზრუნველყოფს ყოველ წერტილში, მასალის გაჭიმვასა და კუმშვაზე სხვადასხვა წინააღობის გათვალისწინებით, დენადობის პირობას. ასეთი თაღოვანი კაშხლები შეიძლება მივაკუთვნოთ თანაბარი სიმტკიცის კატეგორიას, რაც განსაზღვრავს კაშხლის მინიმალურ მოცულობას (წონას) მასალის მექანიკური მახასიათებლების მაქსიმალურად გამოყენების საფუძველზე.

თაღოვანი კაშხლის მყისიერი გადასვლა პლასტიკურ მდგომარეობაში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს, მოცემული დატვირთვისა და სისქეების პირობებშიც, მისი შუა ზედაპირის რაციონალური მოხაზულობის საფუძველზე, მაგრამ ამ დროს მოხაზულობა კონსტრუქცია აღმოჩნდეს ტექნოლოგიურად მიუღებელი.

მომენტური გარსთა თეორიის გამოყენებით კაშხლის ტანის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა და საანგარიშო კვეთებში ოპტიმალური სისქეების დადგენა შეიძლება განისაზღვროს კერძოწარმოებულის, ცვლადკოეფიციენტთან გადამწვევტ

განტოლებათა სისტემით, რომელიც ნაშრომში წარმოდგენილია ხუთი წონასწორობის განტოლებით [2], სამი გარსის შუა ზედაპირის დეფორმაციათა სიჩქარის უწყვეტობის განტოლებით [6] და მყიფე-პლასტიკური მასალებისათვის რთული დაძაბული მდგომარეობის სიმტკიცის პირობით [7, 8]. ადამწვევტ განტოლებათა სისტემა, ცილინდრულ კოორდინატთა სისტემაში (ნახ. 1), შესაბამისი გარდაქმნების შემდეგ მიიღებს სახეს:



ნახ. 1. თაღოვანი კაშხლის საანგარიშო სქემა

$$\begin{aligned} \frac{\partial A_2}{\partial z} T_1 + A_2 \frac{\partial T_1}{\partial z} + 2 \frac{\partial A_1}{\partial \varphi} S + A_1 \frac{\partial S}{\partial \varphi} - \frac{\partial A_2}{\partial z} T_2 + \frac{A_1 A_2}{R_1} N_1 + A_1 A_2 q_1 &= 0; \\ 2 \frac{\partial A_2}{\partial z} S + A_2 \frac{\partial S}{\partial z} + \frac{\partial A_1}{\partial \varphi} T_2 + A_1 \frac{\partial T_2}{\partial \varphi} - \frac{\partial A_1}{\partial z} T_1 + \frac{A_1 A_2}{R_2} N_2 + A_1 A_2 q_2 &= 0; \\ \frac{\partial A_2}{\partial z} N_1 + A_2 \frac{\partial N_1}{\partial z} + \frac{\partial A_1}{\partial \varphi} N_2 + A_1 \frac{\partial N_2}{\partial \varphi} - \frac{A_1 A_2}{R_1} T_1 - \frac{A_1 A_2}{R_2} T_2 + A_1 A_2 q_3 &= 0; \\ \frac{\partial A_2}{\partial z} M_1 + A_2 \frac{\partial M_1}{\partial z} + 2 \frac{\partial A_1}{\partial \varphi} H + A_1 \frac{\partial H}{\partial \varphi} - \frac{\partial A_2}{\partial z} M_2 - A_1 A_2 N_1 &= 0; \\ 2 \frac{\partial A_2}{\partial z} H + A_2 \frac{\partial H}{\partial z} + \frac{\partial A_1}{\partial \varphi} M_2 + A_1 \frac{\partial M_2}{\partial \varphi} - \frac{\partial A_1}{\partial \varphi} M_1 - A_1 A_2 N_2 &= 0. \end{aligned}$$

$$\begin{aligned}
 & A_2 \frac{\partial M_2}{\partial z} + \left(\frac{\partial A_2}{\partial z} - \frac{A_2}{h^3} \frac{\partial h^3}{\partial z} \right) M_2 - \frac{\partial A_2}{\partial z} M_1 - \frac{A_1}{2} \frac{\partial H}{\partial \varphi} + \left(\frac{A_1}{2h^3} \frac{\partial h^3}{\partial \varphi} - \frac{\partial A_1}{\partial \varphi} \right) H + \\
 & + \left(\frac{h^2}{6R_2} \frac{\partial A_1}{\partial \varphi} - \frac{A_1 h}{6R_1} \frac{\partial h}{\partial \varphi} + \frac{h^2}{6R_1} \frac{\partial A_1}{\partial \varphi} \right) S + \left(\frac{A_2 h}{12R_1} \frac{\partial h}{\partial z} - \frac{h^2}{12R_1} \frac{\partial A_2}{\partial z} \right) T_2 + \frac{h^2}{12R_1} \frac{\partial A_2}{\partial z} T_1 + \\
 & + \frac{A_1 h^2}{6R_1} \frac{\partial S}{\partial \varphi} - \frac{A_2 h^2}{12R_1} \frac{\partial T_2}{\partial z} = 0; \\
 & A_1 \frac{\partial M_1}{\partial \varphi} + \left(\frac{\partial A_1}{\partial \varphi} - \frac{A_1}{h^3} \frac{\partial h^3}{\partial \varphi} \right) M_1 - \frac{\partial A_1}{\partial \varphi} M_2 - \frac{A_2}{2} \frac{\partial H}{\partial z} + \left(\frac{A_2}{2h^3} \frac{\partial h^3}{\partial z} - \frac{\partial A_2}{\partial z} \right) H + \\
 & + \left(\frac{h^2}{6R_1} \frac{\partial A_2}{\partial z} - \frac{A_2 h}{6R_2} \frac{\partial h}{\partial z} + \frac{h^2}{6R_2} \frac{\partial A_2}{\partial z} \right) S + \left(\frac{A_1 h}{12R_1} \frac{\partial h}{\partial \varphi} - \frac{h^2}{12R_2} \frac{\partial A_1}{\partial \varphi} \right) T_1 + \frac{h^2}{12R_2} \frac{\partial A_1}{\partial \varphi} T_2 + \\
 & + \frac{A_2 h^2}{6R_2} \frac{\partial S}{\partial z} - \frac{A_1 h^2}{12R_2} \frac{\partial T_1}{\partial \varphi} = 0; \\
 & \frac{12A_1 A_2}{h^2 R_2} M_1 + \frac{12A_1 A_2}{h^2 R_1} M_2 + F_1 \frac{\partial T_2}{\partial z} + F_2 T_2 + F_3 T_1 + F_4 \frac{\partial S}{\partial \varphi} + F_5 S - \frac{1}{A_1} \frac{\partial A_2}{\partial z} \frac{\partial T_1}{\partial z} + \\
 & + F_6 \frac{\partial S}{\partial z} + \frac{A_2}{A_1} \frac{\partial^2 S}{\partial z^2} - 2 \frac{\partial^2 S}{\partial \varphi \partial z} + F_7 \frac{\partial T_1}{\partial \varphi} + \frac{A_1}{A_2} \frac{\partial^2 T_1}{\partial \varphi^2} - \frac{1}{A_2} \frac{\partial A_1}{\partial \varphi} \frac{\partial T_2}{\partial z} = 0; \\
 & \rho \sigma_s^2 h^4 - (\rho - 1) \sigma_s (T_1 + T_2) h^3 - (T_1^2 - T_1 T_2 + T_2^2 + 3S^2) h^2 - \\
 & - 16(M_1^2 - M_1 M_2 + M_2^2 + 3H^2) = 0.
 \end{aligned} \tag{1}$$

(1) გადამწვევებ განტოლებათა სისტემის პირველი რვა განტოლებიდან განისაზღვრება საძიებელი შინაგანი ძალები და მომენტები T_1 , T_2 , S , M_1 , M_2 , H , N_1 , N_2 , რაც ცალსახა ამოხსნას ექვემდებარება. გარსის ოპტიმალური სისქეები h , რომელიც უზრუნველყოფს გარსის ორივე ზედაპირის თანაბარ სიმტკიცესთან მიახლოებას, განისაზღვრება მეცხრე განტოლებით. ამ უკანასკნელის ნაცვლად შეგვიძლია გამოვიყენოთ სიმტკიცის პირობა, რომელიც ზუსტად უზრუნველყოფს კაშხლის ერთ-ერთი წახნაგის მყისიერ გადახვლას ზღვრულ მდგო-

მარეობაში.

გადამწვევებ განტოლებათა სისტემაში A_1 და A_2 ლამეს პარამეტრებია კაშხლის შუა ზედაპირზე, რომელთა ანალიზური გამოსახულებანი, ნებისმიერი გეომეტრიის თაღოვანი კაშხლებისათვის, მოცემულია მონოგრაფიაში [2]. R_1 და R_2 – სიმრუდის მთავარი რადიუსები; q_1 , q_2 და q_3 – კაშხლის შუა ზედაპირის ერთეულ ფართობზე მოსული გარეგანი ძალების გვეგმილები; F_1, \dots, F_7 – კოეფიციენტები განისაზღვრება შემდეგი დამოკიდებულებებით:

$$\begin{aligned}
 F_1 &= \frac{2}{A_1} \frac{\partial A_2}{\partial z} - \frac{A_2}{A_1^2} \frac{\partial A_1}{\partial z} - \frac{A_2}{A_1 h^2} \frac{\partial h^2}{\partial z}, \\
 F_2 &= \frac{A_2}{A_1^2 h} \frac{\partial A_1}{\partial z} \frac{\partial h}{\partial z} - \frac{1}{A_1^2} \frac{\partial A_1}{\partial z} \frac{\partial A_2}{\partial z} - \frac{2}{A_1 h} \frac{\partial A_2}{\partial z} \frac{\partial h}{\partial z} + \frac{A_2}{A_1 h^3} \frac{\partial h^2}{\partial z} \frac{\partial h}{\partial z} - \\
 & - \frac{A_2}{A_1 h} \frac{\partial h^2}{\partial z^2} + \frac{1}{A_1} \frac{\partial^2 A_2}{\partial z^2} + \frac{1}{A_2^2} \frac{\partial A_2}{\partial \varphi} \frac{\partial A_1}{\partial \varphi} - \frac{1}{A_2} \frac{\partial^2 A_1}{\partial \varphi} + \frac{1}{A_2 h} \frac{\partial h}{\partial \varphi} \frac{\partial A_1}{\partial \varphi}, \\
 F_3 &= \frac{1}{A_1^2} \frac{\partial A_1}{\partial z} \frac{\partial A_2}{\partial z} + \frac{1}{A_1 h} \frac{\partial h}{\partial z} \frac{\partial A_2}{\partial z} - \frac{1}{A_1} \frac{\partial^2 A_2}{\partial z^2} + \frac{A_1}{A_2^2 h} \frac{\partial A_2}{\partial \varphi} \frac{\partial h}{\partial \varphi} - \\
 & - \frac{1}{A_2^2} \frac{\partial A_2}{\partial \varphi} \frac{\partial A_1}{\partial \varphi} - \frac{2}{A_2 h} \frac{\partial A_1}{\partial \varphi} \frac{\partial h}{\partial \varphi} + \frac{A_1}{A_2 h^3} \frac{\partial h^2}{\partial \varphi} \frac{\partial h}{\partial \varphi} - \frac{A_1}{A_2 h} \frac{\partial^2 h}{\partial \varphi^2} + \frac{1}{A_2} \frac{\partial^2 A_1}{\partial \varphi^2}
 \end{aligned}$$

$$\begin{aligned}
 F_4 &= \frac{1}{h^2} \frac{\partial h^2}{\partial z} - \frac{2}{A_2} \frac{\partial A_2}{\partial z}, \\
 F_5 &= \frac{2}{A_1^2} \frac{\partial A_1}{\partial z} \frac{\partial A_1}{\partial \varphi} - \frac{1}{h^3} \frac{\partial h^2}{\partial z} \frac{\partial h}{\partial \varphi} + \frac{2}{h} \frac{\partial^2 h}{\partial z \partial \varphi} - \frac{2}{A_1} \frac{\partial^2 A_1}{\partial z \partial \varphi} + \frac{2}{A_1 h} \frac{\partial A_1}{\partial \varphi} \frac{\partial h}{\partial z} + \\
 &+ \frac{2}{A_2^2} \frac{\partial A_2}{\partial \varphi} \frac{\partial A_2}{\partial z} - \frac{1}{h^3} \frac{\partial h^2}{\partial \varphi} \frac{\partial h}{\partial z} - \frac{2}{A_2} \frac{\partial^2 A_2}{\partial z \partial \varphi} + \frac{2}{A_2 h} \frac{\partial A_2}{\partial z} \frac{\partial h}{\partial \varphi}, \\
 F_6 &= \frac{1}{h^2} \frac{\partial h^2}{\partial \varphi} - \frac{2}{A_1} \frac{\partial A_1}{\partial \varphi}, \\
 F_7 &= \frac{2}{A_2} \frac{\partial A_1}{\partial \varphi} - \frac{A_1}{A_2} \frac{\partial A_2}{\partial \varphi} - \frac{A_1}{A_2 h^2} \frac{\partial h^2}{\partial \varphi}.
 \end{aligned} \tag{2}$$


სტატიკურად რკვევადი გადამწვეტ განტოლებათა სისტემა (1) შეიძლება ამოიხსნას შინაგან ძალებსა და მომენტებში, რაც გამორიცხავს მიღებულ შედეგებში კინემატიკური ხასიათის დაშვებების გავლენას. მეორეს მხრივ, ამ სისტემების ამოხსნა ანალიზური ხერხით პრაქტიკულად შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე მივედით იმ დასკვნამდე, რომ კაშხლის ტანის დაძაბული მდგომარეობის შესასწავლად ანუ გადამწვეტ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამოსახსნელად გამოვიყენოთ რიცხვითი, კერძოდ, სასრულო სხვაობათა მეთოდი [1, 4], ხოლო ფუძის გრუნტში და შესაბამისად, საკონტაქტო სიბრტყეში კაშხალი-ფუძე, აგრეთვე რიცხვითი მეთოდი, მხოლოდ სასრული ელემენტების სახით.

სასრულო სხვაობებში გადამწვეტ განტოლებათა სისტემების ჩასაწერად კაშხლის საკვლევი არის აპროქსიმაციას ვაწარმოებთ სასრულო-სხვაობითი ბადით [1, 3], რომელთა ღერძები პარალელურია Z და φ საკოორდინატო ღერძების (ნახ. 2). ბადის ბიჯი ვერტიკალური მიმართულებით მუდმივია და ტოლია a -სი, ხოლო ჰორიზონტალური მიმართულებით ბიჯი b_j ცვლადია და შეირჩევა იმ პრინციპით, რომ ბადის კვანძი შეუთავსდეს საკვლევი არის კონტურს [5]. გადამწვეტ განტოლებათა სისტემა სასრულო სხვაობებში იწერება ბადის თითოეული კვანძისათვის, რომელიც სასრული ელემენტების მეთოდით


განსაზღვრულ სასაზღვრო მნიშვნელობებთან ერთად, ქმნის მათემატიკურად კორექტულ ამოცანას. ცენტრალურ სასრულო სხვაობებში ასეთი ბადის (ნახ. 3) კერძო წარმოებულები შემდეგ სახეს მიიღებს:

$$\begin{aligned}
 \frac{\partial F}{\partial z} &= \frac{1}{2a} (F_{i+1,j} - F_{i-1,j}); \\
 \frac{\partial F}{\partial \varphi} &= \frac{P_j}{a \ell_j \ell_{j-1}} [F_{i,j+1} \ell_{i-1}^2 + F_{i,j} (\ell_{j-1}^2 - \ell^2)]; \\
 \frac{\partial^2 F}{\partial z^2} &= \frac{1}{a^2} (F_{i+1,j} - 2F_{i,j} + F_{i-1,j}); \\
 \frac{\partial^2 F}{\partial \varphi^2} &= \frac{2P_j}{a^2} [F_{i,j+1} \ell_j + F_{i,j-1} \ell_{j-1} - F_{i,j} (\ell_j + \ell_{j-1})]; \\
 \frac{\partial^2 F}{\partial z \partial \varphi} &= \frac{P_j}{2a^2 \ell_{j-1} \ell_j} [(F_{i+1,j+1} - F_{i-1,j+1}) \ell_j^2 + (F_{i-1,j-1} - F_{i+1,j-1}) \ell_{j-1}^2 + (F_{i+1,j+1} - F_{i-1,j+1}) (\ell_{j-1}^2 - \ell_j^2)], \\
 \text{სადაც } \ell_j &= \frac{a}{\varphi_{j+1} - \varphi_j}; \ell_{j-1} = \frac{a}{\varphi_j - \varphi_{j-1}}; \\
 P_j &= \frac{a}{\varphi_{j+1} - \varphi_{j-1}}.
 \end{aligned} \tag{3}$$

- აქ a არის ბიჯი z ღერძის გასწვრივ;
- b_j - ბადის ბიჯი φ ღერძის გასწვრივ;
- i - წერტილის ინდექსი z ღერძის გასწვრივ;
- j - წერტილის ინდექსი φ ღერძის გასწვრივ.



ნახ.2 ნამახვანის თაღოვანი კაშხლის მაგალითზე გაშლილი არის აპროქსიმაცია სასრულო სხვაობითი ზადით



ნახ. 3 სასრულო სხვაობათა ბაღე

(3) გამოსახულებით შეიძლება ადვილად ჩაიწეროს გადამწყვეტ განტოლებათა სისტემა, რომლის შემდგომი ამოხსნით დადგინდება კაშხლის ოპტიმალური პარამეტრები

ნახ. 4-ზე მოცემულია ნამახვანის თაღოვანი კაშხლის საანგარიშო სქემა სასრული ელემენტების მეთოდით გაანგარიშებისათვის. გაანგარიშება ჩატარებულია სტანდარტული პროგრამის საფუძველზე, რომლისთვისაც

გამოყენებულია: 6 თავისუფლების ხარისხიანი სამკვანძიანი სასრული ელემენტი სქელი გარსებისათვის; ოთხკვანძიანი უნივერსალური სასრული ელემენტი სქელი გარსებისათვის კვანძში 6 თავისუფლების ხარისხით; ფიზიკურად არაწრფივი მოცულობითი იზოპარამეტრული 8 კვანძიანი სასრული ელემენტი. გაანგარიშების შედეგები საანგარიშო კვანძებში მოცემულია ცხრილ 1-ში.


ცხრილი 1

შინაგანი ძალები და მომენტები კაშხლის საკონტაქტო ზედაპირისა და თავისუფალი კიდის საკვანძო წერტილებში

კვანძის №	ძალები საკონტაქტო კვანძებში							
	T(1), ტ/მ	T(2), ტ/მ	S, ტ/მ	M(1),ტ.მ/მ	M(2),ტ.მ/მ	H, ტ.მ/მ	N(1), ტ/მ	N(2), ტ/მ
1.1	0.000	-21.000	0.000	0.000	-120.000	0.000	0.000	35.000
1.2	0.000	-25.000	0.000	0.000	-120.000	0.000	0.000	30.000
1.3	0.000	-60.000	0.000	0.000	600.000	0.000	0.000	35.000
1.4	0.000	-100.000	0.000	0.000	900.000	0.000	0.000	50.000
1.5	0.000	-130.000	0.000	0.000	1200.000	0.000	0.000	80.000
1.6	0.000	-190.000	0.000	0.000	900.000	0.000	0.000	70.000

ცხრილი 1 (გაგრძელება)

კვანძის №	ძაღვები საკონტაქტო კვანძებში							
	T(1), გ/მ	T(2), გ/მ	S, გ/მ	M(1),ტ.მ/მ	M(2),ტ.მ/მ	H, ტ.მ/მ	N(1), გ/მ	N(2), გ/მ
1.7	0.000	-190.000	0.000	0.000	-50.000	0.000	0.000	5.000
1.8	0.000	-200.000	0.000	0.000	-500.000	0.000	0.000	-20.000
1.9	0.000	-210.000	0.000	0.000	-1200.000	0.000	0.000	-140.000
1.10	0.000	-210.000	0.000	0.000	-1400.000	0.000	0.000	-100.000
1.11	0.000	-210.000	0.000	0.000	-1700.000	0.000	0.000	-80.000
1.12	0.000	-210.000	0.000	0.000	-2100.000	0.000	0.000	-40.000
1.13	0.000	-210.000	0.000	0.000	-2200.000	0.000	0.000	50.000
1.14	0.000	-200.000	0.000	0.000	-1800.000	0.000	0.000	100.000
1.15	0.000	-190.000	0.000	0.000	-1400.000	0.000	0.000	140.000
1.16	0.000	-170.000	0.000	0.000	-20.000	0.000	0.000	120.000
1.17	0.000	-155.000	0.000	0.000	800.000	0.000	0.000	100.000
1.18	0.000	-140.000	0.000	0.000	1000.000	0.000	0.000	10.000
1.19	0.000	-110.000	0.000	0.000	1200.000	0.000	0.000	-20.000
1.20	0.000	-90.000	0.000	0.000	900.000	0.000	0.000	-30.000
1.21	0.000	-40.000	0.000	0.000	500.000	0.000	0.000	-30.000
1.22	0.000	-40.000	0.000	0.000	500.000	0.000	0.000	30.000
1.23	0.000	-30.000	0.000	0.000	600.000	0.000	0.000	-50.000
1.24	0.000	-20.000	0.000	0.000	120.000	0.000	0.000	-35.000
2.2	-30.701	-110.804	3.517	293.412	200.505	-170.179	-55.116	91.794
3.3	-55.478	-114.618	15.907	687.822	299.880	-353.671	-165.373	210.393
4.4	-77.875	-113.767	29.456	170.683	121.041	-242.007	-249.783	261.108
5.5	-99.314	-108.191	64.326	-485.110	-822.090	676.955	-148.706	312.792
6.6	-106.735	-108.595	88.069	-443.346	913.505	57.105	53.542	-141.743
7.7	-118.786	-132.252	105.803	-492.153	-722.375	-233.605	42.363	-55.150
8.8	-143.037	-115.623	113.087	-7452.413	-7643.700	4337.460	542.718	52.358
9.9	-138.264	-109.884	93.722	-8682.825	-4744.695	2724.585	183.132	-139.429
10.10	-107.913	-134.683	82.617	-3473.115	-349.765	-1382.138	-250.336	-316.390
11.11	-79.396	-110.685	63.807	-4594.110	-1124.470	-66.322	-242.112	-1585.232
12.12	-57.528	-50.129	39.359	-2170.917	-2213.863	1715.832	65.907	-1061.744
12.13	-57.528	-50.129	39.359	-2170.917	-2213.863	1715.832	65.907	-1061.744
11.14	-106.999	-116.960	80.550	1838.920	-3286.885	1025.638	360.111	1026.836
10.15	-149.562	-130.501	122.284	78.870	31.985	-191.822	60.340	422.292
9.16	-171.061	-138.373	135.953	667.945	1503.900	-1741.780	202.952	-261.288
8.17	-156.835	-166.836	131.614	566.845	2869.160	-1901.990	222.027	493.434
7.18	-141.196	-142.481	115.037	-735.023	2727.740	-156.305	-98.862	-477.184
6.19	-126.601	-112.934	89.592	-363.078	2363.025	-1397.875	24.677	-517.953
5.20	-83.423	-101.372	75.239	-879.006	2371.635	-1010.200	64.978	-429.673
4.21	-55.891	-75.660	57.089	-978.344	994.325	-571.957	-192.531	-197.817
3.22	-53.316	-37.275	29.595	-578.627	294.167	-239.654	-46.774	-94.166
2.23	-68.107	-25.747	25.294	-196.393	149.688	-62.748	60.622	-68.918



ნახ. 4. ნამახვანის თაღოვანი კაშხლის ტანის აპროქსიმაცია სასრული ელემენტებით

დასკვნა

ნაშრომში ჩამოყალიბებულია თაღოვანი კაშხლებისათვის გადამწყვეტ განტოლებათა სისტემა ცხრა განტოლებით. სისტემის ამოხსნით განისაზღვრება რვა შინაგანი ძალოვანი ფაქტორი და კაშხლის საანგარიშო წერტილებში სისქე, რომელიც უზრუნველყოფს კაშხლის ტანის ტოლწინააღობას

სიმტკიცეზე. კაშხლის საკონტაქტო ზედაპირსა და თავისუფალი კიდის (ქიმის) წერტილებში უცნობი შინაგანი ძალები განისაზღვრება სასრული ელემენტების მეთოდით, სისტემისათვის კაშხალი-ფუძე, კაშხლის მუშაობის რეალური პირობების გათვალისწინებით.

ლიტერატურა

1. **Вазов З.В., Форсайт Дж.** Разностные методы решения дифференциальных уравнений в частных производных. М.; ИЛ., 1963, 487 с.
2. **Геденидзе З.Ш.** Напряжённо-деформированное состояние оболочечных гидротехнических конструкций и сооружений, Тбилиси, ГТУ, 2001, 202 с.
3. **Гун С.Я., Хохлова Н.В.** Апробация расчёта арочных плотин по трёхмерной теории упругости Труды Гидропроекта, №38, 1973, с. 16-21.
4. **Демидович Б.П., Марон Н.А.** Основы вычислительной математики. М., Наука, 1970, 66 с.
5. **Ломбардо В.Н., Фрадкин Б.В.** Расчёт арочной плотины на основе решения пространственной задачи теории оболочек. //ж. Гидротехническое строительство, №6, 1987, с. 36-42.
6. **Микеладзе М.Ш.** Статика аниотронных пластичных оболочек. АН ГССР, Тбилиси, 1963, 118 с.
7. **Надаи А.** Пластичность и разрушение твёрдых тел. М-Л., ИЛ, 1954, с. 505-515.
8. **Stassi D'Alia R.** Flow and Fracture of Materials. Palermo instito Di technologie Meccaniche. Facolta D' Ingegneria, 1966.

კატასტროფული ტალღის მათემატიკური მოდელირება
ზონკარის კაშხლის ბარჯვევის შემთხვევაში

თეიმურაზ გველესიანი,¹ გიორგი ბერძენაშვილი²
E-mail: tgveles@yahoo.com

- 1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მ. კოსტავას ქ. 77, 0175, ქ. თბილისი, საქართველო
2) შპს „BSC“
პეკინის ქ. 34, ქ. თბილისი, საქართველო

შეჯამება

მთისა და მთისწინა რაიონების მიწის რესურსების დაცვის, მათი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებისა და გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების პრობლემები უშუალოდ დაკავშირებულია სამედიცინო დანიშნულების ჰიდროკვანძების ნაგებობათა საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფის ამოცანებთან ექსტრემალური პირობების გათვალისწინებით.

აღნიშნული ექსტრემალური პირობები გამოხატულებას პოულობს მთიან და მთისწინა სეისმოაქტიურ რაიონებში (რომლებიც საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს) ისეთი მსხვილმასშტაბიანი გეოდინამიკური პროცესების სახით, როგორცაა მეწყერები და სეისმოტექტონიკური დისლოკაციები (რომლებიც ვლინდება დედამიწის ზედაპირზე, როგორც ე.წ. პირველადი ნარჩენი დეფორმაციები). ამ გეოდინამიკური პროცესების შედეგად წყალსაცავში შეიძლება წარმოიქმნას მაღალი დამანგრეველი, ცუნამის ტიპის ტალღები [1-4].

როგორც ჰიდროტექნიკური მშენებლობის მრავალწლიანი პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ ტალღების ზემოქმედებისას კაშხალზე, კერძოდ მათი გადაღინების შედეგად, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქვედა ბიუფში, როგორც ფართო ტერიტორიების, მათ შორის სავარგულების დატბორვას, ასევე საირიგაციო, სატრანსპორტო და სხვა სისტემების ნგრევას. ზოგჯერ ამ მოვლენებს თან სდევს ეკო-

ლოგიური კატასტროფა დასახელებული ობიექტების მოსპობისა და ადამიანთა მსხვერპლის სახით (როგორც ეს მოხდა იტალიაში 1963 წ. ვაიონტის წყალსაცავში კატასტროფული მეწყერის ჩამოხვევების შედეგად) [3].

მსგავსი კატასტროფული მოვლენები შეიძლება მოხდეს ისეთ საგანგებო სიტუაციებში (განსაკუთრებულ პირობებში), როგორცაა ომი ან ტერორისტული აქტი, როდესაც ხდება კაშხლის აფეთქება და მისი ნაწილობრივი ან მთლიანი ნგრევა, რის შედეგად კაშხლის გარღვევით გამოწვეული კატასტროფული ტალღა ვრცელდება ქვედა ბიუფში [4].

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, თუ რა დიდი სოციალური, ეკოლოგიური და ტექნიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭება ჰიდროკვანძების, კერძოდ კი სამედიცინო დანიშნულების ჰიდროკვანძების (რომელთა შემადგენლობაშია უმეტესწილად, მიწისა და ქვაყრილი კაშხლები) საიმედო მუშაობის უზრუნველყოფას ექსტრემალური პირობებში და გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შექცევისდაგვარად შენარჩუნებას (ან ეკოლოგიური საფრთხის შემცირებას), მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების საფუძველზე.

აღნიშნულთ, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში კაშხლის გარღვევით გამოწვეული ტალღის ქვედა ბიუფში მდინარის კალაპოტში

მოძრაობის კომპიუტერული პროგრამა პირველად დამუშავებულ იქნა პროფ. ვ.ს. ლიატხერის ხელმძღვანელობით 1973-75 წწ. [5]. საქართველოში ამ პროგრამის საფუძველზე 80-ანი წლების დასაწყისში გათვლილ იქნა ჟინვალის კაშხლის დანგრევის შედეგად ტალღის ტრანსფორმაცია მისი გავრცელების მთელ სიგრძეზე (მდინარეების არაგვისა და მტკვრის კალაპოტებში) და განხორციელებულ იქნა აგრეთვე, პროფ. გ. გვაზავას ხელმძღვანელობით მსხვილმასშტაბიანი ნატურული ექსპერიმენტი [6]. ბოლო წლებში პროფ. გ. გავარდაშვილმა ჩაატარა აღნიშნული პარამეტრების გათვლა "ოპერატიული" მეთოდის საფუძველზე [7] საქართველოს მთელი რიგი კაშხლის მაგალითზე და მიიღო საინტერესო შედეგები საგანგებო სიტუაციებში ჰიდროკვანძის რაიონების უსაფრთხოების წინასწარი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით [4, 7].

წინამდებარე სტატია ეძღვნება შედეგებს, რომლებიც ეხება მდ. პატარა ლიახვზე განლაგებული ზონკარის ირიგაციული დანიშნულების ჰიდროკვანძის კაშხლის გარღვევით განპირობებული ტალღის ყველა პარამეტრის მათემატიკურ პროგნოზირებას. აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებული პროექტი განხორციელებულ იქნა პროფ.

თ. გველესიანის ხელმძღვანელობით [10]. კომპანია „BP“-ს („ბრიტანული ნავთობი“) დაფინანსებით და "საქწყალპროექტის" დაკვეთით. მანამდე შესრულებულ იქნა აგრეთვე, ანალოგიური პროექტები ალგეთისა და სიონის კაშხლებისათვის (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) [11].

უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ საქართველოს ჰიდროტექნიკური მშენებლობის ისტორიაში ეს პროექტები იყო პირველი, რომლებიც არ სრულდებოდა ე.წ. „დახურული“, გასაიდუმლოებული თემატიკით, როგორც ეს ყოფილ საბჭოთა კავშირში წარმოებდა, ამდენად, ხდება შესაძლებელი, რომ ინჟინერთა და სპეციალისტთა ფართო წრე ღიად გაეცნოს პროექტის შედეგებს და მომავალში თუ საჭიროა, გამოიყენოს კიდევ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ აღნიშნული პროექტების განხორციელება წარმოებდა შემსრულებელ მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ (თ. გველესიანი, გ. ბერძენაშვილი) საქართველოში კონკრეტული ობიექტებისათვის პირველად დამუშავებული ტალღის მოძრაობის *საკუთარი კომპიუტერული პროგრამის „GBDBW“* საფუძველზე, რომელიც სათანადოდ აპრობირებულია და ადაპტირებული რთული მთიანი რელიეფის სპეციფიურობის გათვალისწინებით.

ემსტრემალურ პირობებში ჰიდროკვანძის ბიეფეზი წყლის ტალღური პროცესების შესწავლის თეორიული მეთოდები

სხვადასხვა ტიპის წყალსაცავში წყლის ტალღური მოძრაობის მათემატიკური მოდელირების მიზნით გამოიყენება დიფერენციალურ განტოლებათა სისტემები, რომლებიც ფუნდამენტურ ჰიდრომექანიკურ კანონებს ასახავს. ეს არის მოძრაობის უწყვეტობის (მასის შენახვის) და ენერჯის შენახვის (მოძრაობის რაოდენობის შენახვის) ამსახველი არაწრფივი განტოლებების სისტემები. პრაქტიკაში, საინჟინრო ამოცანების ამოხსნისას, ჩვეულებრივ, მიმართავენ მიახლოებით თეორიებს, რომლებიც გარკვეულ დაშვებებსა და გამარტივებას ეფუძნება. პირველი არის იდეალური სითხის პოტენციური მოძრაობის თეორია ანუ ე.წ. *მცირეამპლიტუ-*

დის ტალღების (მატ/SAW) თეორია, რომელიც გამოიყენება ძირითადად, წყალსაცავებში (ზედა ბიეფეზში) ტალღური პროცესების შესწავლის მიზნით [4, 9].

ქვედა ბიეფში ტალღის მოძრაობის შესასწავლად გამოიყენება ე.წ. *მარჩხი წყლის (მწ/SW) თეორია*, რომლის თანახმად, ტალღის სიმაღლე წყალსატევის სიღრმესთან შედარებით შეიძლება არ იყოს მცირე; გაითვალისწინება აგრეთვე, კალაპოტის ფსკერზე მოქმედი ხახუნის ძალები და კალაპოტის ქანობი. მთავარი დაშვება ამ თეორიაში არის ის, რომ ნაკადის სიჩქარეები მისი სიღრმის (ვერტიკალური Z ღერძის) მიხედვით არ იცვლება ანუ მიიღება, რომ

სიჩქარის ვერტიკალური მდგენელი ნულის ტოლია. ამგვარად, წნევის განაწილება სითხეში პირდაპირ პროპორციულია სიღრმისა და ემორჩილება ჰიდროსტატიკის კანონს [3, 8, 9].

მარჩხი წყლის თეორიის საფუძველზე შეიძლება განხილულ იქნეს, მხოლოდ ერთგანზომილებიანი ან ორგანზომილებიანი (გეგმაში) წყლის მოძრაობის შემთხვევები.

მარჩხი წყლის ერთგანზომილებიან უწყვეტობისა და მოძრაობის განტოლებათა სისტემა [8, 9] შეიძლება ჩაიწეროს ასე:

$$\frac{\partial \omega}{\partial t} + \frac{\partial Q}{\partial x} = 0, \quad Q = U\omega \quad (1)$$

$$\frac{1}{g\omega} \left[\frac{\partial \omega}{\partial t} + \frac{\partial}{\partial x} (QU) \right] + \frac{\partial h}{\partial x} = i_0 - \lambda \frac{U |U|}{2gR}, \quad (2)$$

$$\lambda = \frac{2g}{C^2}$$

სადაც h არის წყლის ნაკადის სიღრმე;

U – დინების საშუალო სიჩქარე;

i_0 – კალაპოტის ფსკერის ქანობი;

ω – განივკვეთის ფართობი;

Q – ნაკადის ხარჯი;

x – გრძივი კოორდინატა;

t – დრო;

λ – ჰიდრაულიკური ხახუნის კოეფიციენტი;

R – ჰიდრაულიკური რადიუსი;

C – შეზის კოეფიციენტი (მანინგის ფორმულის თანახმად ის ტოლია

$C = (1/n)R^{1/6}$, სადაც n – კალაპოტის სორკლიანობის კოეფიციენტი).

ზონკარის კაშხლის რღვევით გამოწვეული ტალღის მათემატიკური მოდელირება

ზონკარის კაშხალი, წარმოადგენს მიწის კაშხალს თიხოვანი გულით, რომლის ზედა და ქვედა პრიზმა შედგება ალუვიალური გრუნტისაგან:

- კაშხლის მაქსიმალური სიმაღლეა 71.0 მ;
- მისი სიგრძე ქიმის გასწვრივ არის 455.0 მ;
- ქიმის ნიშნულია 1221,0;
- ქიმის სიგანეა 10.0 მ;

წყალსაცავის ძირითადი პარამეტრებია:

მაქსიმალური შეტბორვის დონის (მშშ) ნიშნული – 1219.0;

ნორმალური შეტბორვის დონის (ნშტ) ნიშნული – 1217.0;

მკვდარი მოცულობის დონის (მკმშ) ნიშნული – 1167.0;

წყალსაცავის მოცულობა – 40,3 მლნ.მ³ (ნშშ-ის დროს);

სასარგებლო მოცულობა – 39,0 მლნ.მ³;

მკვდარი მოცულობა – 1,3 მლნ.მ³;

წყალსაცავის სიგრძე – 4,1 კმ;

ფსკერის ნიშნული – 1150.0;

წყალსაცავის ზედაპირის სარკის ფართობი (Ω) 146.9×10⁴ მ² (ნშშ-ის დროს).

ძველ ტექნიკურ ანგარიშში მოყვანილი მონაცემების დამუშავების საფუძველზე თ. გველესიანის მიერ მიღებულ იქნა შემდეგი სახის აპროქსიმაციული დამოკიდებულებები, წყალსაცავში წყლის სიღრმესა (h) და მოცულობას (W) შორის:

$$W = (0.07h)^{2.4} \quad (3)$$

$$h = 14.29(W)^{0.418} \quad (4)$$

ამ ფორმულების საშუალებით მიღებული გათვლების შედეგი 5% სიზუსტით ემთხვევა რეალურ მონაცემებს, ანუ არსებული წყალსაცავის მოცულობების მრუდს. შევაფასოდ (4) ფორმულის დახმარებით სიღრმეებისა და შესაბამისად ნიშნულების მნიშვნელობები, რომლებიც შეესაბამება წყალსაცავის დონის დამუშავების სხვადასხვა შემთხვევას (ცხრ. 1).

ცხრილი 1

W მლნ.მპ	W ^{max}	0.75 W ^{max}	0.5W ^{max}	0.25W ^{max}
∇H	1217.0	1209.0	1200.0	1187.0
h	67	59.30	50.1	37.5

კაშხლის ნგრევით წარმოქმნილი ტალღის ქვედა ბიფში გავრცელების პროცესის მათემატიკური მოდელირების მიზნით, გარდა წყალსაცავის მოცულობისა, საჭიროა გვექნოდეს აგრეთვე, მდ. პატარა და დიდი ლიახვის, აგრეთვე მტკვრის კალაპოტის განივკვეთები ტალღის გავრცელების მთელ ტრასაზე.

წინამდებარე ნაშრომში მიღებულ ტალღის გავრცელების კომპიუტერულ პროგრამაში არსებული ტოპოგრაფიული მონაცემების ჩატვირთვის (გამოყენების) მიზნით, შედგენილ იქნა ამ მონაცემების ინტერპოლაციური დამუშავების ახალი სპეციალური ქვეპროგრამები.

ეს ქვეპროგრამები საშუალებას იძლევა თითოეული განივკვეთისათვის არსებული მონაცემების კომპიუტერულ-ინტერპოლაციური წესით დამუშავების შედეგად და ამ გზით მიღებული რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე ათასეული წერტილის მონაცემების ბაზაზე, გრაფიკულად გამოვსახოთ მდინარის კალაპოტის თითოეული განივკვეთი იმ ფორმით, რომელიც მაქსიმალურად უახლოვდება ბუნებრივს და თითქმის მისი იდენტური ხდება (ნახ. 1). აღნიშნული მეთოდით ნაშრომში [10] აგებულ იქნა 17 განივკვეთი. შესაბამისი კომპიუტერული დამუშავების შედეგად განხორციელებულია აგრეთვე, სივრცეში ამ განივკვეთების დაკავშირების პროცედურა ანუ მდინარის მთლიანი კალაპოტის გრაფიკული აპროქსიმაცია ტალღის გავრცელების მთელ სივრცეზე (იხ. მაგალითად ნახ. 2). ტოპოგრაფიული მონაცემების აღნიშნული კომპიუტერული დამუშავების ახალი მეთოდის გამოყენება ემსახურება, განსახილველი პროცესის მათემატიკური მოდელირების, ძველ მეთოდთან შედარებით უფრო მაღალი სიზუსტით განხორციელებას.

(1)-(2) განტოლებათა სისტემის ამოხსნის მიზნით ჩვენ მიერ გამოყენებული იყო სასრულ-სხვაობითი მეთოდი. შესაბამისი გათვლის სქემის შესახებ მოკლედ აღვნიშნოთ შემდეგი. როგორც ცნობილია [9], „ცხადი სხვაობითი სქემების“ გამოყენებისას ჰიდრავლიკური ცვლილების განსაზღვრა რომელიმე დროის დონეზე, წარმოებს იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ცნობილია დროის წინა დონეზე (წინა წერტილებში). ლაქსი-ვენდროფის სქემის თანახმად, გამოთვლები წარმოებს ე.წ. ორ-ბიჯიანი სქემით [9]. ამ შემთხვევაში პირველ საანგარიშო ბიჯზე წარმოებს საძიებელი ფუნქციის F_j^n -ის შუალედური მნიშვნელობის განსაზღვრა $j + (1/2)$ და $n + (1/2)$ წერტილებში, ხოლო მეორე ბიჯზე ფუნქციის ამ შუალედური მნიშვნელობის საშუალებით F_j^{n+1} ფუნქციის პოვნა დროის ახალი $(n+1)$ დონისათვის. ზემოაღნიშნულის თანახმად, გათვლების პროცედურა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

$$F_j^n \xrightarrow{\text{I ბიჯი}} F_{j+\frac{1}{2}}^{n+\frac{1}{2}} \xrightarrow{\text{II ბიჯი } (\Delta t/2)} F_j^{n+1}$$

ჩვენ მიერ განხორციელდა აღნიშნული ლაქსი-ვენდროფის საანგარიშო სქემის მოდიფიკაცია, სახელდობრ ჩვენ ვსარგებლობდით შემდეგი სქემით:

$$F_j^n \xrightarrow{\text{I ბიჯი } (\Delta t/2)} F_{j+\frac{1}{2}}^{n+\frac{1}{2}} \xrightarrow{\text{II ბიჯი } (\Delta t)} F_j^{n+2}$$


ამ შემთხვევაში მიღებული F_j^{n+2} ფუნქციის საფუძველზე ხდებოდა გაანგარიშება F_j^{n+1} ფუნქციის, რომელიც შეესაბამებოდა დროის წინა დონეს, შემდეგი გამოსახულების საშუალებით

$$F_j^{n+1} = \frac{F_j^n + F_j^{n+2}}{2}$$


ამ მეთოდის გამოყენებამ მოგვცა გათვლების ეფექტური შედეგი.

კატასტროფული ტალღის მათემატიკური მოდელირება
ზონკარის კაშხლის გარღვევის შემთხვევაში


კვეთი/Section 6-6



კვეთი/Section 9-9



ნახ. 1. კომპიუტერულ-ინტერპოლაციური წესით დამუშავებული
მდინარის კალაპოტის ორი კვეთი ტალღის გავრცელების გზაზე



ნახ. 2. კალაპოტის აპროქსიმაცია ორ კვეთს შორის კომპიუტერული ინტერპოლაციის მეთოდით (ალგეთის ჰიდროკვანძის მაგალითზე [23])

მათემატიკური მოდელის რიცხვითი რეალიზაციის შედეგები

ზონკარის კაშხლის ნგრევით გამოწვეული ტალღის ჰიდროკვანძის ქვედა ბიუფში გაერცვლების პროცესის მათემატიკური მოდელირების შედეგები დაწვრილებით არის წარმოდგენილი [10] გრაფიკული მასალისა და შესაბამისი ცხრილების სახით. გრაფიკული მასალა შეეხება მდინარეების პატარა და დიდი ლიახვის, აგრეთვე, მდ. მტკვრის სხვადასხვა კვეთში ტალღის პარამეტრების ცვლილებას დისკრეტული დროისა და სივრცის (x – კოორდინატა ღერძის) მიხედვით.

ტალღის ქვედა ბიუფში ზემოქმედების შედეგები თითოეულ კვეთში ხასიათდება ისეთი პარამეტრებით, როგორიცაა:

1. h – ტალღის სიმაღლე (ან დატბორვის სიღრმე);

2. u – ტალღის სიჩქარე (თითოეულ

განიკვეთში დროის მოცემულ მომენტში);

3. $q = u\omega$ – ნაკადის ხარჯი;

4. $\zeta(x)$ – ტალღის პროფილი;

5. B დატბორვის ზონის სიგანე (ნაკადის ზედაპირის დონის ნიშნულზე).


პროექტში [10] მოყვანილია ყველა კვეთისათვის აღნიშნული პარამეტრების მახასიათებელი გრაფიკები, სახელდობრ: $h = f_1(t)$, $u = f_2(t)$, $q = f_3(t)$, $B = f(t)$, დამოკიდებულების გრაფიკები, აგრეთვე $\zeta = f(x)$ ტალღის პროფილები მდინარის კალაპოტის გასწვრივ სხვადასხვა დროის მომენტისათვის. ყველა ეს მონაცემი მიღებულია წყალსაცავის შევსების (ანუ დამუშავების) სამი შემთხვევისათვის, როდესაც $W/W_{\max} = 100\%$, 50% და 25% (სადაც $W_{\max} = 40.3$ მლნ მ³). მაგალითის სახით იხილე

**კატასტროფული ტალღის მათემატიკური მოდელირება
ზონკარის კაშხლის ბარაჟების შემთხვევაში**

ნახ. 3, 4.


კაშხლის ნგრევის შემთხვევაში კაშხალთან შედარებით ახლოს მდებარე კვეთებში (5-7) ტალღის მაქსიმალური სიმაღლე აღწევს 17-26 მ., სიჩქარეები და ხარჯები დიდია ($u = 15-20$ მ/წმ; $q = 62-83$ ათ.მ³/წმ). გავრცელების კვლობაზე, განსაკუთრებით მდ. პატარა ლიახვის ხეობიდან გამოსვლის და მდ. დიდ ლიახვთან შეერთების შემდეგ (კვეთი 9) ტალღის სიმაღლე და ნაკადის სიჩქარე თანდათანობით კლებულობს, სამაგიეროდ

დატბორვის ზონის სიგანე იზრდება. 12 კვეთის შემდეგ ტალღური ნაკადი ჩაედინება მდ. მტკვარში, რომელიც ამ ზონაში საკმაოდ ფართო კალაპოტით ხასიათდება. 18 კვეთში ტალღის პარამეტრები შეადგენს: $h_{max} = 5.5$ მ; $u = 3,1$ მ/წმ; $q = 12,1$ ათ.ს.მ³/წმ. წყალსაცავის დონის 25%-იანი დამუშავებისას, ამ კვეთის შემდეგ მდ. მტკვარში ხარჯი ხდება ნაკლები ვიდრე 1-2% უზრუნველყოფის ხარჯი.



ნახ. 3. ტალღის სხვადასხვა პარამეტრის ცვლილება დროის მიხედვით მდინარის კალაპოტის ორ კვეთში

Profiles 100%



ნახ. 4. ტალღის პროფილები სხვადასხვა დროის მომენტში (t)
 წყალსაცავის მთლიანად დაცლის პერიოდში

ლიტერატურა

1. Gvelsesiani T.L., Ostroverkh B.N. et all. Predicting wave formation in mountain reservoirs during landslides and landslides. //Power technology and Engineering. Sponger New York, vol.23, No12, 1989 (ISSN 1570-145X).
2. Gvelsesiani T., Huber A., Koutitas Ch., Matchadze G. Extreme wave transients in reservoirs, characteristics and interaction with dams. Taylor and Francis Group. London, 2004, (ISBN 9058096327).
3. გველესიანი თ. ლ. თეორია ვიღნი ვადაჟაჟი ჟიდრო-ეკოლოჟიი (პოღ რედაქციი აკადემიკა ან ჟრუჟიი ც.ე. მირცჟულავა), თბილისი, უნივერსალი, 2009, 245 სტრ.
4. გველესიანი თ. წყალსაცავის რაიონში ტალღური ზემოქმედების მოდელირება და საფრთხის პრევენცია. (რედაქტორი: საქართველოს მეც. ეროვ. აკადემიის აკადემიკოსი თ. ნათიშვილი). თბილისი, უნივერსალი, 2010, 355 გვ.
5. Историк Б.Л., Лятхер В.М. Распространение волны прорыва в призматическом русле. //ж. Механика жидкости и газа, №1, 1975.
6. Гвазава Г.Н., Кварацхелия Л.Л., Музаев И.Д. Исследование трансформации волн прорыва в нижнем бьефе гидроузла. //ж. Водные ресурсы, №3, 1981.
7. Шойгу С.К. Оперативное прогнозирование инженерной обстановки в чрезвычайных ситуациях, книга 2, М., 1998, 176 с.
8. Гавардашвили Г. Компьютерная имитация наводнения в случае разрушения Ингурской плотины. //Сб. научных трудов Института водного хозяйства Грузии, №65, 2010.
9. Cunge J.A., Holly F.M., Verwey A. Practical Aspects of Compute river hydraulics. London, 1980.
10. ზონკარის კაშხლის ნაწილობრივი ან მთლიანი გარღვევის შედეგად წარმოქმნილი ტალღით გამოწვეული ზემოქმედება კაშხლის ქვედა ბიეფზე. პროექტი, სს „საქწყალპროექტი“, თბ. 2011.
11. გველესიანი თ., ფალავანდაშვილი გ., მალაფერიძე ბ., ბერძენაშვილი გ. ალგეთის და სიონის კაშხლების გარღვევის შედეგად ტალღებით გამოწვეული ზემოქმედების პროგნოზი. //ჟ. ენერჯია/Energy, 4(48), 2008).

გლობალური ღათობის ფონზე შავიზღვისპირეთის აბრაზიული პროცესებისგან დაცვა მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმის დარეგულირების გზით (მდინარე რიონის მაბალითზე)*

რობერტ დიაკონიძე, ლევან წულუკიძე, თამრიკო სუპატაშვილი

E-mail: robertdia@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

შეშავალი

საქართველოს შავი ზღვის საზღვრების ცვლილებების მოკლე მიმოხილვა დროში

დასავლეთ საქართველოს რეგიონის სახალხო მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი გარემოს, მათ შორის, შავიზღვისპირეთის საზღვრების ცვლილებების გრძელვადიანი პროგნოზისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ გვიანმეოთხეულ პერიოდს, რომელიც 120-140 ათასი წლის წინ დაიწყო და მოიცავს უკანასკნელ სრულ და შემდგომ არასრულ ციკლს – პლეისტოცენს [10]. მისი დასაწყისი ემთხვევა შავი ზღვის ნალექების კარაგანული წყების ქვედა ფენების დალექვას და მოიცავს უკანასკნელი გამყინვარების ეპოქას.

კარაგანის ეპოქაში კარაგანის ზღვის (დღევანდელი შავი ზღვა) დონე რამდენიმე ათეული მეტრით აღემატებოდა დღევანდელს და თავისუფლად უკავშირდებოდა ხმელთაშუა ზღვას. ამას ადასტურებს შესაბამისი ტერასების არსებობა, რომლებიც აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე ზღვის დონიდან 30-50 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს [8]. კარაგანის ზღვის მაღალი დონის გამო ის უბის სახით 30-35 კმ-ით და უფრო მეტით იჭრებოდა კოლხეთის დაბლობზე.

კარაგანის ზღვის ტრანსგრესიას მოჰყვა რეგრესიაც, ხოლო ამის შემდეგ დაიწყო სუროჟის ტრანსგრესია. 22-23 ათასი წლის

წინ ადგილი ჰქონდა ახალეკსინის, ანუ გვიანვიურმულ რეგრესიას, რომელიც დაახლოებით 9-10 ათასი წლის წინ დამთავრდა.

ზოგიერთი მეცნიერი ახალეკსინის აუზს, რომელშიც შედიოდა დღევანდელი შავი ზღვის საზღვრები, ჩაკეტილი ახალეკსინის ტბის სახელწოდებით მოიხსენიებს, რომლის დონე 100 მ-ზე მეტით დაბლა იყო დღევანდელ დონესთან შედარებით. თუმცა ისმის კითხვა: მაშ რატომ იყო ეს ტბა მცირე მარილიანობის (3-10%) შემცველი და კასპიის ზღვის მახასიათებელი ფაუნის მქონე, რომელიც კასპიის ზღვიდან მანიჩის ღრმულით ზემოაღნიშნულ აუზში ხვდებოდა. თუ ე.წ. ახალეკსინის ტბა არ გაედინებოდა ხმელთაშუა ზღვაში ბოსფორის სრუტით, ასეთ შემთხვევაში 12-14 ათასი წლის განმავლობაში ტბის წყლის მარილიანობა აორთქლების შედეგად ძალიან მაღალი უნდა ყოფილიყო და არც კასპიის ზღვის მახასიათებელ ფაუნას არ უნდა ეარსება აქ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერთა [10] ვარაუდით ახალეკსინის ტბა საერთოდ არ იყო, ანდა ის არსებობდა ძალიან მოკლე დროის პერიოდში.

დაახლოებით 9-10 ათასი წლის წინ ხმელთაშუა ზღვის წყალი ოკეანის დონის მატების გამო შემოიჭრა ახალეკსინის

*სტატია ეხება პროექტს, რომელიც განხორციელდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი GNSF/STO8/7-477). წინამდებარე პუბლიკაციაში ავტორთა მიერ გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება შესაძლოა არ ასახავდეს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

აუზში, რამაც გამოიწვია შავი ზღვის დონის მომატება, რომელიც გაგრძელდა 3-4 ათასი წელი, დონების მცირე კლებით, და დამთავრდა დაახლოებით 6 000 წლის წინ, როცა მიადწია მაქსიმალურ დონეს (3-4 მ-ით მეტი ვიდრე დღეს).

დაახლოებით 6000 წლის წინ შავი ზღვის საზღვრებმა მიიღო დღევანდელი საზღვრების ფორმა [8].

ზოგიერთი მეცნიერული შრომის [9] ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ,

რომ საქართველოს შავიზღვისპირეთის საზღვრების, განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობის ცვლილებები, გამოწვეული იყო, ძირითადად, შავი ზღვის ჰიფსომეტრული მაჩვენებლების ცვლილებებით. კოლხეთის დაბლობის რელიეფის ზედაპირის დადაბლება მიმდინარეობდა ტექტონიკური დაძირვით – შავი ზღვის ტრანსგრესია, ხოლო ამაღლება – მდინარეთა აკუმულაციური მოქმედების შედეგად – შავი ზღვის რეგრესია.

ზოგადი ნაწილი

საქართველოს შავიზღვისპირეთის საზღვრების ფორმირების დღევანდელი პრობლემები

XXI საუკუნეში აღარავინ უარყოფს იმას, რომ ოკეანის დონის მატება პირდაპირ უკავშირდება კლიმატის ცვლილებას, კერძოდ, გლობალურ დათბობას. შავი ზღვის დონემ უკანასკნელ საუკუნეში 20 სმ-ით მოიმატა [1].

გლობალური დათბობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მეცნიერები ეკოსისტემაზე ადამიანის ზემოქმედებას (ანთროპოგენური ფაქტორი) მიიჩნევენ. მართალია, აღნიშნულ ფაქტორს გარკვეულწილად შეუძლია იმოქმედოს გლობალურ დათბობაზე, მაგრამ, ჩვენი აზრით, კლიმატის გლობალური ცვლილებების ძირითად ფაქტორად პლანეტაზე მიმდინარე გეოტექტონიკური პროცესები უნდა ჩაითვალოს, რის შედეგადაც გარკვეული პერიოდების (ე.წ. ციკლი) განმავლობაში ყოველთვის ჰქონდა და ექნება ადგილი კლიმატის ცვლილებას [7]. ამის მაგალითია სტატიის შესავალში წარმოდგენილი შავი ზღვის საზღვრების ცვლილებებიც, რომელიც ყოველთვის უკავშირდებოდა პლანეტაზე მიმდინარე გლობალურ კლიმატურ ცვლილებებს. სწორედ უკანასკნელი გამყინვარების პერიოდში აღინიშნებოდა შავი ზღვის დაბალი დონე.

მსოფლიოს ცნობილ მეცნიერთა პროგნოზით, 21-ე საუკუნეში მოსალოდნელია ჰიდროსფეროს მნიშვნელოვანი ცვლილებები, მათ შორის, ოკეანის დონის ამაღლება, რაც ნეგატიურად იმოქმედებს ბუნებრივ გარემოზე და, აქედან გამომდინარე, პლანეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც საქართველო და მისი შავიზღვისპირეთია გამონაკლისი [4].

ატმოსფეროს ტემპერატურის მატების შედეგად დედამიწაზე უკვე მრავალი ეკოლოგიური პრობლემაა დაფიქსირებული: მყინვარებისა და ყინულების სწრაფი დნობა; ნალექების რაოდენობის მკვეთრი ცვლილებები; მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილებები; წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების სიხშირის ზრდა; ეროზიულ-დვარცოფული და მეწყრული მოვლენების სიხშირის მატება; ჭაობებისა და დაბლობების საზღვრების გადაადგილება; წყლის რესურსების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ცვლილებები; ეკოსისტემის მდგრადობის შემცირება; მსოფლიო ოკეანის დონის მომატება და მისი საზღვრების ცვლილებები; ზღვის აბრაზიული პროცესების ზრდა და სხვა.

აუცილებელია აღინიშნოს ის, რომ ზემოხსენებული ბუნებრივი ფაქტორების გარდა ზღვის სანაპირო ზოლის განვითარებაზე და მის მდგრადობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ანთროპოგენური ფაქტორები: კაშხლებისა და წყალსაცავების მშენებლობა მდინარეთა აუზებში; ქვიშისა და ხრეშის მოპოვება და პორტების მშენებლობა [5, 11].

ეკოსისტემაში მუდმივად მიმდინარე ზემოაღნიშნული ბუნებრივი და ანთროპოგენური ნეგატიური ფაქტორების მიუხედავად, ყოველთვის შეიძლება გამოინახოს ისეთი

საშუალებები, რომლითაც დაცული იქნება ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადობა, რისთვისაც არსებობს მრავალი სახის ნაპირსამაგრი საინჟინრო-ტექნიკური საშუალებები. თუმცა აღიარებულია, რომ ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადობის, სტაბილურობისა და აბრაზიული პროცესების შესამცირებლად ყველაზე მისაღებ საშუალებად,

დროის გარკვეული პერიოდისთვის, მიიჩნევა მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმის ისეთი სახით დარღვევები, როცა დამყარებული იქნება წონასწორობა ზღვის ტალღური ზემოქმედებით გამოწვეულ ხმელეთის გარეცხვასა და მდინარეთა მიერ ტრანსპორტირებული მყარი ნატანის აკუმულაციას შორის.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადობის შენარჩუნება მდინარეთა მყარი ნატანის დარღვევების გზით მდ. რიონის მაგალითზე

ცნობილია, რომ ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადობის შესანარჩუნებლად ყველაზე ოპტიმალურად მიჩნეულია მდინარეთა მყარი ნატანის დარღვევები ისეთი სახით, რომლის დროსაც შენარჩუნებული იქნება წონასწორობა გარეცხვასა და აკუმულაციას შორის. გამომდინარე აქედან, განვიხილავთ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების ჰიდროლოგიურ რეჟიმს მყარი ნატანის ტრანსპორტირების თვალსაზრისით.

საქართველოს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით ჩვენ ვმუშაობთ საგრანტო პროექტზე შ/შთ08/5-433 – „გლობალური დატობის ფონზე შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების შეფასება და საქართველოს ზღვისპირეთის დასაცავად მდინარეთა ეროზიულ-დვარცოფული მოვლენებისა და მყარი ნატანის პროგნოზირება“. პროექტზე მუშაობის პერიოდში შესწავლილ იქნა საქართველოს შავიზღვისპირეთის მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმი.

ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეებს შორის შავიზღვისპირეთის ფორმირებაზე, მათი ჰიდროლოგიური რეჟიმისა და მყარი ნატანის ტრანსპორტირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ძირითადად სამი მდინარე: ჭოროხი, რიონი და ენგური. სამწუხაროდ, აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დღეისათვის მდ. ჭოროხს, რომელსაც საქართველოს მდინარეთა მიერ შავ ზღვაში ტრანსპორტირებული მყარი ნატანის ნახევარზე მეტი, წელიწადში დაახლოებით 10 მლნ ტ ჩაჰქონდა, (1971 წლის მონაცემებით), 1971-1991 წლების

მონაცემებით კი ის წელიწადში დაახლოებით 5 მლნ ტ-მდე შემცირდა. თურქეთში აშენებული დემირელის კასკადის 10 კაშხლის აშენების შემდეგ, მდ. ჭოროხის მიერ ტრანსპორტირებული მყარი ნატანის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 1 მლნ ტ-ს წელიწადში და ისიც მდ. აჭარისწყლის წილად მოდის. ყოველივე ამის გამო, რომ ამჟამად დაწყებულია და ინტენსიურად მიმდინარეობს ზღვის მიერ ხმელეთის მიტაცება სოფ. ადლიაში [2]. ასეთივე მდგომარეობაა შექმნილი მდ. ენგურზეც, საიდანაც წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გალის წყალსაცავში ჩაედინება, რის გამოც მნიშვნელოვნადაა შემცირებული მყარი ნატანის სიდიდეები ზღვის შესართავთან – ანაკლიაში, სადაც ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საკურორტო ინფრასტრუქტურის განაშენიანება. თუ 1971 წლის მონაცემებით მდ. ენგურს შავ ზღვაში სოფ. ანაკლიასთან დაახლოებით 5.5 მლნ ტ, ხოლო 1971-1991 წლების მონაცემებით დაახლოებით 2 მლნ ტ წელიწადში ჩაჰქონდა, დღეისათვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 227 ათას ტ-ს წელიწადში შეადგენს. ყოველივე ეს კი ნეგატიურად მოქმედებს მომავალ საკურორტო ზონაში – ანაკლიაში ზღვის სანაპირო ზოლის ე.წ. პლაჟის განვითარებაზე, რაც ასე აუცილებელია კურორტისათვის.

ერთ-ერთი მდინარე, რომელმაც შავ ზღვაში მყარი ნატანის ტრანსპორტირების თვალსაზრისით სტაბილურობა შეინარჩუნა, მდ. რიონია თავისი შენაკადებით. თუმცა იყო პერიოდები, როცა ტრანსპორტირებული

მყარი ნატანის სიდიდეები ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის გამო მნიშვნელოვნად იყო შემცირებული. ბოლო წლებში მდ. რიონზე მყარი ნატანის ტრანსპორტირების მატებაც კი შეიმჩნევა, რაც ერთი მხრივ, მდ. რიონის აუზში არსებული წყალსაცავების მოლაშქვითაა გამოწვეული, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეული სიდიდით მოიმატა წყლის ხარჯის სიდიდემაც. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი სწორედ გლობალური დათბობის მიზეზითაა გამოწვეული, რის შედეგადაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მყინვარების დნობა კავკასიონზე (მყინვარების უკანდახევის სიჩქარემ 8 მ წელიწადში მიაღწია) [1]. საშუალო მრავალწლიური წყლისა და მყარი ნატანის (შეტივნარებული) ხარჯების ანალიზმა აგრეთვე აჩვენა, რომ მდ. რიონზე, სოფ. ჭალადიდთან (შესართავიდან დაახლოებით 30 კმ) მდინარის შეტივნარებული ხარჯების სიდიდე მეტია, ვიდრე შავი ზღვის შესართავთან, რაც გამოწვეულია იმით, რომ სოფ. ჭალადიდთან მდინარემ დაარღვია ნაპირსამაგრები. მდინარის დონის მომატების შედეგად ის გადადის კალაპოტიდან და მყარი ნატანის გარკვეული ნაწილი ილექება მდინარის მიმდებარე კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე. თუ მდ. რიონს შავ ზღვაში 1971 წლის მონაცემებით ჩაჰქონდა 7.1 მლნ ტ წელიწადში, ამ მაჩვენებელმა 1971-1991 წლების მონაცემებით 7.7 მლნ ტ წელიწადში შეადგინა. ჩვენ დავადგინეთ აგრეთვე მყარი ნატანის ის საერთო სიდიდე (დაახლოებით 25 მლნ ტ წელიწადში), რაც საკმარისი იქნება წონასწორობის ბალანსის შესანარჩუნებლად ზღვის მიერ გარეცხვასა და მდინარეების მიერ შემოტანილ მყარი ნატანის

დალექვას (აკუმულაციას) შორის. დღეისათვის დეფიციტს შეადგენს დაახლოებით 15-16 მლნ ტ წელიწადში [2].

მიუხედავად იმისა, რომ მდ. რიონის მიერ ტრანსპორტირებული მყარი ნატანის გარკვეული ნაწილი იკარგება (ილექება) კოლხეთის დაბლობზე, ზღვაში ჩატანილი მყარი ნატანის რაოდენობა მაინც საკმარისია ქ. ფოთის მიმდებარე ტერიტორიების სანაპირო ზოლის მდგრადობის შესანარჩუნებლად, როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის მიმართულებით, რასაც ვერ ვიტყვით მდ. ჭოროხისა და მდ. ენგურის შესართავებთან ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადობაზე, სადაც მყარი ნატანის დეფიციტის გამო ინტენსიურად მიმდინარეობს ზღვის მიერ სანაპირო ზოლის მიტაცება.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ქ. ფოთის მიმდებარე სანაპირო ზოლის მდგრადობის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანი როლი აკისრია მდ. რიონზე ქ. ფოთიდან მე-7 კმ-ზე არსებულ წყალგამყოფ კვანძს, რომლის წარმატებული ფუნქციონირება საშუალებას იძლევა ისე დარეგულირდეს მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმი, რომ დროის გარკვეული პერიოდისათვის შენარჩუნებულ იქნეს წონასწორობა სანაპირო ზოლში ზღვის ტალღური ზემოქმედებით გამოწვეულ გარეცხვასა და მდინარის მიერ ტრანსპორტირებული მყარი ნატანის დალექვას (აკუმულაციას) შორის [3].

შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების მიერ ტრანსპორტირებადი მყარი ნატანის პროგნოზული სიდიდეების საანგარიშო მეთოდითაა მოცემულია სამეცნიერო ნაშრომში [6].

დასკვნები

1. სხვადასხვა მეცნიერული შრომების საფუძველზე შეფასებულია შავი ზღვის საზღვრების ზოგადი ცვლილებები უკანასკნელი 120-140 ათასი წლის პერიოდში.
2. დადგენილია, რომ 6 000 წლის წინ შავი ზღვის საზღვრებმა მიიღო დღევანდელი ფორმა.
3. ვემსრობით იმ აზრს, რომ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობს შავი ზღვის დონის მომატება

- (ტრანსგრესია), რაც პლანეტაზე კლიმატის ცვლილებით, კერძოდ, გლობალური დათბობითაა გამოწვეული.
4. აღვნიშნავთ, რომ პლანეტის გლობალური დათბობის ძირითადი ფაქტორი არის დედამიწაზე მიმდინარე გეოტექტონიკური პროცესები. გარკვეულწილად დათბობაზე მოქმედებს ანთროპოგენური ფაქტორებიც.
5. ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადობის შესანარჩუნებლად და აბრაზიული

პროცესების შესამცირებლად ყველაზე ოპტიმალურ საშუალებად მიგვაჩნია ზღვაში ჩამდინარე მდინარეების მყარი ნატანის დარეგულირება ისეთი სახით, რომ დაცული იქნეს წონასწორობა ზღვისმიერი ტალღური ზემოქმედების შედეგად ხმელეთის გარეცხვასა და მდინარეების მიერ ტრანსპორტირებული მყარი ნატანის აკუმულაციას შორის.

6. შეფასებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადობა მდ. რიონის ზღვის შესართავთან ფოთიდან მე-7 კმ-ზე არსე-

ბული წყალგამყოფი კვანძის გამოყენებით, რაც საშუალებას იძლევა დაარეგულიროს მდინარის მიერ ტრანსპორტირებული მყარი ნატანი ისე, რომ შენარჩუნებული იქნეს ზღვის სანაპირო ზოლის სტაბილურობა.

7. დადგენილია მყარი ნატანის ის დეფიციტი (16 მლნ ტ წელიწადში), რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთში შენარჩუნებულ იქნეს სანაპირო ზოლის სტაბილურობა.

ლიტერატურა

1. გაეროს კლიმატის ჩარჩო-კონვენცია, საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება, თბილისი, 2006-2007 წწ.
2. დიაკონიძე რ., ჩახაია გ., წულუკიძე ლ. შავიზღვისპირეთის ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა ზღვისმიერი აბრაზიული პროცესებისგან მდინარეთა მყარი ნატანის დარეგულირების გზით. //საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ჰიდროინჟინერია“, №1, 2011, თბილისი, გვ. 55-65.
3. დიაკონიძე რ., სიჭინავა პ., ჩახაია გ., წულუკიძე ლ. ქ. ფოთთან მე-7 კილომეტრზე მდ. რიონზე არსებული წყალგამყოფი კვანძის ექსპლუატაციის დროებითი რეკომენდაციები. //საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოველთვიური სამეცნიერო-რეფერირებული ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ №10-12, თბილისი, 2010, გვ 71-76.
4. დიაკონიძე რ., ჩახაია გ., წულუკიძე ლ., მამასახლისი ე. შავი ზღვისა და საქართველოს ზღვისპირეთის ეკოლოგიური პრობლემები გლობალური დატბობის ფონზე. //საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სამეცნიერო
5. შრომათა კრებული. ტომი I, №2 (43), თბილისი, 2008, გვ. 80-84;
5. **Войнич-Сяноженцкий Т. Г.** Гидродинамика устьевых участков рек и взморий бесприливных морей, //Труды ЗаНИГМИ, вып. 46(52), Гидрометиздат, Ленинград, 1972, 203 с.
6. **Диаконидзе Р.В., Чахая Г.Г., Цулукидзе Л.Н.** Эмпирические зависимости для расчета влекомых (донных) и полного стока наносов водосборов рек Грузии. //Министерство образования и науки Грузии. Институт водного хозяйства. Сборник научных трудов, №64, Тбилиси, 2009, с. 77-81.
7. **Диаконидзе Р.В., Хубулава И.В., Кикнадзе Х.Л., Лордкипанидзе Ф.Н. и др.** Изменение климата планеты и гидроэкологические проблемы окружающей среды. /Ж. "Экологические системы и приборы", №9, Москва, 2008, с 45-47.
8. **Джанелидзе Ч.П.** Палеография Грузии в голоцене, „Мецნიერება“, Тбилиси, 1980, 176с.
9. Колхидская низменность, научные предпосылки освоения. „Наука“, Москва, 1990, 248 с.
10. **Марушвили Л.И.** Физическая география Грузии, Ч. 2, „Мецნიერება“, Тбилиси, 1970, 300 с.
11. **Хмаладзе Г.Н.** Выносы наносов реками Черноморского побережья Кавказа. "Гидрометеоздат", Ленинград, 1978, 167с.

**ТИПЫ МОРЕННО-ЛЕДНИКОВЫХ КОМПЛЕКСОВ,
КАК КРИТЕРИЙ РЕГРЕССИИ ГОРНО-ДОЛИННОГО
ОЛЕДЕНЕНИЯ ТЯНЬ-ШАНЯ**

Ерохин С.А., Тузова Т.В., Маматканов Д.М.

E-mail: *c.eroxin@mail.ru*

Институт водных проблем и гидроэнергетики Национальной академии наук
Кыргызской Республики
720033, Бишкек, ул. Фрунзе, 533

ВВЕДЕНИЕ

Под моренно-ледниковым комплексом понимается геологическое тело, сформированное ледником за последнюю эпоху оледенения в единой физико-географической обстановке и сложенное определенным набором фаций, формирующих его внутреннюю структуру [1]. В это геологическое тело входят как отчленившиеся от ледника леднико-

вые останцы (так называемый погребенный лед), так и разные формы ледниково-моренной аккумуляции. Моренно-ледниковый комплекс формируется в теле ледника и проявляется на дневную поверхность при его регрессии. Изучению стадий регрессии посвящена данная статья

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Моренно-ледниковые комплексы Тянь-Шаня, согласно альпийской схеме оледенения [2], представляют собой морены стадии фернау, образованные в период малой ледниковой эпохи (XIII-XIX века) и окаймляющие языки деградирующих ледников. При образовании моренно-ледниковых комплексов действуют, в основном, два фактора ледникового литогенеза – аккумуляционный (*A*) и эрозионный (*Э*). Первый - характеризует насыщенность ледника обломочным материалом и способность ледника аккумулятировать этот материал в своей приконцевой зоне моренообразования. Второй фактор представляет эрозионную энергию потоков талых вод, стекающих с ледника, и способность этих потоков размывать накопления обломочного материала в приконцевой части ледника. От соотношения этих факторов зависит форма, состав и строение моренно-ледниковых ком-

плексов.

Изучение горно-долинных ледников Тянь-Шаня [3-5] показывает, что в процессе формирования моренно-ледниковых комплексов на этих ледниках роль фактора *Э* наиболее значительна у гигантских ледников гималайского или древовидного типа, а роль фактора *A* на этих ледниках минимальна. Обратная ситуация наблюдается на небольших простых долинных ледниках или ледниках присклонового и склонового типа. Здесь роль фактора *A* в формировании моренно-ледниковых комплексов становится максимальной, а фактор *Э* играет незначительную роль. В соответствии с изменением соотношения факторов *A* и *Э* изменяется состав и строение моренно-ледниковых комплексов. По мере увеличения роли фактора *A* с соответствующим уменьшением фактора *Э* состав и строение моренно-ледниковых комплексов постепенно

ТИПЫ МОРЕННО-ЛЕДНИКОВЫХ КОМПЛЕКСОВ, КАК КРИТЕРИЙ РЕГРЕССИИ ГОРНО-ДОЛИННОГО ОЛЕДЕНЕНИЯ ТЯНЬ-ШАНЯ

დავუშვათ, რომ ღვარცოფული კერიდან გამოსული ჰიპერკონცენტრირებული ნაკადი განსაზღვრული კვეთიდან გადაადგილდება აბსტრაქტული თანაბარი მოძრაობის რეჟიმით h_1 სიღრმითა და b სიგანით კალაპოტის ფსკერის i ქნობის პირობებში. მაშინ ამგვარი ნაკადის ხარჯი შეიძლება განესაზღვროთ შემდეგი დამოკიდებულებით [11].

$$Q = \frac{gbh_1^3 i}{v} f(\beta) \tag{1}$$

სადაც $f(\beta) = \frac{\beta}{2}(\beta^2 - 1) + \frac{1}{2}(1 - \beta^3)$,

g – სიმძიმის ძალის აჩქარება;

$v = \frac{\mu}{\rho}$ – სიბლანტის კინემატიკური კოეფიციენტი;

ρ – ღვარცოფული მასის სიმკვრივე;

$\beta = \frac{h_0}{h_1}$ – ნაკადის ფარდობითი სიღრმე;

h_0 – ნაკადის გულის (უგრადიენტო შრის) სიღრმე, ანუ ნაკადის სიღრმე მისი ზედაპირიდან საგრადიენტო შრემდე;

ნაკადის სიღრმე შესაძლებელია დადგინდეს შემდეგი დამოკიდებულებით [8]

$$h_1 = \sqrt{\frac{4v\sqrt{H_1 - H_2}}{g \cos \theta i f(\beta)}}, \quad (2)$$

სადაც H_2 – ეროზიულ კერაში დარჩენილი ღვარცოფული მასის სიღრმე;

θ – წყალსადინარის ფსკერის დახრის კუთხეა, რომლის დროსაც ღვარცოფული მასა მოცემული სიღრმითა და კონცენტრაციით იწყებს გადაადგილებას [8,11].

ამ მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებელია შედგენილი იქნეს შემდეგი განტოლება:

$$-\Omega dH = Q dt. \quad (3)$$

(1) და (2) გამოსახულებების მხედველობაში მიღებით (3)-ის ნაცვლად გვექნება:

$$dt = \frac{K dH}{\left(\sqrt[4]{H_1 - H_2}\right)^3}, \quad (4)$$

სადაც:

$$K = \frac{\Omega v}{\text{bigf}(\beta) \left[\frac{\sqrt{4v}}{\sqrt[4]{\cos \theta} \sqrt{if(\beta)}} \right]^3} \cong \text{const}. \quad (5)$$

(4) დამოკიდებულების ინტეგრირება გვაძლევს კერის ღვარცოფული მასისაგან დაცლის დროს:

$$t = 4K \sqrt[4]{H_1 - H_2} \quad (6)$$

ღვარცოფის საშუალო ხარჯი განისაზღვრება შემდეგი დამოკიდებულებით:

$$Q_{\text{საშ.}} = \frac{W_1 - W_2}{t}, \quad (7)$$

სადაც W_1 და W_2 – ღვარცოფის მოცულო-

ბებია H_1 და H_2 სიღრმეებისას.

იმ შემთხვევაში, როდესაც ღვარცოფულ კერაში დაგროვებული მასის ფორმა განსხვავდება სწორკუთხოვანი ფორმის პრიზმისაგან, რასაც რეალურად აქვს ადგილი, მაშინ (5)-ის ნაცვლად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შემდეგი სახის კოეფიციენტი:

$$K = \frac{W_1}{W_2} \quad (8)$$

ზემოთ მოყვანილი მეთოდის საშუალებას იძლევა პირველი მიახლოებით განხორციელდეს ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფის ეროზიული კერიდან მოწყვეტის მომენტი.

მოძრაობის რაოდენობის შენახვის კანონის თანახმად და ელემენტარულ სივრცეზე ჰიდრავლიკური დაწნევის ცვლილების გათვალისწინებით ეს დამოკიდებულება შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი ტოლობით:

$$\frac{\gamma h}{2} - \frac{\gamma(h-dh)^2}{2} = \frac{\gamma}{g} \left(h - \frac{dh}{2} \right)^2 (V - V_{\text{შპ}}) dV, \quad (9)$$

სადაც V – ნაკადის საშუალო სიჩქარე აღნიშნულ უბანზე;

$V_{\text{შპ}}$ – ნაკადის უკუტალღის სიჩქარე.

(9) ტოლობიდან ვღებულობთ, რომ

$$dh = \frac{V_1 + V_{\text{შპ}}}{g} dV \quad (10)$$

ამ ტოლობის ინტეგრირების შედეგად სასაზღვრო პირობებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ღვარცოფის კერაში ღვარცოფული დანარიყის სიღრმე ტოლია h_2 , ხოლო სიჩქარე $V_2 = 0$ მივიღებთ, რომ კერაში უკუტალღის სიჩქარე ტოლი იქნება

$$V_{\text{შპ}} = \frac{2g}{\sqrt{g \cos \theta}} \sqrt{h_2 - h_1}, \quad (11)$$

სადაც h_1 არის ღვარცოფული კერიდან მოწყვეტილი მასის თანაბარი მოძრაობის სიღრმე, ხოლო მისი სიჩქარე შესაძლებელია განისაზღვროს (1) ტოლობიდან გამომდინარე დამოკიდებულებით:

$$V_1 = \frac{g i h_1^2}{v} f(\beta). \quad (12)$$

ღვარცოფული კერიდან მოწყვეტილი მასის

საშუალო სიჩქარე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი გამოსახულებით:

$$\frac{0 + V_1}{2} = |V_{\text{ტალ.}}|$$

ანუ

$$V_1 = 2|V_{\text{ტალ.}}|, \quad (13)$$

სადაც $|V_{\text{ტალ.}}|$ - უკუტალღის სიჩქარის (ანუ უარყოფითი ტალღის) აბსოლუტური მნიშვნელობაა.

თუ გამოვიყენებთ (2) დამოკიდებულებას შეცვლილი ფორმით გვექნება:

$$h_1 = \sqrt{\frac{4\nu\sqrt{h_2 - h_1}}{\sqrt{g \cos\theta} i f(\beta)}} \quad (14)$$

აღნიშნული პროცესების შემდეგ ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოვი გადადის რა აბსტრაქტულ თანაბარი მოძრაობის რეჟიმზე ბუნებრივია, რომ იგი განიცდის წნევის კარგვას სიგრძეზე, რაც მხედველობაშია მისაღები წყალსადინარში მოსალოდნელი სხვადასხვა სახის წინაღობების გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ წნევის დანაკარგები l სიგრძეზე წყლის ნაკადისათვის დგინდება შემდეგი დამოკიდებულებით [12]:

$$h_{\text{დაბ.}} = i_0 l \quad (15)$$

თუ მხედველობაში მივიღებთ ჰიპერკონცენტრირებული ნაკადის საშუალო სიჩქარის საანგარიშო (12) დამოკიდებულებას, მაშინ წნევის დანაკარგების მხედველობაში მიღებით გვექნება:

$$V = \frac{g i (H - h_{\text{დაბ.}})^3}{3\nu H} \quad (16)$$

და წყალსადინარის ქანობი ამ შემთხვევაში შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

$$i = \frac{3\nu H V}{g(H - h_0)^3} \quad (17)$$

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე წყალსადინარის l სიგრძეზე წნევის გრძივი დანაკარგები ტოლი იქნება [8, 9]:

$$h_l = \frac{3\nu H V l}{g(H - h_0)^3} \quad (18)$$

მარტივი გარდაქმნების შედეგად მივი-

ღებთ რეინოლდსის რიცხვს ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოვისათვის:

$$Re_* = \frac{V(H - h_0)^2}{\nu H} \quad (19)$$

დამოკიდებულება (18)-ს უნდა შეესაბამებოდეს ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოვის სიგრძეზე დანაკარგები შემდეგი სახით [9]:

$$h_l = \frac{6}{Re_*} \frac{1}{(H - h_0)} \frac{V^2}{2g} \quad (20)$$

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებისას ერთ-ერთ მოწვევად უბანს წარმოადგენს წყალსადინარის ნარიყის კონუსი. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული შესწავლის საკითხია ნაკადის განფენა ამ მონაკვეთზე.

დასმული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით ჰიპოტეტურ ნაკადში გამოიყოფა ნარიყის კონუსის დასაწყისიდან x მანძილზე დაშორებული ელემენტარული მოცულობა მასით

$\frac{\gamma}{g} \omega dx$. თუ ამ მოცულობის მიმართ გამო-

ვიყენებთ დინამიკური წონასწორობის განტოლებას გვექნება:

$$\frac{\gamma \omega dx}{g} \frac{dV}{dt} + \lambda \chi \frac{V^2}{2g} dx = 0, \quad (21)$$

სადაც ω - ნაკადის განივკვეთის ფართობი;

χ - განსახილველ კვეთში ნაკადის სველი პერიმეტრია და იგი ტოლია - $b_0 + 2x \operatorname{tg}\theta$;

b_0 - ნაკადის სიგანეა საანგარიშო კვეთში;

θ - ჰიპერკონცენტრირებული ნაკადის ნარიყის კონუსზე განფენის კუთხეა და იგი იცვლება 11° -დან 13° -მდე [4].

თუ ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფული ნაკადი ნარიყის კონუსზე გამოსვლისას არ იზღუდება წყალსადინარის გვერდითი ნაპირებით, მაშინ მისი განივი კვეთი იღებს მრუდწირული ტრაპეციის ფორმას გვერდების ფერდების დახრის კუთხით

$$\theta_1 = 60 - 70^\circ \quad [4].$$

აღნიშნული შემთხვევისათვის დინამიკური წონასწორობის განტოლება ნაკადის სველი პერიმეტრის გათვალისწინებით მიიღებს შემდეგ სახეს [10]:

$$\omega \frac{dV}{V} + \lambda \frac{b_0 dx}{2} + \chi tg \theta dx = 0 \quad (22)$$

(22)-ში და ქვემოთ მოყვანილ დამოკიდებულებებში ნულოვანი ინდექსით აღნიშნული სიდიდეები განეკუთვნება ტრანზიტული უბნის ბოლო კვეთს. ცვლადი ω შევცვალოთ V სიდიდით, რისთვისაც გამოვიყენოთ დროის ერთეულში მოძრაობის რაოდენობის მუდმივობის განტოლება [11,12]:

$$V_0^2 \omega_0 = K_{\text{ბ.ა.შ.}} V^2 \omega \quad (23)$$

აქ $K_{\text{ბ.ა.შ.}}$ წარმოადგენს კოეფიციენტს, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთშეხებაში მყოფ მოხახუნე ზედაპირების (ნაკადის და კალაპოტის) მდგრადობას, ანუ როდესაც ნარიყის კონუსის ზედაპირი წარმოადგენს ადვილად დეფორმირებად სივრცეს, ღვარცოფული ნაკადი წარიტაცებს მის ნაწილაკებს და ნაკადის ხარჯი განიცდის მატებას [5], ამ შემთხვევაში $K_{\text{ბ.ა.შ.}} < 1$. მაშინ როდესაც კალაპოტის ზედაპირი წარმოადგენილია ძნელადდეფორმირებადი ზედაპირის სახით, პროცესს ექნება შებრუნებული ხასიათი და $K_{\text{ბ.ა.შ.}} > 1$. როდესაც $K_{\text{ბ.ა.შ.}} = 1$ მაშინ ბუნებრივია, რომ ღვარცოფული ნაკადი კონუსის ფარგლებში მოძრაობს ისე, რომ იგი არც წარიტაცებს და არც ტოვებს ხარჯის ნაწილს კონუსის ფარგლებში.

მოძრაობის რაოდენობის ცვლილება ამ შემთხვევაში შესაძლებელია აგრეთვე მიახლოებით შეფასდეს შემდეგი დამოკიდებულებით:

$$K_{\text{ბ.ა.შ.}} = i_1 / i_2, \quad (24)$$

სადაც i_1 – წყალსადინარის კალაპოტის ქანობია სატრანზიტო ზონის მონაკვეთზე, რომელიც ებჯინება ნარიყის კონუსს;

i_2 – ნარიყის კონუსის საშუალო ქანობია.

ნაკადის ნარიყის კონუსზე გაჩერების ადგილის შესაფასებლად, პირველი მიახლოებით შეიძლება მივიღოთ, რომ

$$\omega = V_0^2 \omega_0 / K_{\text{ბ.ა.შ.}} V^2 \quad (25)$$

თუ დავუშვებთ, რომ $K_{\text{ბ.ა.შ.}}$ მუდმივი სიდიდეა, რაც პრაქტიკულად რეალობასთან ახლოსაა, და ჩავსვათ (22)-ში ინტეგრირების შემდგომ სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით როცა $x > 0$, მაშინ $V = V_0$ მივიღებთ:

$$V = V_0 \sqrt{\frac{\omega_0}{\lambda K_{\text{ბ.ა.შ.}} b_0 x + \lambda x^2 tg \theta + \omega_0}}, \quad (26)$$

რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დადგინდეს ნარიყის კონუსზე გამოსული ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფის გაჩერების ადგილი.

ამ სიდიდის განსაზღვრა საშუალებას იძლევა, რომ ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობები ნარიყის კონუსის ფარგლებში რაციონალურად იქნეს განთავსებული ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.#

დასკვნები

1. ღვარცოფული კერიდან ღვარცოფის ფორმირების პროგნოზირების მიზნით დადგენილია დაგროვებული მასის მოწყვეტის დროს ზედაპირის დაწვევის ხანგრძლივობა;
2. შემოთავაზებულია ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფის წყალსადინარში მოძრაობის დროს მისი ძირითადი ჰიდრაულიკური პარამეტრების დადგენის მეთოდიკა;
3. ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფის წყალ-

სადინარში მოძრაობისათვის შემუშავებულია სივრცეზე დანაკარგების საანგარიშო მეთოდიკა;

4. შემოთავაზებულია ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფის ნარიყის კონუსზე განფენის დროს ნაკადის ძირითადი ჰიდრაულიკური პარამეტრების საანგარიშო მოდელი და ნაკადის გაჩერების ადგილის დადგენის მეთოდიკა, რაც იძლევა ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების ეფექტურად განთავსების საშუალებას.

ლიტერატურა

1. **Беручашвили Г.М., Кокоришвили В.И.** Некоторые результаты исследования селевых потоков. //Труды КазНИИГМИ "Вопросы изучения селей", 1969, вып. 33, с. 41-62.
2. **Виноградов Ю.Б.** Некоторые вопросы формирования селевых потоков и методика их расчета. //Труды КазНИИГМИ "Вопросы изучения селей", 1969, вып. 33, с. 5-29.
3. **Виноградов Ю.Б.** Этюды о селевых потоках. Л., Гидрометеоздат, 1980, 144 с.
4. **Гагошидзе М.С.** Селевые явления и борьба с ними. Тбилиси, "Сабчота Сакартвело", 1970, 383 с.
5. **Григолян С.С.** Новый закон трения и механизм крупномасштабных горных обвалов и оползней. //Доклады АН СССР, 1979, т. 244, №1, с. 846-849.
6. **Натишвили О.Г., Тевзадзе В.И.** Движение селей и их взаимодействие с сооружениями. Тбилиси, 2001, 148 с.
7. **Натишвили О.Г., Тевзадзе В.И.** Определение длительности понижения уровня селевых отложений в эрозионном врезе и среднего расхода селея в водотоке. //Жур. "Экологические системы и приборы", М., 3, 2010, с. 9-11.
8. **Натишвили О.Г., Тевзадзе В.И.** Параметры гиперконцентрированной селевой массы сорвавшейся с эрозионного вреза. //Жур. "Экологические системы и приборы", М., №8, 2009, с. 40-41.
9. **Натишвили О.Г., Тевзадзе В.И., Дадвани К.З.** Потери напора в гиперконцентрированных наносами селевых потоках при абстрактно равномерном режиме движения. //Сб. Научных трудов Института водного хозяйства Грузии. №65, 2010, Тбилиси, с. 191-192.
10. **Натишвили О.Г., Тевзадзе В.И.** Расширение связного селевого потока на конусе выноса. //Жур. "Метеорология и гидрология", М., №7, 2006, с. 97-100.
11. **Натишвили О.Г., Тевзадзе В.И.** Основы динамики селей. АН Грузии. Институт водного хозяйства. Тбилиси, 2007, 213 с.
12. **Штеренлихт Д.В.** Гидравлика. Энергоатомиздат. Москва, 1984, 639 с.
13. **Hirano M., Harada T., Banihabib M., and Kawahara K.** Estimation of hazard area due to debris flow. /In: Proc. of First Int. Conf. "Debris-Flow Hazard Mitigation", San Francisco, ASCE, 1997, pp. 697-706.
14. **Takahashi T.** Initiation various types of debris flow. Proceeding of the second international conference on debris flow. //Taipei (Taiwan) 16-18 August, 2000, p.p. 15-25.
15. **Jakob M., Rungz O., and Thomson B.** Two debris flows with anomalously high magnitude. //In Proc. of First Int. Conf. "Debris-Flow Hazard Mitigation", San Francisco, ASCE, 1997, pp. 382-394.

მთისა და მთისწინა ფართობების ნიადაგმშენებლობა-წვეთური
მორწყვის სრულყოფის პერსპექტივა

გივი ომსარაშვილი,¹ აჩიკო სახვაძე,¹ გიორგი ომსარაშვილი,² ლევან სახვაძე¹

Email: giomsarashvili@mail.ru

¹ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

დავით აღმაშენებლის მე-13 კმ, ქ. თბილისი, საქართველო

² საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

შესავალი

ბოლო პერიოდში გავრცელებულმა მიწისქვეშა წვეთური მორწყვის მეთოდმა გამოავლინა მისი ზოგიერთი უარყოფითი მხარე, რაც ნაწილობრივ მცენარის ფესვთა სისტემის სისქეში ზედმეტი რაოდენობის წყლის დაგროვებით არის შესაძლებელი. აღნიშნული მოვლენა მკვეთრად აუარესებს ნიადაგის წყალ-ჰაეროვან რეჟიმს და მცენარის ფიზიოლოგიურ პროცესებს, რაც ამ მეთოდის ტექნიკური სისტემის და მცენარეზე წყლის უშუალო მიწოდების მეთოდის სრულყოფას საჭიროებს. ასეთ შემთხვევას ადგილი შეიძლება ჰქონდეს დიდქანობიან

უბნებზე სისტემის მოწყობის დროს, სადაც ხვრეტებიდან წყლის არათანაბარ გამოდინებას აქვს ადგილი. ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით შემოთავაზებული სქემის მიხედვით განმანაწილებელი მილსადენის სათავეში დამონტაჟებულია აპარატი, რომელიც ახშობს წნევებს აღნიშნულ წერტილში. გამოცდის შედეგებმა აჩვენა, რომ აპარატის მეშვეობით მორწყვის პროცესში შესაძლებელია, როგორც წყლის თანაბარი მიწოდება სარწყავ ფართობზე, ასევე გამოირიცხოს წყლის ზედმეტი დანაკარგები სისტემიდან.

პირითაღი ნაწილი

კვლევის ობიექტი. ნიადაგქვეშა-წვეთური მორწყვის სისტემა და მრავალწლიანი ვახის კულტურა.

ნიადაგქვეშა წვეთური მორწყვის მეთოდის გამოყენებისას მიწის ზედაპირიდან გარკვეულ სიღრმეზე ჩაწყობილ მილსადენებზე მოწყობილი ხვრეტებით წყალი წნევით შეიწოვება ნიადაგში. ამ დროს მილსადენის ირგვლივ წარმოიქმნება გატენიანებული ზონა, სადაც წყლის მოძრაობა ძირითადად ჰიდროსტატიკური დაწნევის მოქმედებით წარმოებს. აღსანიშნავია, რომ მაღალი დაწნევის პირობებში ხდება წყლის დიდი რაოდენობის გადინება ფესვწარმოქმნელი შრის გარეთ, ხოლო უდაწნეო რეჟიმის შემთხვევაში შესაძლებელია მოსახნავი ჰორიზონტის არასაკმარისად გატენიანება. ზემოაღნიშნუ-

ლიდან გამომდინარე, მცენარის ტენით ოპტიმალურად უზრუნველყოფა წვეთური მორწყვის სისტემების ტექნიკური სრულყოფის გზით შეიძლება იქნეს მიღწეული.

ბუნებრივია, ყველაზე ოპტიმალურ შემთხვევას მაშინ ექნება ადგილი, როდესაც წყლის ცალკეული პორცია მცენარის ზრდაგანვითარების პროცესში შეესაბამება მის აუცილებელ წყალმოთხოვნილებას. წყლის ასეთი მიწოდება ბუნებრივი ავტომატიზაციის პოტენციალური შესაძლებლობების გამოყენებით შეიძლება იქნეს მიღწეული [1].

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იმსახურებს ზემოთ აღნიშნული სქემის გამოყენება მთიან რაიონებში, სადაც მელიორაციის საშუალებები ნაკლებად ეფექტურია ეროზიული მოვლენების მიმართ. არსებული სხვა

**მთისა და მთისწინა ფართობების ნიადაგქვეშა-წვეთური
მორწყვის სრულყოფის პერსპექტივა**

სქემებისაგან განსხვავებით, მორწყვის ახალი სქემა საშუალებას იძლევა გამოირიცხოს ნიადაგის ცალკეულ აგრეგატებად დაშლის უარყოფითი მოვლენები და ამასთანავე აჩქარებს ნიადაგის გატენიანების პროცესს (ნახ.1).

მიწისქვეშა მორწყვის სისტემის მაგისტრალურ მილსადენსა და განმანაწილებლებში დიდი სიჩქარეებისა და ხარჯების შემთხვევაში შესაძლებელია შთანთქმული წყლის მოცულობა მიწოდებული წყლის მოცულობაზე ნაკლები იყოს, რაც ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის მოითხოვს ისეთი ხარჯების ფართობებზე მიწოდებას, რომელიც რწყვის ფაქტიური ნორმის შესაბამისი იქნება. დიდი ქანობების შემთხვევაში ($i = 0.1 \div 1.0$) მილსადენების ხერცებში შესაძლებელია შეიქმნას არასასურველი პირობები. სახელდობრ, წყლის არათანაბარი გამოდინება ხერცებიდან და ნიადაგის აქტიურ შრეში წყალ-ჰაერის რეჟიმის დაუბალანსებელი პროცესი. სწორედ ასეთი უარყოფითი პროცესების აღმოფხვრას ემსახურება განმანაწილებლების სათავეში მოწყობილი (დამონტაჟებული) წნევის მარეგულირებელი აპარატი [2, 5]. მათი განლაგების სქემა მოცემულია ნახ.1-ზე.


შემოთავაზებული აპარატის საშუალებით შესაძლებელია წნევების 5-დან 0.03 ატმო-

სფერომდე რეგულირება და სისტემის შეუფერხებელი მუშაობა, აგრეთვე წყლის თანაბარი მიწოდება ქსელში.

მოცემული სქემის მიხედვით (ნახ. 1) სარწყავ სისტემაზე გაფილტრული წყლის მიწოდება სარწყავი უბნის სათავეში დამონტაჟებული რეზერვუარით ხდება, რასაც წყლის ენერჯის საშუალებით მასში დამონტაჟებული ავტომატური დანადგარი უზრუნველყოფს [5].


წნევის მარეგულირებელი (ჩამქრობი) აპარატის მუშაობის პრინციპი შემდეგია (ნახ.2).

დანადგარი (აპარატი) წყალს იღებს მაგისტრალური მილსადენით (1), საიდანაც წყალი მიეწოდება საუბნო (2) მილსადენს (განმანაწილებელს). აპარატის დგუშში (3) გავლის შემდეგ წყალი მიეწოდება ნიადაგის მკვებავ (4) მილსადენს. როდესაც მკვებავი მილი მთელ სიგრძეზე შეივსება წყლით მიკრომილით (6) ნიადაგისათვის ზედმეტი წყალი გროვდება მოცულობით ჭურჭელში (ავზში) (7); შესაბამისად, ამ უკანასკნელის წონა მოიმატებს და როდესაც იგი გადაატარებს დგუშის (3) ხახუნისა და ზამბარის (8) წინაღობას, მკვებავ მილსადენს წყალს აღარ მიაწოდებს ვიდრე მასში წნევა არ დაეცემა მინიმუმამდე.




ნახ. 1. ვაზის კულტურისათვის ნიადაგქვეშა-წვეთური მორწყვის სისტემის სქემა
1. მკვებავი მაგისტრალი; 2. რეზერვუარი; 3. მაგისტრალური მილი; 4. განმანაწილებელი მილსადენი; 5. ნიადაგის მკვებავი მილი; 6. წნევის მარეგულირებელი (ჩამქრობი) აპარატი.

ა) ბალუნის მომენტი




ბ) ღაკპტვისის მომენტი



ნახ. 2. წნევის მარეგულირებელი (ჩამქრობი) აპარატი

1. მაგისტრალური მილი; 2. მიმყვანი განმანაწილებელი; 3. დგუში; 4. განმანაწილებელი-მკვებავი მილი; 5. ხვრეტები; 6. პოლიეთილენის მილაკი; 7. მოცულობითი ჭურჭელი; 8. ზამბარა; 9. ელასტიური კბილანა; 10. კორპუსი



ნახ. 3. ნიადაგქვეშა-წვეთური მორწყვის წყალსადინართა საანგარიშო ჰიდრაულიკური სქემა

წნევის დაცემის შემდეგ მოცულობითი ჭურჭლიდან (7) მილაკის (6) საშუალებით წყალს გაიწოვს ნიადაგის მკვებავი მილსადენი (4). ავზის მთლიანად დაცლისას შეკუმშულ მდგომარეობაში მყოფი ზამბარა, მიაწვება დგუშს (3) და აამოძრავებს ქვემო-დან ზემოთ ე.ი. გაიხსნება საკეტი და დაიწყება ხელახალი პროცესი.

როდესაც წნევითა ვარდნის სიდიდე აღემატება 5 ატმოსფეროს, აუცილებელია მაგისტრალური მილსადენის დიამეტრის, წნევის ჩამქრობი აპარატისა და მკვებავი რეზერვუარის გაბარიტული ზომების გაზრდა. მოსარწყავ ფართობზე წყლის თანაბარი მიწოდების უზრუნველსაყოფად ჩატარებული ექსპერიმენტული და თეორიული კვლევების საფუძველზე შემოთავაზებულ იქნა ნიადაგქვე-

შა-წვეთური მორწყვის წყალსადინართა ჰიდრაულიკური გაანგარიშების მეთოდიკა [3, 4].

საანგარიშო ჰიდრაულიკური სქემა მოცემულია ნახ. 3-ზე.

განმანაწილებელ მილსადენში წნევის ცვალებადობის სიდიდე შესაძლებელია განისაზღვროს შემდეგი გამოსახულებით [4].

$$P_1(x) = \rho g H_0 + \rho \mu_1^2 \cdot \frac{q^2}{\omega_1^2} [L^2 - (L-x)^2] - \lambda_1 \rho \frac{\mu_1^2 q^2}{6d_1 \omega_1^2} [L^3 - (L-x)^3] \quad (1)$$

სადაც: d_1, ω_1, λ_1 და L გამანაწილებელი მილსადენის დიამეტრი, განივკვეთის ფართობი, ჰიდრაულიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი და სიგრძეა;

μ_1 – პერფორაციის ხვრეტებიდან გამოდინებისას ხარჯის კოეფიციენტი;

q – პერფორაციის ხვრეტებიდან გამოდინებული ხარჯის სიდიდე;

x – გრძივი კოორდინატა;

ρ – წყლის სიმკვრივე;

H_0 – დაწნევა განმანაწილებლის საწყის კვეთში;

g – სიმძიმის ძალის აჩქარება.

შემოთავაზებული საანგარიშო დამოკიდებულებით შესაძლებელია დამყარდეს კავშირი საწყის წნევასა, სისტემის მილსადენების სიგრძეებს, დიამეტრებს და გრუნტის ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლებს შორის.

ჩატარებული კვლევებით, ვაზის მიწისქვეშა-წვეთური მორწყვის შემთხვევაში ყველაზე ეფექტური გატენიანება შეიმჩნევა, როდესაც $H_0 = 0.5 \div 0.8$ მ მიმე და საშუალო შედგენილობის ნიადაგებში, პერფორაციის ფართობი $F = 0.05 \div 0.07$ სმ²/მ-ია. ხოლო დიამეტრი 1.5 მმ.

კვლევებმა აჩვენა აგრეთვე, რომ მორწყვის აღნიშნული მეთოდის გამოყენება, ზედაპირულ მორწყვასთან შედარებით გაცილებით ეფექტურია და მოსავლიანობა 30-35%-ით იზრდება.

განვიხილოთ განმანაწილებელ მილსა-

დენში $P_1(x)$ წნევის ცვალებადობის კონკრეტული შემთხვევა შემდეგი მონაცემების მიხედვით:

$L = 60$ მ (მისი სიგრძე შეიძლება იცვლებოდეს 100-დან 500 მ-მდე); $d_1 = 0.025$ მ; $\mu_1 = 0.65$; l – ნიადაგის მკვებავი მილი; ჩვენ შემთხვევაში $l = 1.0$ მ; $d_2 = 0.010$ მ; $i_1 \approx 0$, $i_2 \approx 0$, (პრაქტიკულად, განმანაწილებელი მილსადენის ქანობი შეიძლება მივიღოთ: $i = 0.00013 \div 0.00035$); H_0 – იცვლება 0.5 მ; 1.0 მ; 1.5 მ.

q ხარჯი განმანაწილებელში შეგვიძლია გამოვითვალოთ შემდეგი დამოკიდებულებით [5].

$$q = H_0 \cdot 2\pi k r n \quad (2)$$

სადაც: H_0 – დაწნევა განმანაწილებლის სათავეში; k – ფილტრაციის კოეფიციენტი; r – პერფორაციის ხვრეტის სიდიდე; $n = 1$ – პერფორაციის სიმკვრივე.


მაგალითად, როდესაც $H_0 = 1.0$ მ;

$k \approx 10^{-5}$ მ/წმ; $r = 1.5 \cdot 10^{-3}$; $n = 1$ ხარჯის სიდიდე ტოლი იქნება:

$$q = 1 \cdot 2 \cdot 3.14 \cdot 10^{-5} \cdot 1.5 \cdot 10^{-3} \cdot 1 \approx 10^{-7} \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ნახ. 4-ზე მოყვანილია $\frac{P_1(x)}{\rho g H_0}$ და $\frac{x}{L}$

დამოკიდებულების გრაფიკები.



ნახ. 4. წნევის ცვალებადობის გრაფიკი განმანაწილებლის გასწვრივ $P_1(x)/\rho g H_0$ და x/L დამოკიდებულების გრაფიკები

გრაფიკებიდან ნათლად ჩანს, რომ ჰიდროდინამიკური წნევის დანაკარგები განმანაწილებლის სიგრძეზე წყლის მოძრაობის და-

ბალი სიჩქარის შემთხვევაში უმნიშვნელოა და შეიძლება $\rho g H_0$ -ის ტოლი მივიღოთ.

დასკვნები

1. ნიადაგქვეშა-წვეთური მორწყვის დროს ეფექტურ გატენიანებას მძიმე თიხნარებში ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მილსადენის ხარჯის ინტენსივობა შეადგენს $q = (1 \div 4)$ ლ/სთ და დაწნევა $H_0 = 0.5 \div 0.8$ ზღვრებშია მოთავსებული
2. განმანაწილებლის სათავეში დამონტაჟებული ავტომატური აპარატით შესაძლე-

- ბელია, როგორც წყლის ხარჯის, ასევე წნევების რეგულირება;
3. ნიადაგქვეშა-წვეთური მორწყვის დროს ეროზიული პროცესები მინიმუმამდეა დაყვანილი, მოსავლიანობა ზედაპირული მორწყვის მეთოდთან შედარებით ორჯერ იზრდება, ხოლო წყლის დანაკარგები მცირდება 2.5–3.ჯერ.

ლიტერატურა

1. **Марков В.Г.** Орошение, М. Колос, 1979, 303 с.
2. **მელიორატორის ცნობარი**, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, 335 გვ.
3. **Кухалашвили Э.Г., Омсараშვილი Г.Г., Сахვაдзе А.Л., Кикабидзе М.Н.** „Гидравлический расчет водоводов подпочвенно-капельного орошения. //Сборник научных трудов Института водного хозяйства Грузии, №63, Тбилиси, 2007, с. 154-157.
4. **Кухалашвили Э.Г., Омсараშვილი Г.Г., Сахვაдзе А.Л., Лория М.Д.** Определение расстояния между распределителями подпочвенно-капельного орошения. //Известия Аграрной науки, Том 7, №1, 2009, с.77-80.
5. **Омсараშვილი Г.Г.** Гидравлика водоводов подпочвенно-капельного орошения. //Автореферат кандидатской диссертации, Тбилиси, 1987, 21 с.

**შპს-საქართველოს ეროვნული საწინააღმდეგო არხის მოწყობის
ახალი ტექნოლოგია და არხისმჭრელი**

ვახტანგ სამხარაძე, თორნიკე ჯანელიძე
Email: vsamxaradze@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

შესავალი

წყლისმიერ ეროზიას ადგილი აქვს უპირატესად მთის და მთისწინა რეგიონებში. დადგენილია რომ 10-20 გრადუსიანი ქანობის ფერდობიდან წელიწადში ჩამორეცხება 200-300 ტ/ჰა [1] ნიადაგი. ამასთან, ქანობისა და წვიმების ინტენსივობის ზრდისას მატულობს ჩამორეცხილი ჰუმუსოვანი ნიადაგის რაოდენობა. ანალოგიურ შედეგს იძლევა არასწორად ჩატარებული მელიორაციული ხასიათის ღონისძიებები, კერძოდ, რწყვის წესებისა და

ტექნოლოგიის დაუცველობისას ფართობების მორწყვის დროს, ადგილი აქვს ნიადაგის გაძლიერებულ ჩამორეცხვას. ეროზიის შესამცირებლად საჭიროა წყლის ნაკადის ენერჯის ჩახშობა, იმ დონემდე, რომ ადგილი არ ჰქონდეს ნიადაგის ჩარეცხვას, ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა ახალი ტექნოლოგიისა და შესატყვისი არხის მჭრელი მოწყობილობის დამუშავება.

პირითაღი ნაწილი

წყლისმიერი ეროზია მდგომარეობს ფართობის ზედაპირზე ჩამონადენი წყლის ნაკადის მიერ ნიადაგის ზედაპირული ფენის ნაწილაკების ჩამორეცხვაში, რაც განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს მთისწინა ნაწილში. ამასთან, წვიმების ინტენსივობის ზრდისას ფერდობზე მატულობს ჩამორეცხილი ჰუმუსოვანი ნიადაგის რაოდენობა. ასეთივე შედეგს იძლევა არასწორი მელიორაცია. სპეციალური ტექნოლოგიით დამუშავებული ნიადაგები ბევრად ამცირებს წყლისმიერ ეროზიულ პროცესებს [2].

წყლისმიერი ეროზია ძლიერდება მანამ, სანამ მცენარე ან ბალახი იწყებს აღმოცენებას. გაზაფხულზე, როცა იწყება ნიადაგის დამუშავება, ადგილი აქვს ატმოსფერული ნალექების, ნიაღვრისებური წვიმების მატებას და შესაბამისად იზრდება ინტენსიური ეროზიის საფრთხე. ამის თავიდან ასაცილებლად ერთ-ერთ ღონისძიებად ითვლება ნიადაგის დამუშავება სპეციალური ტექნოლოგიით. იგი ისე უნდა განხორციელდეს,

რომ გაიზარდოს წინააღმდეგობა ჩარეცხვისადმი, შემცირდეს წყლის ნაკადის სიჩქარე და გაძლიერდეს მისი ენერჯის დახშობა. ინტენსიური წვიმების შესაკავებლად საჭიროა გამოყენებული იქნეს შემდეგი ტექნოლოგიები და ნიადაგდამამუშავებელი მექანიზმები: ნიადაგის ხვნა გამაფხვიერებლებით, ბრტყელსაჭრელი გუთნებით, ფრთამოხსნილ გუთნებით ბელტის გადაბრუნების გარეშე. საფეხურიანი ხვნით, დისკოებიანი კულტივატორებით, ვერტიკალური ნაპრალსაჭრელებით მასში მოწყობილი ბუნკერით, ნაპრალში ჩასაყრელად სპეციალური მულჩირების აგრეგატის გამოყენება და სხვა [3].

აღნიშნული გათვლილია ზედაპირული წყლების შესაკავებლად ფერდობზე, წყლის ნაკადის სიჩქარის შესამცირებლად, რაც ხელს შეუწყობს ფერდობზე ჰუმუსოვანი ფენის შენარჩუნებას და სოფლის მეურნეობის კულტურების წარმოების ზრდას. ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმები ზედაპირული წყლის ნაკადის სიძლიერის

დასახშობად გაჭრილი არხები ფორმირდება თხრით, რის შედეგადაც არხის კედლები და ძირი იჭრება ნახლენებით. ერთი ინტენსიური წვიმის ნაკადის გავლის შემდეგ არხი იშლება და ვეღარ ასრულებს თავის დანიშნულებას.

არსებული მდგომარეობა გვეარნახობს, ფერდობზე ზედაპირული წყლის ნაკადის დამხშობი არხისმჭრელის ახალი ტექნოლოგიისა და მექანიზმების ძიების აუცილებლობას [4, 5].

არსებული თეორიული მასალების და მექანიზმების კვლევის ანალიზის საფუძველზე შერჩეული იქნა არხის მოწყობის ახალი ტექნოლოგია – ჭრა და ტკეპნა, რითაც თავიდან იქნება აცილებული გუთნისებური არხისმჭრელების უარყოფითი მხარეები.

რეკომენდებული ტექნოლოგიისა და მექანიზმების შერჩევას წინ უძღოდა შემდეგი თეორიული მასალების შესწავლა: გრუნტის სინესტისა და მუშა ორგანოს ჭრის კუთხის გავლენა არხისმჭრელის ფორმირების პროცესზე, არხისმჭრელის პარამეტრების შერჩევა, არხისმჭრელის გადაადგილების ოპტიმალური სიჩქარის დადგენა.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში დამუშავდა საგორი ტიპის მუშა ორგანო, რომელიც გამოირჩევა კონსტრუქციის სიმარტივით, მაღალი მწარმოებლობით, ექსპლუატაციაში მდგრადობითა და დაბალი ღირებულებით. ასეთი არხისმჭრელი საშუალებას მოგვცემს ნაწილობრივ მაინც ავიცილოთ თავიდან აღნიშნული სიძნელებები.


შემოთავაზებული არხისმჭრელის კონსტრუქცია წარმოადგენს კონიური ტიპის საგორ მუშა ორგანოს, რომელიც ღერძის

საშუალებით ჩასმულია შეველერებისაგან შეკრულ ჩარჩოში. იგი შედგება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მბრუნავი ორი შემადგენელი დისკოსგან, ორი კონიური გვერდითი საგორისგან და მუშა ორგანოზე დამაგრებული გრუნტის მწმენდებისაგან. იგი იკიდება მე-3 კლასის ტრაქტორის ჰიდრაულიკურ საკიდ მოწყობილობაზე. ჰიდრაულიკური სისტემის დაწოლითა და საკუთარი სიმძიმით იგი ჩაღრმავდება გრუნტში და ტრაქტორის გადაადგილებით უკან დატოვებს სამკუთხედის კვეთის ფორმის ჩატკეპნილ არხს [6÷8].

არხისმჭრელი აგრეგატირდება ტრაქტორის (1) საკიდ მოწყობილობაზე (3). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არხისმჭრელი (6) ჩასმულია შეველერებით შეკრულ ჩარჩოში (5), ჩარჩოს ჩასაბმელი თითის საშუალებით უერთდება ტრაქტორის მისაბმელ ღერძს (2). საკიდი მოწყობილობის ვერტიკალური წევები (7) თითების საშუალებით უერთდება ჩარჩოზე დამაგრებულ საყურეებს (8).

არხისმჭრელის ტექნიკური მანვენებლები:

1. არხისმჭრელი აგრეგატირდება მე-3 კლასის ტრაქტორის საკიდ მოწყობილობაზე;
2. სამკუთხედოვანი კვეთი: არხის ზომები სიგანე ზედაპირზე - - - - - 450მმ
სიღმე - - - - - 450მმ
3. სამუშაო სიჩქარე - - - - - 3,5 კმ/სთ;
4. მწარმოებლობა, -- - - - - 4 კმ/სთ;
5. კონიური დისკის დიამეტრი - - 1200მმ;
6. გვერდითი საგორების დიამეტრი – 300, 400 მმ;
7. მუშა ორგანოს წონა- - - - - 1200კგ;
8. მომსახურე პერსონალი (ტრაქტორისტი)- 1.



ნახ. 1. საგორი არხისმჭრელი

**ფერდობზე ეროზიის საწინააღმდეგო არხის მოწყობის
ახალი ტექნოლოგია და არხისმჭრელი**

ფერდობის კალთებზე ეროზიის შესამცირებლად ქანობის მართობული

მიმართულებით, ჭრითა და ტკეპნით იჭრება ინტენსიური წვიმებით გამოწვეული ზედაპირული წყლის დინების ენერჯის დამსშობი არხები, რითაც მცირდება ნიადაგის

ჩამორეცხვის პროცესი. აღსანიშნავია, რომ ჭრითა და ტკეპნით გაჭრილი არხი მდგრადია და არხის ჭრის სხვა ტექნოლოგიურ პროცესებთან შედარებით შეუძლია მთელი წლის განმავლობაში იფუნქციონიროს სამუშაო რეჟიმით.

დასკვნები

1. განხორციელებული თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები იძლევიან საფუძველს, დავასკვნათ, რომ ფერდობზე ინტენსიური წვიმების დროს ადგილი აქვს წყლის ნაკადის ზრდას, რაც აძლიერებს ეროზიულ პროცესს.
2. ზედაპირული წყლის ნაკადის სიძლიერის დასახშობად ფერდობისადმი მართობული მიმართულებით გუთნისებური არხისმჭრელებით იჭრება არხები.
3. გაჭრილ არხებს კედლებზე და ძირზე აქვს ნახლენები, რაც იწვევს ეროზიული პროცესების გაძლიერებას, არის არამდგრადი და მალე იშლება.
4. აქტიური მუშა ორგანოების გამოყენება

- იმავე დანიშნულებით არახელსაყრელია, მათ ახასიათებს: დაბალი წარმადობა და კონსტრუქციული სირთულეები;
5. შემოთავაზებული საგორი არხისმჭრელით გაჭრილი არხი, რომელიც არხს აყალიბებს ახალი ტექნოლოგიით, ჭრითა და ტკეპნით, მდგრადია, კედლები და ძირი აქვს ნახლენების გარეშე და მთელი წლის განმავლობაში შეუძლია შეასრულოს თავისი ფუნქცია – მიიღოს ზედაპირული წყლის ნაკადი და დაახშოს მისი გამრეცხი ძალა;
 6. არხისმჭრელი მარტივი კონსტრუქციისაა და აქვს მაღალი წარმადობა.

ლიტერატურა

1. **Мирцхулава Ц.Е.** Инженерные методы расчета и прогноза водной эрозии. М., Колос, 1970.
2. **Котлярова О.Г.** Ступенчатая вспашка на склонах. //ВНИИ механизации работ по защите почв от водной эрозии. М., Колос, 1999, с. 183-189.
3. **Вагина Я.Т.** Механизация защиты почв от водной эрозии. Ленинград, Колос, 1987.
4. **Самхарадзе В.И.** вопросы гидромелиорации в Грузии. //СБ. научн. тр. Тбилиси, 1987.
5. **ურუშაძე თ.** აგროეკოლოგია, თბილისი, 2001

6. **Самхарадзе В.И.** Лабораторные исследования моделей катковых каналорезов разной конструкции. //Жур. "Экологические системы и приборы", №8, М., 2004.
7. **სამხარაძე ვ.** დაჭაობებულ ადგილებში არხის გამჭრელი მოწყობილობა. პატენტი U 579, 1999.
8. **Самхарадзе В.И.** Исследование механизмов и технологии нарезки каналов. //Жур. "Экологические системы и приборы", М., 5, 2004.

ტერიტორიების ეკოლოგიური რისკის შეფასება

ლიანა ფურცელაძე
Email: L.Furceladze@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

შესავალი

ბუნებრივი გარემო, სამოქალაქო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა დანიშნულების ტერიტორიები თანამედროვე ინდუსტრიული განვითარების ეპოქაში მეტ-ნაკლებად ექვემდებარება ამა თუ იმ სახის ტექნოგენური ფაქტორებით გამოწვეულ არახელსაყრელ ზემოქმედებას, რომელთა შესაფასებლადაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მათემატიკური სტატისტიკის, საიმედოობის, რისკი-

სა და სხვა არსებული თეორიები. ეკოლოგიური და ეკონომიკური შეფასებისადმი ტექნოგენური ტერიტორიის ექსპლუატაციის ხანგრძლივობის შეფასებისადმი არაკვალიფიცირებულმა დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი ნაადრევად წყობიდან გამოსვლა, ავარიები, კატასტროფები და ეკოლოგიური უწესიერებები რთული და ზოგჯერ კი ურთულესი შედეგებითაც.

ძირითადი ნაწილი

საფრთხე, რომელიც ემუქრება ამა თუ იმ ტერიტორიას, შეიძლება იყოს ბუნებრივი, ტექნოგენური თუ სხვა წარმომავლობის და იგი შემთხვევითი ხასიათის მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ცხადია, რომ უსაფრთხოების განმსაზღვრელ მანქანებლებსაც აქვს შემთხვევითი ხასიათი. ამიტომაც ზოგადი სახით მათი უსაფრთხოების მანქანებელი განპირობებულია პირობათა ჯაჭვით.

ჩვეულებრივად, ტერიტორიის შემადგენლობაში შედის ობიექტები, უბნები, ელემენტები, რომლებსაც გააჩნია პასუხისმგებლობის სხვადასხვანაირი ხარისხი, მაგრამ სასურველია მიღებულ იქნეს გაანგარიშების ერთნაირი სქემა, ერთნაირი რისკის ზომა. ამასთან დაკავშირებით ფასდება ყოველი შემადგენელი ელემენტი და დგინდება ამ ტერიტორიისათვის უსაფრთხო ფუნქციონირების საერთო მანქანებელი შესაძლებელი შედეგების გათვალისწინებით ობიექტის წყობიდან გამოსვლისას, ადამიანთა მსხვერპლისას. აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ტერიტორიის ექსპლუატაციის ვადაც.

რისკის შეფასება წარმოებს შემდეგი

მიმდევრობით: 1. შინაგანი და გარეგანი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ზრდის ან ამცირებს კონკრეტულ რისკის ზომას; 2. გამოვლენილი ფაქტორების ანალიზი; 3. რისკის კონკრეტული შეფასება ფინანსურად; 4. ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრა (ფინანსური სახსრების ჩადების ეფექტურობა) [6, 5].

ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში ორგანიზაციების ქმედებებთან დაკავშირებული რისკის შეფასების შემდგომ დგინდება რისკის დასაშვები დონე და ხორციელდება ცალკეული ოპერაციების ანალიზი რისკის შერჩეული დონის მიხედვით. ანალიზის ბოლოს კი საჭიროა შემუშავდეს რისკის შესამცირებელი ღონისძიებანი, მათი შერჩევითი კანონის შეფასებით – პარამეტრიზაცია. როცა დავადგენთ ტერიტორიის ეკოლოგიური რისკის სიდიდის განაწილების კანონს, შესაძლებელია სათანადო ანალიზის განხორციელებით პრაქტიკულად დასმული ამოცანების ამოხსნა; სახელდობრ, შესაძლებელია პროგნოზირება და მასობრივი პროცესების შედეგთა

შედარება. ა. ეინშტეინი აღნიშნავდა, რომ „თეორიაში არასოდეს არ უნდა შევიზღუდოთ მხოლოდ დაკვირვებებით, სახელდობრ, თეორია განსაზღვრავს რას დავაკვირდეთ“. ტერიტორიებზე ეკოლოგიური რისკის საფრთხეს ექვემდებარება თითქმის ყველა რეგიონი.

სტატისტიკური ხასიათის მასალის არსებობის დროს მოცემულ ტერიტორიებზე ეკოლოგიური რისკის წარმოქმნის სიხშირე V – შეიძლება იქნეს განსაზღვრული შემდეგი გამოსახულებით:

$$V = \frac{n_n}{n_{\Sigma}} \quad (1)$$

სადაც n_n – ფიქსირებული უწყისივრობების შემთხვევათა რიცხვია;

n_{Σ} - ყველა ფიქსირებული და სავარაუდო შემთხვევის საერთო რიცხვი.

ავარიები საერთოდ დისკრეტული ტიპისაა, ისინი განაწილების კანონის მოცემით განისაზღვრება და არა ფუნქციის სახით, მათ შემდეგი ფორმა აქვს [4, 1, 3]:

$$X = \begin{cases} x_1, x_2, \dots, x_n \\ p_1, p_2, \dots, p_n \end{cases} \quad (2)$$

სადაც x_1, x_2, \dots, x_n არის ავარიების შესაძლო რიცხვითი მნიშვნელობები, ხოლო p_1, p_2, \dots, p_n მათი შესაბამისი ალბათობები:

$$p_i = P(X = x_i) \text{ და } \sum_{i=1}^n p_i = 1 \quad (3)$$

\bar{Q} პარამეტრი იქნება ტერიტორიის ეკოლოგიური რისკის (შესაფასებელი) პარამეტრის შეფასება, თუკი

$$P(|\bar{Q}(x_1, x_2, \dots, x_n) - Q| < \varepsilon) \rightarrow 1 - \text{საკენ,} \quad (4)$$

როცა $n \rightarrow \infty$

ე.ი. ალბათობა იმისა, რომ \bar{Q} სტატისტიკურ შეფასებასა და შესაფასებელ Q პარამეტრს შორის სხვაობის აბსოლუტური მნიშვნელობა ნაკლები იქნება რაგინდ მცირე $\varepsilon > 0$ სიდიდეზე, ახლოს არის ერთთან, როდესაც დაკვირვებათა რიცხვი n საკმაოდ დიდია [1, 2, 5, 4].

ცნობილია, რომ არსებობს გადაადგილებული და გადაუადგილებელი შეფასება: შეფასებას ეწოდება დადებითად გადაადგილებული, თუ მისი მათემატიკური ღოდინი

$$E[Q(x_1, x_2, \dots, x_n)] > Q \quad (5)$$

შეფასებას ეწოდება უარყოფითად გადაადგილებული თუ

$$E[\bar{Q}(x_1, x_2, \dots, x_n)] < Q \quad (6)$$

ხოლო $\bar{Q}(x_1, x_2, \dots, x_n)$ არის Q -ს გადაუადგილებელი შეფასება, თუკი

$$E[\bar{Q}(x_1, x_2, \dots, x_n)] = Q \quad (7)$$

ე.ი. გადაუადგილებელი შეფასების მათემატიკური ღოდინი შესაფასებელი პარამეტრის ტოლია.

ამგვარად, გადაუადგილებელი შეფასების გაბნევის ცენტრი ემთხვევა შესაფასებელი პარამეტრის – ჩვენს შემთხვევაში ტექნოგენური ტერიტორიის ეკოლოგიური რისკის პარამეტრის მნიშვნელობას.

ტერიტორიის ეკოლოგიური რისკის შეფასების შერჩევითი ერთობლიობის შესწავლის შედეგად მიღებული შეფასებანი, ცხადია, მიახლოებითი იქნება, და მიღებულ შეფასებას მხოლოდ მაშინ ექნება გარკვეული აზრი, როდესაც გვეცოდინება შეფასების შესაძლო ცდომილებათა საზღვრები, ან გვეცოდინება ის ინტერვალი, რომლისთვისაც გარკვეული ალბათობით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ის ფარავს შესაფასებელი პარამეტრის – ტერიტორიის ეკოლოგიური რისკის პარამეტრის მუდმივ მნიშვნელობას.

$$P\left\{\alpha < \frac{\bar{x} - a}{\sigma} < \beta\right\} = \quad (8)$$

$$= P\left\{\alpha \frac{\sigma}{\sqrt{n}} < \bar{x} - a < \beta \frac{\sigma}{\sqrt{n}}\right\} = \gamma$$

γ ალბათობას „ნდობის ალბათობა“ ეწოდება და მას საჭირო საიმედოობის დონედ წინასწარ ასახელებენ.

პრაქტიკული მიზნებისათვის სავალდებულო არ არის საძიებელი სიდიდის ჭეშმარიტი მნიშვნელობის პოვნა; საჭიროა იმ საზღვრების ცოდნა, რომელთა შიგნით ეს მნიშვნელობა იქნება მოთავსებული. ეს შესაძლებელია სტიუდენტის განაწილების დახმარებით [7].

ცდომილებათა თეორიის ძირითადი დაშვების საფუძველზე შესაძლებელია გაზომვის შედეგად მიღებულ მნიშვნელობათათვის ვუჩვენოთ, რომ დაკვირვებათა რიცხვის

ნებისმიერი მნიშვნელობისათვის ($n \geq 2$)

$$t = \frac{\bar{x} - a}{S_{\bar{x}}} \quad (9)$$

სიდიდის განაწილების სიმკვრივე იქნება [7]:

$$S(t, k) = C_k \left(1 + \frac{t^2}{k} \right)^{\frac{k+1}{2}}, \quad (10)$$

სადაც C_k დამოკიდებულია მხოლოდ k მუდმივზე, ხოლო $k = n - 1$, (9) ტოლობაში შემავალი $S_{\bar{x}}$ შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$S_{\bar{x}} = \frac{S}{\sqrt{n}}, \quad S = \sqrt{\frac{\sum (x_i - \bar{x})^2}{n-1}} \quad (11)$$

$S(t, k)$ არის სტიუდენტის განაწილების სიმკვრივე, ხოლო S - შესწორებული საშუალო კვადრატული გადახრა. (10) ტოლობა დაგვეხმარება

$$-t_a < t < t_a$$

უტოლობის აღბათობის ზუსტად განსაზღვრაში, სახელდობრ, თუ დაკვირვებათა რიცხვი $n \geq 2$, როგორც არ უნდა იყოს σ_x , t_a -ს ($t_a > 0$) ნებისმიერი მნიშვნელობისათვის, ადგილი ექნება შემდეგ ტოლობას:

$$P(-t_a < t < t_a) = \int_{t_a}^{-t_a} S(t, k) dt \quad (12)$$

თუ ამ ტოლობის მარცხენა მხარეს α -თი აღვნიშნავთ და მხედველობაში მივიღებთ, რომ $S(t, k)$ განაწილების სიმკვრივე ლუწი ფუნქციაა, მაშინ დავწერთ:

$$\alpha = P(-t_a < t < t_a) = 2 \int_0^{-t_a} S(t, k) dt \quad (13)$$

თუ გავიხსენებთ t -ს მნიშვნელობას, შევიძლია დავწერთ:

$$-t_a S_{\bar{x}} < \bar{x} - a < t_a S_{\bar{x}}.$$

ამგვარად, (13) ტოლობის ანალოგიურად გვექნება:

$$P(\bar{x} - t_a S_{\bar{x}} < a < \bar{x} + t_a S_{\bar{x}}) = 2 \int_0^{t_a} S(t, k) dt \quad (14)$$

როგორც (10) ტოლობიდან ჩანს, სტიუდენტის განაწილება მხოლოდ t და k -ზეა დამოკიდებული, ამიტომ, როდესაც α აღბათობაა მოცემული, მაშინ, (13) ტოლობით ყოველთვის ვიპოვით t_a -ს ისეთ დადებით

მნიშვნელობას, რომელიც დამოკიდებული იქნება მხოლოდ α და n -ზე, მაშასადამე, თუ შემოვიღებთ აღნიშვნას

$$\varepsilon = t_a S_{\bar{x}}, \quad (15)$$

მაშინ (14) ტოლობის ძალით გვექნება:

$$P(\bar{x} - \varepsilon < a < \bar{x} + \varepsilon) = \alpha, \quad (16)$$

სადაც ε დამოკიდებული იქნება n , x და x_i სიდიდეებზე (ეს უკანასკნელები ε -ში შედის $S_{\bar{x}}$ -ის საშუალებით).

მიღებული (16) ტოლობა საშუალებას გვაძლევს ზუსტად შევაფასოთ $\alpha \cong x$ მიახლოებითი ტოლობა.

ზემოთ, ტექნოგენური ტერიტორიის ეკოლოგიური რისკის შეფასების სიდიდის მიახლოებით მნიშვნელოვად გაზომვათა საშუალო არითმეტიკული მივიღეთ იმ დაშვებით, რომ ამ საშუალოს მათემატიკური ლოდინი გასაზომი სიდიდის α ჭეშმარიტი მნიშვნელობის ტოლია. (16) ტოლობა შესაძლებლობას გვაძლევს სხვა გზითაც დავადასტუროთ ასეთი მიახლოებითი ტოლობით სარგებლობის მართებულობა.

სახელდობრ, (16) ტოლობაზე დაყრდნობით შეიძლება ვუჩვენოთ, რომ თითქმის ერთის ტოლი აღბათობით \bar{x} რაგინდ მცირედ იქნება განსხვავებული α -გან, თუკი x_i სიდიდეების მიმართ ადგილი აქვს ჩვენს ძირითად დაშვებას.

როგორც ზემოთ გვექნება, ძირითადი დაშვების შემთხვევაში შეფასების შედეგად მიღებულ სიდიდეებს ერთი და იგივე დისპერსია ექნება და მაშინ S^2 -ის მათემატიკური ლოდინი σ_x^2 -ის ტოლი იქნება:

$$E(S^2) = \sigma_x^2 \quad (17)$$

მართლაც,

$$\begin{aligned} E(S^2) &= E \left[\sum_{i=1}^n \frac{(x_i - \bar{x})^2}{n-1} \right] = \\ &= \frac{1}{n-1} E \left\{ \sum_{i=1}^n [(x_i - a) - (\bar{x} - a)]^2 \right\} = \\ &= \frac{1}{n-1} E \left[\sum_{i=1}^n (x_i - a)^2 - 2 \sum_{i=1}^n (x_i - a)(\bar{x} - a) + \right. \\ &\quad \left. + \sum_{i=1}^n (\bar{x} - a)^2 \right] = \frac{1}{n-1} \left[\sum_{i=1}^n (x_i - a)^2 - \right. \end{aligned}$$

$$-2 \sum_{i=1}^n E(x_i - a)(\bar{x} - a) + \sum_{i=1}^n E(\bar{x} - a)^2 \Big] =$$

$$= \frac{1}{n-1} \left[n\sigma_x^2 - 2(\bar{x} - a) \sum_{i=1}^n E(x_i - a) + nE(\bar{x} - a)^2 \right]$$

ახლა გამოვთვალოთ აქ შემავალი გამო-
სახელებები:

$$(\bar{x} - a) \sum_{i=1}^n E(x_i - a) = (\bar{x} - a) nE(\bar{x} - a) =$$

$$= nE(\bar{x} - a)^2 \quad (18)$$

$$E(\bar{x} - a)^2 = E\left(\frac{x_1 - a}{n} + \frac{x_2 - a}{n} + \dots + \frac{x_n - a}{n}\right)^2 =$$

$$= \frac{1}{n^2} [E(x_1 - a)^2 + \dots + E(x_n - a)^2] = \frac{n\sigma_x^2}{n^2} = \frac{\sigma_x^2}{n} \quad (19)$$

(19) ტოლობის მნიშვნელობა შევიტანოთ
(18) ტოლობაში, გვექნება:

$$(\bar{x} - a) \sum_{i=1}^n E(x_i - a) = \sigma_x^2 \quad (20)$$

(19) და (20) ტოლობათა მნიშვნელობები
შევიტანოთ $E(S^2)$ -ის გამოსახულებაში,
გვექნება:

$$E(S^2) = \frac{1}{n-1} \left(n\sigma_x^2 - 2n \frac{\sigma_x^2}{n} \right) = \sigma_x^2.$$

ამგვარად, მივიღეთ:

$$E(S^2) = \sigma_x^2, \quad (21)$$

საიდანაც შემდეგი მიახლოებითი ტოლო-
ბის დაწერა შეგვიძლია:

$$S^2 \approx \sigma_x^2. \quad (22)$$

ნაშრომში მოცემულია ტექნოგენური ტე-
რიტორიის ეკოლოგიური რისკის განმარტება
და მისი ექსპლუატაციის ხანგრძლივობის
შეფასების საჭიროება;

მოყვანილია რისკის შეფასების მიმდევ-
რობა;

მოცემულია დისკრეტული ტიპის ეკოლო-
გიური ავარიები და მისი განაწილების კანო-
ნის სახე;

განხილულია ტექნოგენური ტერიტორიის
ეკოლოგიური რისკის შესაფასებელი პარა-

მარტივად შეიძლება იმის ჩვენება, რომ

$$\lim_{n \rightarrow \infty} S_x^2 = \lim_{n \rightarrow \infty} \frac{S}{\sqrt{n}} = 0 \quad (23)$$

ე.ი., როდესაც $n \rightarrow \infty$, გვექნება

$$\varepsilon = t_a S_x^2 \rightarrow 0. \quad (24)$$

ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაც მეტი იქნე-
ბა გაზომვათა რიცხვი, მით უფრო ზუსტი
იქნება $a \approx x$ მიახლოებითი ტოლობის
სიზუსტე.

ტიპური ამოცანის ამოხსნა

ამოცანა – ტერიტორიის ეკოლოგიური
რისკის შესაფასებლად შემოწმებული იქნა
ხუთი ობიექტი. დასადგენია ტერიტორიების
დაზიანების რისკის ხანგრძლივობის საშუა-
ლო მნიშვნელობისა და დისპერსიის გადა-
უადგილებადი შეფასებები, თუ დაკვირვების
შედეგებია 120 თვე; 123 თვე; 121 თვე; 119
თვე; 117 თვე.

ამოხსნა: გენერალური ერთობლიობის
საშუალო მნიშვნელობის გადაუადგილებადი
შეფასება იქნება

$$\bar{X} = \frac{1}{5} (120 + 123 + 121 + 119 + 117) = 120,$$

ხოლო დისპერსიის გადაუადგილებელი
შეფასება გამოითვლება ტოლობით:

$$S^2 = \frac{1}{5} [(120 - 120)^2 + (123 - 120)^2 +$$

$$+ (121 - 120)^2 + (119 - 120)^2 + (117 - 120)^2] =$$

$$= \frac{1}{5} [0^2 + 3^2 + 1^2 + (-1)^2 + (-3)^2] = \frac{20}{5} = 4$$

დასკვნა

მეტრის ძალღებულის შეფასება;

მოყვანილია ტიპური ამოცანა და მისი
ამოხსნა.

განსაზღვრულია სტატისტიკის არსებო-
ბის დროს ზოგიერთი ტექნოგენური ტერი-
ტორიის ეკოლოგიური რისკის დონის წარ-
მოქმნის სიხშირე.

განხილულია ტექნოგენური ტერიტორიის
ეკოლოგიური რისკის ნდობის ინტერვალის
დადგენა სტიუდენტის განაწილების დახმა-
რებით.

ლიტერატურა

1. **ფურცელაძე ლ.** ჰიდრონაგებობების ავარიები და მათი ალბათური პროგნოზირება. //„მეცნიერება და ტექნოლოგიები“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო რეფერირებული ჟურნალი №1-2, თბილისი, 2009.
2. **Мициулава Ц.Е.** Опасности и риски на некоторых водных и других системах. Виды, анализ, оценка. В 2-х книгах, "Мециереба", Тбилиси, 2003.
3. **ფურცელაძე ლ.დ.** ბუნებრივი გარემოს საფრთხის პროგნოზირება და ავარიის რისკის შეფასება. //საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი. სამეცნიერო შრომათა კრებული №65, თბილისი, 2010 წ.
4. **მანია გ.** – ალბათობის თეორია.
5. **Кузнецов М.С., Глазунов Г.П.** – Эрозия и охрана почв, 1966.
6. **Гавардашвили Г.В., Диаконидзе Р.В., Чаяя Г.Г., Цулукидзе Л.Н., Пирцхалаишвили И.Т.** Исследование русловых процессов реки Арагви от Жинвальской земляной плотины до впадения в реку Куру. //Сборник научных трудов №65, Институт водного хозяйства, Тбилиси, 2010.
7. **Ллойд Д., Липов М.** Надежность, организация исследования, методы, математический аппарат. «Советское радио», Москва, 1964.

**მდინარე რიონის ქ. ფოთის არხით ზღვასთან შესართავ შუანში
ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადობის საკითხები**

იური ქადარია

Email: i.Kadaria@gtu.ge

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მ. კოსტავას ქ. 77, ქ. თბილისი, საქართველო

შესავალი

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფართოდ გაშლილმა ჰიდრომშენებლობამ დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე და მათი ჰიდროლოგიური რეჟიმების ხელოვნურად შეცვლამ ძალზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს ფარგლებში შავი ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადობასა და შესართავი უბნების კალაპოტურ პროცესებზე. ეს გავლენა განსაკუთრებით აისახა მდ. რიონზე და მდ. ენგურზე მსხვილი ენერგეტიკული ჰიდროკვანძების აშენების შედეგად. კერძოდ 1939 წელს ქ. ფოთიდან მე-7 კილომეტრზე აშენდა წყალგამყოფი ჰიდროკვანძი, რომლის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა აეცილებინა ქალაქისათვის მდ. რიონის წყალდიდობის ხარჯები, რომელიც იწვევდა ქალაქის უმეტესი ნაწილის დატბორვას. წყალდიდობის ძირითადი ხარჯები მიმართულ იქნა ნავსადგურის ჩრდილოეთით დაუსახლებელი ტერიტორიების გავლით და შეუერთდა ზღვას სოფ. ნაბადას განაპირა ტერიტორიებით. ასევე აღნიშნული პერიოდისა და რიონის ზემო ნაწილში რამდენიმე ჰიდროელექტროსადგურის აგებამ პრაქტიკულად შეაჩერა მყარი ნატანის ტრანსპორტირება პლიაქწარმომქნელი დანიშნულებით.

ყოველივე ზემოაღნიშნული გახდა მიზეზი იმისა, რომ დაირღვა ბალანსი მდინარის მყარ ჩამონადენსა და ზღვის პლაქწარმომქმნელ მასალას შორის. ტალღის ზემოქმედე-

ბით დაიწყო სანაპირო ზოლის წარეცხვები, რომელიც ამჟამად გრძელდება. კერძოდ ქ. ფოთის სანაპირო ზოლი დღევანდელი მდგომარეობით წარეცხილია საშუალოდ 0,9 კმ-ის სიგანით, გარდა ჰიდროეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებისა, მოსახლეობის ნაწილს მოუწია გადასახლება სანაპირო ზოლიდან და ა.შ.

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა აგრეთვე მდინარეთა კალაპოტებისა და ზღვის გაუმართლებელმა ნაპირდაცვითმა ღონისძიებებმა, ინერტული სამშენებლო მასალის ბრაკონიერულმა მოპოვებამ მდინარეთა კალაპოტებიდან და სხვა. ამჟამად ვერაზის სატრანსპორტო დერეფნის, ნავთობგადაზიდვების, სატრანსპორტო მშენებლობისა და ურბანიზაციის ტემპების ინტენსიურ ზრდასთან ერთად მოიმატა შავი ზღვის აკვატორიის კატასტროფული დაბინძურების საფრთხე.

შავი ზღვის სანაპირო ზოლის საქართველოს პერიმეტრის მდგრადობა და ნაპირდაცვითი ღონისძიებების გაუმჯობესება თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გათვალისწინებით მოითხოვს არსებული მოვლენათა გამომწვევი მიზეზების მეცნიერულ შესწავლას და ინჟინრულად გამართული სარეაბილიტაციო ღონისძიებათა დასახვას.

ძირითადი ნაწილი

კოლხეთის დაბლობის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ნატანით მკვებავს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს მდინარეები,

ძირითადად, მდინარე რიონი, რომელმაც ზღვასთან შესართავი ორი ტოტით შექმნა კუნძული „დიდის“ ფორმირებისათვის


იური ქადარია

შესაფერისი პირობები. 1804 წლიდან 1926 წლამდე კუნძული იზრდებოდა 1,1 ჰექტრის ინტენსიურობით წელიწადში და 102 ჰექტრიდან 235 ჰექტარი გახდა.

ნახ. 1-ზე სქემატურად ნაჩვენებია 1804 წლიდან 1925 წლამდე კუნძულ „დიდის“ ზრდის კონფიგურაცია.

1939 წლიდან მდ. რიონზე რაბრეგულიატორის მოწყობის შემდეგ ძირითადი ხარჯები მიმართული იქნა ჩრდილოეთით მდინარე ნაბადის წინასწარ გაფართოებული კალაპოტი. ამ პერიოდიდან მოყოლებული იწყება ძირითადი შესართავი

უბნების და ქ. ფოთის სანაპირო ზოლის ინტენსიური წარეცხვები, ხოლო ნაბადის მიმდებარე დაჭაობებული ტერიტორია და რიონის ზღვასთან შესართავი ახალი უბანი იწყებს დასილვას. მეტიც, ეს უბანი იმდენად დაისილა, რომ ზღვის ტერიტორიის ხარჯზე წარმოიქმნა დელტა კუნძულით და ამავე პერიოდიდან დაიწყო ნატანის გადაადგილება სანაპირო ზოლის გასწვრივ ნაბადიდან სამხრეთის მიმართულებით, რამაც მოსილვების გამო უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ნავსადგურის შესასვლელი არხის ქმედითუნარიანობაზე.



ნახ. 1. ზღვის ნაპირის დინამიკა ფოთის პერიმეტრზე 1804-1925 წლები

1958-1960 წლებში კუნძული „დიდის“ პერიმეტრზე მოწყობილი 70 მ-ის სიგრძის ბუნები, რომლებიც მოწყობილი იყო ორ რიგად გრუნტში ჩასობილ რელსების ფლეთილი ქვების შევსებით. ამ ღონისძიებამ ვერ შეაფერხა ნაპირისკენ მიმართული ტალღების შემოქმედება და ვერ შეძლო წარეცხვების შეჩერება. ამიტომ განხორციელებულ ღონისძიებას წარმატებები არ მოულოია.

შემდგომ პერიოდში წარეცხვების შესაჩერებლად კუნძული „დიდი“-ს პერიმეტრზე ჩაიყარა ფლეთილი ქვები, რამაც ნაწილობრივ შეასრულა კიდეც თავისი დანიშნულება, მაგრამ უკუფილტრის არარსებობის გამო ქვები ჯდებოდა გრუნტში და რეგულარულად მოითხოვდა განახლება-დამატებას. მიუხედავად წარეცხვების შემცირებისა გრძელდებოდა სიღრმითი წარეცხვები სანაპირო ზოლში.

1980 წლისათვის სიღრმითი წარეცხვები სანაპირო ზოლში დამბის წინ აღწევდა კრიტიკულ მნიშვნელობას, რამაც გამოიწვია დამბაზე 2 მ-ზე მეტი სიმაღლის ტალღების შემოქმედება და დამბის შემდგომი ხანგრძლივი პერიოდით დაცვა შეუძლებელი ხდებოდა.

შედარებით ეფექტური ღონისძიება იქნა გატარებული 80-იანი წლების შუა პერიოდში, როცა მიწისძვრის დანადგარებით ნატანი მიწოდებოდა სანაპირო ზოლს წყალგამყოფი ჰიდროკვანძის ზემო ბიეფიდან (იხ. ნახ. 1). რაბ-რეგულატორის ზემო ბიეფში დაღეპილი ნატანის ფრაქციული შემადგენლობა დაახლოებით შეესაბამებოდა პლაჟმარმონელი ქვიშის საშუალო დიამეტრს 0.26 მმ-ს. მიწოდებული ნატანი იღეპებოდა შეყურსულად სანაპირო ზოლის პერიმეტრზე, ხოლო შემდგომ იგი ტალღის შემოქმედებითა და ზღვის წყლის დინებით ნაწილდებოდა და აფორმირებდა პლაჟს.

შავი ზღვის ფოთის სანაპირო ზოლის დაცვის და პლაჟის ნაწილობრივი აღდგენის ძირითად ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს ნატანის მისაღები ფრაქციული შემადგენლობის ხელოვნურად შემოტანა რაბ-რეგულატორის ზემო ბიეფიდან ან/და მდ. რიონის ჩრდილოეთის ტოტის ზღვასთან შესართავი აკვატორიიდან რენტაბელობის გათვალისწინებით. სამწუხაროდ 90-იან წლებიდან საქართველოში განვითარებულმა მოვ-

ლენებმა თავისი უარყოფითი ზეგავლენა იქონია ქ. ფოთის ნაპირდაცვის პრობლემის გადაწყვეტაზე. დაუფინანსებლობის გამო მთლიანად შეწყდა შავი ზღვის სანაპირო ზოლის აღდგენითი სამუშაოები. ამჟამად პრაქტიკულად არ წარმოებს ფოთის სანაპირო ზოლის აღდგენა ნატანის ხელოვნურად მიწოდებით. ქალაქის სანაპირო ზოლი იკვებება მხოლოდ ქალაქის არხით ბუნებრივად მიწოდებული ნატანით. აქედან გამომდინარე ზღვის ტალღების შემოქმედების შედეგად მეტნაკლები ინტენსივობით გრძელდება პერიმეტრის წარეცხვები.

მტორმული ვითარება ზღვაზე და ტალღური შემოქმედება სანაპირო არეებზე არის სანაპირო არეების ინტენსიური წარეცხვების ძირითადი მიზეზი, იქ არსებული პასიური ჰიდროტექნიკური ნაგებობების ნგრევისა. ამიტომ ნაპირდაცვით ღონისძიებათა დასახვა უნდა ხდებოდეს ტალღური პარამეტრების გაანგარიშების საფუძველზე მდინარეების ზღვასთან შესართავ აკვატორიებში. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგებზე პროფ. შალვა გაგოშიძისა და ჩვენს მიერ მოხსენებულ იქნა გრძელი ტალღების პრობლემებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე 2003 წელს ქ. სალონიკში (საბერძნეთი) [2].

მცირე ქანობის შემთხვევაში მდინარეების შესართავი უბნებისათვის ტალღების მოძრაობისას სითხის ნაწილაკების სიჩქარეები იანგარიშება შემდეგი გამოსახულებით:

$$U = U_0 - a_0 \frac{\sigma}{\sqrt[4]{(k_0 H)^3}} \left(\frac{U_0}{\sqrt{gH}} \pm 1 \right) \times \sin \left(\sigma t - \frac{\sigma U_0}{g i_0} \pm 2 \sqrt{\frac{k_0 X}{i_0}} \right) \quad (1)$$

სადაც $U_0 / \sqrt{gH} < 1$; $U_0 = q / H$ – ნაკადის სიჩქარეა; $\sigma = 2\pi / \tau$ – ტალღურ რხევათა სიხშირეა; $k_0 = 2\pi / \lambda_0$ – ტალღური რიცხვია; λ_0 – ტალღის სიგრძეა.


მიღებული გამოსახულების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს სითხის ნაწილაკთა სიჩქარეები მდინარეთა შესართავ აკვატორიებში, როცა ტალღები მიმართულია, როგორც ნაპირიდან ზღვისკენ მდინარის დინების თანხვედნილი მიმართულებით ნიშანი „–“ (1 დამოკიდებულებით), ასევე

დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ნიშანი „+“ სხვადასხვა ხარჯების შემთხვევაში [3].

ნახ. 2-ზე მოცემულია მდ. რიონის ქალაქის არხით შესართავ აკვატორიაში სითხის ნაწილაკების სიჩქარეთა განაწილების კერძო შემთხვევა; არხი, სიგანით $B_0 = 80$ მ-ია, სიღრმით $H_0 = 4$ მ, ატარებს $Q = 400$ მ³/წმ-ში ხარჯს (დაყვანილი ხარჯი $q = 5$ მ²/წმ), რომელიც შეესაბამება მდ. რიონის ქალაქის არხით გასატარებელი შესაძლო მაქსიმალური ხარჯის მნიშვნელობას. შესართავ აკვატორიაში ზღვის ფსკერის ქანობი $i_0 = 0,0067$; პლაჟწარმოქმნელი ნატანის გამრეცხი სიჩქარე $U_{გამ} = 0,8$ მ/წმ, ხოლო ზღვის მხრიდან შესართავისაკენ მოემართება რეგულარული ტალღები. ტალღის სიმაღლე ნაპირიდან შორს ღრმა წყალზე

$h_0 = 2$ მ-ს (ამპლიტუდა $a_0 = 1$ მ-ია), ტალღის სიგრძე $\lambda_0 = 108$ მ-ს, ტალღის პერიოდი $\tau = 8,31$ წმ (შესაბამისად ტალღური რიცხვი $k_0 = 2\pi / \lambda_0 = 0,058$ მ⁻¹ და სიხშირე $\delta = 2\pi / \tau = 0,76$ წმ⁻¹).

ნაპირისაკენ მიმართული დეფლუას წყლის ნაწილაკთა დადებითი (ზღვისკენ მიმართული) და უარყოფითი (ნაპირისკენ მიმართული) მაქსიმალური სიჩქარეების ცვლილებების მრუდები შესართავ აკვატორიაში ზღვის სხვადასხვა სიღრმეებისათვის აგებულია (1) დამოკიდებულების საფუძველზე. (1) გამოსახულებაში აღებულია ზედა („+“) ნიშანი და $\sin = (f(t, U_0 \sigma, \chi)) = -1$, როცა ნაპირისკენ გადაადგილება ტალღის ფსკერი, ხოლო $\sin = (f(t, U_0 \sigma, \chi)) = +1$ ქიმის გადაადგილების შემთხვევაში.



ნახ. 2. ქ. ფოთის საქალაქო არხის შესართავ აკვატორიაში ტალღების შემთხვევაში სითხის ნაწილაკების სიჩქარეთა განაწილების კერძო შემთხვევა

ნატანგამრეცხი სიჩქარის ამსახველი წრფეების გადაკვეთა აღნიშნულ მრუდებთან და აგრეთვე მდინარის ჭავლის U_0 სიჩქარის ცვლილების მრუდთან გვიჩვენებს, რომ მოცემული დეღვის შედეგად ნატანი ინტეგრალურად გადაიტანება $H = 22$ მ სიღრმემდე ნაპირის საზიდან დაახლოებით 2.7 კმ მანძილზე. ხოლო, როდესაც ზღვაზე არ გვაქვს დეღვა ($\sigma = 0$) მდინარის მიერ გამოტანილი

ნატანი დაილექება $H = 6,25$ მ სიღრმემდე. ანუ ნაპირთან ახლოს, 335 მ-ის ფარგლებში. ნატანის აკუმულირებული ეს რაოდენობა შემდგომ ტალღებისა და ზღვის სანაპირო ზოლში არსებული ნაპირგასწვრივი დინებებით მოხმარდება პლაჟის ფორმირებას, თუ დეღვის პროცესში წყალგამყოფი ჰიდროკვანძიდან შევწყვეტთ მდინარის ხარჯების მიწოდებას ქალაქის არხით.

დასკვნა

1. მდინარე რიონის მე-7 კილომეტრზე (ქ. ფოთიდან) არსებული წყალგამყოფი ჰიდროკვანძის მეშვეობით ქალაქის არხში უნდა გატარდეს წყალდიდობის ნატანშემცველი მაქსიმალური ხარჯები, როდესაც ზღვა წყნარ მდგომარეობაშია. ამ პერიოდში მოხდება ნატანის აკუმულაცია შესართავ უბანში;

2. ზღვაზე არსებული დეღვის პერიოდში უნდა შეწყდეს ქალაქის არხით ხარჯების გატარება, გარდა სანიტარული ნორმებით გათვალისწინებული ხარჯებისა. შემდგომ ზღვის ტალღები და დინებები მოახდენს შესართავ უბანში დაღეჭილი ნატანის გადანა-

წილებას სანაპირო ზოლის პერიმეტრზე, რაც ბუნებრივად შეუწყობს ხელს პლაჟის ფორმირებას;

3. ქალაქის არხით მაქსიმალური ნატანშემცველი ხარჯების გასატარებლად საჭიროა დასრულდეს ქალაქის ფარგლებში არხის ბეტონის კედლების მოწყობა, გაიწმინდოს ქალაქის არხის ნაპირები მცენარეებისა და წყალმცენარეებისაგან;

4. აღნიშნული რეჟიმის დაცვით წყალგამყოფი ჰიდროკვანძის ექსპლუატაცია ხელს შეუწყობს „ქალაქის“ პერიმეტრზე პლაჟარმომქნელი ნატანის რეგულირებას.

ლიტერატურა

1. Меладзе Ф.Г. Инженерные решения защиты морских берегов, Тбилиси, 1993, 206 с.
2. Gagoshidze, Sh.; Kadarja, J. Long wave on variable stationary flow. //Proceedings of Long Waves Symposium, in parallel with the XXX IAHR Congress, Thessaloniki, Greece, August 25-27,

2003.
3. ქადარია ი. ზღვასთან მიმდებარე ჰიდროტექნიკური ნაგებობების გაანგარიშების მეთოდები. //დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად; 2005, გვ. 99-108; 219-223

ნიადაგ-ბრუნტების ფილტრაციული მდგრადობის კრიტერიუმები

ვლადიმერ შურღაია, შორენა კუპრეიშვილი, პაატა სიჭინავა

Email: shorena_12@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

შესავალი

გრუნტის მდგრადობის პირობების დადგენა მიწისქვეშა ნაკადების ზემოქმედებით საინჟინრო გეოლოგიისა და გრუნტმცოდნეობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

სუფოზიისადმი დიდი დამყოლობა ახასიათებს ისეთ გრუნტებს, რომელთა შემადგენელი ნაწილაკები არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ბმულობის ძალებით. ასე მაგალითად, წვრილმარცვლოვანი ქვიშები. მაგრამ, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ბუნებრივ პირობებში, განსაკუთრებით წვრილი ქვიშის ფრაქციები ხასიათდება ურთიერთშეჭიდულობის თვისებით, რაც განპირობებულია წყლის თხელი აფსკების „ცემენტაციის“ უნარით, გამყოფ ზედაპირზე ელექტრო-ქიმიური პოტენციალის წარმოშობის გამო [1, 2].

სელიმენტაციის პროცესი წვრილ ქვიშებში იწვევს მათ „შემკვრივებას“ ისეთი ხარისხით, რომ ფორებში არსებული მოდიფიცირებული წყალი მონოლითურობას ანიჭებს გრუნტის მასას [3÷6]. ეს კარგად ჩანს ექსპერიმენტებში, კერძოდ წვრილფრაქციული ქვიშის შინაგანი ხახუნის კუთხის მაგალითზე. მშრალ მდგომარეობაში, ქვიშის ნაყარის ზედაპირზე კვალი კასეტაში სწორი ხაზით

აისახება და საკმარისია მისი დასველება, რომ მკაფიოდ გამოიხატოს, კედელთან შეხების წერტილიდან ზედაპირის მრუდხაზოვანი უბანი. ეს მიანიშნებს ბმულობის ხვედრითი ძალის არსებობაზე, იმის ანალოგიურად, რაც ახასიათებს ბმულ სტრუქტურულ-მარცვლოვან სისტემებს.

ამის გამო, ხშირად აღვილი აქვს არა თუ ნაწილაკების გამოტანას, არამედ არ ხდება ჰიდროსტატიკური წნევის გადაცემა, ირღვევა ჰიდრაულიკური კავშირი და გრუნტის მთელი შრე იწყებს შეტივანარებას, ანალოგიურად ღრუტანიანი მყარი გარსების არქიმედეს ძალის ზეგავლენით. ასეთი საკითხების და კონკრეტული ამოცანების განხილვა სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს და ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ მას უშუალო კავშირი გააჩნია საწყისი გრადიენტის წარმოშობის მექანიზმთან. ამიტომ ჩვენ განვიხილავთ, მხოლოდ ისეთ ფხვიერ გრუნტებს, რომელთა შემადგენელი მყარი მარცვლების წონასწორობა დამოკიდებულია მათ წონაზე და ჰიდროდინამიკური (ფილტრაციული) ძალის ურთიერთქმედებაზე.

ძირითადი ნაწილი

როგორც აღვნიშნეთ, ფხვიერი გრუნტის ტანიდან ნაწილაკების გამოტანის ალბათობა დამოკიდებულია თვით ნაწილაკების (აგრეგატების) საკუთარ წონაზე და ფილტრაციული ნაკადის მოქმედი გრადიენტის სიდიდეზე.

განვიხილოთ გრადიენტის რაღაც ელემენტარული მოცულობის წონასწორობა ნახ. 1-ზე ნაჩვენები სქემის მიხედვით.

დავუშვათ რომ, ზემოთ მიმართული ნაკადის $d\ell$ მანძილზე დაწნევის კარგვა შეადგენს dH , მაშინ მოქმედი გრადიენტი ტოლი იქნება $I = \frac{dH}{d\ell}$, ხოლო შემატივანარებელი ძალა

$$dF = d\omega \cdot dH\gamma_0 \quad (1)$$

სხეულის ელემენტარული მოცულობის წონა წყალში, შემატენარებელი ძალის გათვალისწინებით ტოლი იქნება


$$dG = d\omega \cdot d\ell(\gamma - \gamma_0)(1 - n) \quad (2)$$

(1) და (2) ფორმულებში მიღებულია აღნიშვნები: γ – გრუნტის კუთრი წონა აბსოლუტურად მშრალ მდგომარეობაში (ნიმუში, გამომშრალი ელექტროღუმელში 104°C); γ_0 – წყლის კუთრი წონა, n – მოცულობითი (ფარდობითი) ფორიანობა, რომელიც გამოითვლება: $n = \frac{\gamma - \gamma_1}{\gamma}$, სადაც γ – გრუნტის კუთრი წონაა ფორების გარეშე. ზღვრული წონასწორობის პირობა (1) და (2) ფორმულების გამოყენებით გამოითვლება შემდეგნაირად

$$d\omega dH \gamma_0 = d\omega d\ell(\gamma - \gamma_0)(1 - n), \quad (3)$$

საიდანაც კრიტიკული გრადიენტის მნიშვნელობა, რომელიც შეესაბამება გრუნტის ზღვრულ წონასწორულ მდგომარეობას განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$I_{gr} = I = \frac{dH}{d\ell} = \frac{(\gamma - \gamma_0)(1 - n)}{\gamma_0} \quad (4)$$



ნახ. 1. აღმავალი ნაკადით გრუნტის შეტიენარების საანგარიშო სქემა

დანაღეკი ქანებისათვის და კერძოდ, გრუნტების უპირატესი უმრავლესობისათვის γ იცვლება (2,65÷2,75)·10⁴ ნ/მ³, ანუ საშუალოდ ჩონჩხის კუთრი წონა აიღება 2,7·10⁴ ნ/მ³, ხოლო წყლის კუთრი წონა ჩვეულებრივად –

1,0·10⁴ ნ/მ³.

გრუნტის ფაქტიური მოდელისათვის, სფერული ფორმის მარცვლების კუბიკური (ფაშარი) და ჰექსაგონალური (მჭიდრო) განლაგებისათვის, შესაბამისად ფორიანობა n რიცხობრივად ტოლია 0,276 და 0,48 ან შეიძლება ავიღოთ 0,3±0,5 ფარგლებში.

ამის გათვალისწინებით გრუნტის კუთრი წონა წყალში – $\gamma_{\text{წყ}} = (\gamma - \gamma_0) \cdot (1 - n)$ იცვლება (0,8÷1,2)·10⁴ ნ/მ³, აქედან გამომდინარე, გრადიენტის რიცხვითი მნიშვნელობის ერთთან მიახლოებაში, გრუნტი შეიძლება აღმოჩნდეს შეტიენარებული და გამოტანილი ჰიდრომექანიკური (ფილტრაციული) ძალის ზემოქმედებით.

დარსის საზოვანი კანონის თანახმად

$$V_{gr} = k I_{gr} = k \frac{(\gamma - \gamma_0)(1 - n)}{\gamma_0} \quad (5)$$

თუ მივიღებთ, რომ $\gamma_{\text{წყ}} = (\gamma - \gamma_0)(1 - n) = \gamma_0$, რაც ნიშნავს, $\gamma_{\text{წყ}}$ ავიღოთ (0,8÷1,2)·10⁴ ნ/მ³, მნიშვნელობის საშუალო სიდიდის –1,0·10⁴ ნ/მ³. ტოლად, რაც იგივეა ის უდრის γ_0 -ს, მაშინ (5)-ის მიხედვით, გვექნება

$$V_{gr} = k \quad (6)$$

ე.ი. კრიტიკული სიჩქარე რომელიმე ერთგვაროვანი გრუნტისათვის უხეში მიახლოებით, რიცხობრივად ტოლია ფილტრაციის კოეფიციენტის. მიღებული შედეგები ეფუძნება წყალში ნაწილაკის წონის შედარებას მოქმედ დაწნევასთან, მაგრამ ხშირად საჭიროა ასევე გათვალისწინებულ იქნეს ნაწილაკის ზომა. ამ უკანასკნელი ფაქტორის გავლენა ასახულ იქნა წონასწორობის შემდეგ კრიტერიუმში [7]

$$I_{gr} = \bar{d}, \quad (7)$$

სადაც \bar{d} – ნაწილაკის საშუალო დიამეტრია, რომელიც მერყეობს 0,25·10⁻³÷1,0·10⁻³ მ-ის ფარგლებში. ბუნებრივ პირობებში ასეთი მაღალი ექვივალენტური სიჩქარე შეიძლება დაფიქსირდეს ფერდობზე მიწისქვეშა ნაკადის გამოქონვის ზონაში. ასეთ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს გრუნტის ნაწილაკები, როდესაც ხელოვნურად ირღვევა ნაკადის რეჟიმი, განსაკუთრებით სადაწნეო ნაგებობის მხარეზე ქვედა ბიეფში, სადაც ჰიდრავლიკური გრადიენტი ყოველთვის

გაზრდილია. დაბალი გრადიენტების (დაბალი ფილტრაციული სიჩქარეების შესაბამისად) შემთხვევაში შეიძლება დაიწყოს უმცირესი ნაწილაკების მექანიკური სუფოზია არაბმული (ფხვიერი) გრუნტის ტანიდან.

კვლევებმა აჩვენა, რომ თაბაშირის გრუნტების მდგრადობა განისაზღვრება მისი თვისებების კომპლექსით, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია გრუნტის სიმკვრივესა და დამარილიანების ხარისხს. სუფოზური მდგრადობის თვალსაზრისით თაბაშირიანი გრუნტი დაყოფილია ორ ტიპად:

1. მდგრადი გრუნტები, თაბაშირიანი შეცულობით 10%-მდე აბსოლუტურად მშრალი გრუნტის წონიდან, როცა თაბაშირი შედის ბმული წყლისა და ჩონჩხის შორისეთების სივრცეში.

2. სუფოზურად არამდგრადი გრუნტები, თაბაშირის შეცულობით, მშრალი გრუნტის წონიდან 10%-მდე რაოდენობით და მყარი სელიმენტაციის სახით განლაგებულია ჩონჩხის შორისეთებში.

პირველი ტიპის გრუნტებში თაბაშირის გამოტანა იწვევს ფილტრაციის კოეფიციენტის გაზრდას. ეს ურთულესი პროცესი მიმდინარეობს სამ ეტაპად: ინტენსიური, შენელებული და სტაციონარული;

გრუნტის მეორე ტიპში უკვე პირველ სტადიაზე შეინიშნება მექანიკური სუფოზია. ფილტრაციის თავმოყრილი (შეყურსული) გზით და შემდგომი შიგა „გარეცხვით“. ამასთან ერთად, ფილტრაციის კოეფიციენტის გაზრდა, რომელიც ეთანადება მექანიკური სუფოზიის საწყის სტადიას და აღინიშნება შემცირების ტენდენციით თაბაშირის კონცენტრაციის ზრდის კვალობაზე.

თაბაშირის განმარილიანების დროის განსაზღვრისათვის მიღებულია შემდეგი დამოკიდებულება:

$$t = \frac{Q}{\omega H} \left[\frac{\ell}{k_0} + \frac{cQ}{2P_0\omega} \left(\frac{1}{k_b} - \frac{1}{k_0} \right) \right], \quad (8)$$

სადაც t არის ფილტრაციის დრო; Q – ფილტრაციული ხარჯი; ω – განივკვეთის ფართობი; k_0 – საწყისი ფილტრაციის კოეფიციენტი; ℓ – ფილტრაციის გზა; P_0 – მარილის კონცენტრაცია; c – თაბაშირის ხსნადობა; k_b – სრული განმარილიანების ფილტ-

რაციის კოეფიციენტი.

თაბაშირით დამარილიანების მაღალი ხარისხით (სავარაუდო 10% მეტი) გამოირჩევა. ამიტომ პრაქტიკული გაანგარიშებისათვის (8) ფორმულა მიიღებს სახეს:

$$t = \frac{Q}{k\omega H} \left(\ell - \frac{cQ}{2P_0\omega} \right) \quad (9)$$

ფილტრაცია უსასრულობაში, როცა ხარჯი პრაქტიკულად მუდმივია, გამოტუტვის ხანგრძლივობა განისაზღვრება

$$t = \frac{Q}{k_0\omega H} \left(\ell - \frac{cQ}{2P_0\omega} \right) \quad (10)$$

მოყვანილი ფორმულები საშუალებას იძლევა განვსაზღვოთ ფილტრაციის კოეფიციენტის ცვალებადობა დროის გარკვეულ ინტერვალში და აგრეთვე გამოვთვალოთ განმარილიანების სიმძლავრე. ასევე შეიძლება განვსაზღვროთ თაბაშირის რაოდენობა, რომელიც ავსებს მარილების მარაგს გრუნტის წყალში.

აქ ჩვენ განვიხილეთ მარილების ხსნადობა ფილტრაციული ნაკადის უშუალო კონტაქტით მინერალური ნაწილაკების ზედაპირებთან. მაგრამ, ამასთანავე, ბუნებაში მიმდინარეობს გამოტუტვის პროცესი არა უშუალოდ შეხებით ნაკადისა ნაწილაკებთან, არამედ მიმდინარეობს თვითნებური დიფუზია გრუნტის სხვადასხვა უბნებში მარილების კონცენტრაციის გრადიენტით, რაც იწვევს მყარი ნაწილისა და ფოროვანი წყლის შემადგენლობის ცვალებადობას.

დიფუზური ხსნადობა განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს თიხებში, რომლებიც შეიცავს ბმული და იმობილიზაციური წყლის დიდ რაოდენობას და ხასიათდება მეტად დაბალი წყალგამტარობით. მათში ხსნადი მარილის გადატანა ფილტრაციისას, იმავე რიგის ან უფრო ნაკლებია დიფუზიასთან შედარებით. დიფუზური გადატანის პროცესი აღიწერება ერთგანზომილებიანი დინებისათვის შემდეგი კანონით [8]

$$dm = -D \frac{dc}{dl} S dt, \quad (11)$$

სადაც m – დიფუნდირებული ნივთიერების რაოდენობა; dc/dl – კონცენტრაციის გრადიენტი; S – კვეთის ფართობი; t – დიფუზიის ხანგრძლივობა; D – დიფუზიის კოეფიციენტი.

დიფუზიის კოეფიციენტი ყოველი გრუნტის სახეობისათვის დგინდება ექსპერიმენტულად (11) განტოლების მიხედვით სასაზღვრო პირობების შესაბამისად თიხა ნიდაგ-გრუნტისათვის პლასტიკური კონსისტენციით. მიუხედავად გრანულომეტრიულ-მინერალოგიური შედგენილობისა და სიმკვრივისა, დიფუზიის კოეფიციენტი შემდეგი რიგისაა $(5 \div 10)10^{-13}$ მ²/წმ, ტენიანობის დონეზე ეცემა 10^{-16} მ²/წმ, ამიტომ პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას მხედველობაში არ მიიღება. ასეთი ზოგადი ხასიათის დასკვნები მხოლოდ ხარისხობრივად ახასიათებს გრუნტებში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესების ფართო გამას და მათ მხოლოდ ფენომენოლოგიური დანიშნულება გააჩნია.

საირიგაციო მშენებლობისა და ექსპლუატაციის პრაქტიკისათვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პროცესების შესწავლას, რომლებიც მიმდინარეობს გრუნტების დასველებისას და გამოიხატება განსაკუთრებული ტიპის დეფორმაციებში ე.წ. ჯდენადობა. ხშირად ჯდენადობა გაიგივებულია მექანიკური ან ქიმიური სუფოზიის პროცესთან, თუმცა შეიძლება ითქვას ამ პროცესებს შორის გარკვეული ანალოგია არსებობს დეფორმაციის რაოდენობრივი შეფასების თვალსაზრისით. ასე მაგალითად, თუ წარმოვიდგენთ, რომ ფუნდირებული ნაგებობა იწვევს გრადიენტების და შესაბამისად ფილტრაციის სიჩქარის შეცვლას, ნაკადის ცოცხალი კვეთის შემცირების ხარჯზე, მაშინ როცა სიჩქარე ან გრადიენტი გადააჭარბებს (6) და (7) ფორმულებით განსაზღვრულ სიდიდეს, მოცემული გრანულომეტრიული შედგენილობის გრუნტისათვის, ცხადია, დეფორმაციის პროგნოზი დროში საგნებით შესაძლებელი ხდება.

სხვადასხვა სახის დეფორმაცია, სხვადასხვა კატეგორიის გრუნტებისათვის, და მათ შორის ზედაპირული ეროზიაც, როგორც წესი, მდორედ მიმდინარეობს, დამოკიდებულია მეტეოროლოგიურ ფაქტორებზე, მაგრამ ცალსახად უკავშირდება წყალთან პასიურ ურთიერთქმედებას [9].

სტრუქტურულად არამდგრადი ჯდენადი გრუნტების ფიზიკურ-მექანიკურ თვისებათა თავისებურებანი განაპირობებს მათ ქცევას დატვირთვების ზემოქმედებით. გრუნტები, დამატებითი დატვირთვების ზემოქმედებით,

შეიძლება აღმოჩნდეს სტრუქტურულად არამდგრად მდგომარეობაში და წინამდებარე პროცესში წარმოშობილი კავშირების სრული ლიკვიდაციით განიცადოს მნიშვნელოვანი ჯდენა. ჩვეულებრივი ლიოსისებური გრუნტების სიმტკიცობრივ-დეფორმაციული შეფასება ხდება ფარდობითი ჯდენის მაჩვენებლით, რომელიც გამოიხატება შემდეგნაირად

$$\xi = \frac{h_p - h'_p}{h_p}, \quad (12)$$

სადაც h_p – დაუშლელი სტრუქტურის გრუნტის ნიმუშის სიმაღლეა, რომლის გამოცდაც ხდება P წნევის ქვეშ, ხოლო P წარმოადგენს გარეგანი და ბუნებრივი წნევების ჯამს; h'_p – ნიმუშის სიმაღლე, რომელზეც მოქმედებს სტრუქტურის მრღვევი, რომელიმე ფაქტორი, კერძოდ, წყალი. თუ $\xi \geq 0,2$, მაშინ ასეთი გრუნტები მიეკუთვნება ჯდენად, სტრუქტურულად არამდგრად გრუნტების კატეგორიას.

გარეგანი წნევების ცვალებადობისას (0,4÷0,5) მპა და უფრო მეტი, ფარდობითი ჯდენის მაჩვენებელი წნევისაგან დამოკიდებულებით გამოიხატება:

$$\xi = \frac{\beta}{E_0} P^m, \quad (13)$$

სადაც β – პროპორციულობის კოეფიციენტი; E – გრუნტის დეფორმაციის მოდელი; m – ხარისხის მაჩვენებელი.

მცირე წნევების შემთხვევაში, ფარდობითი ჯდენა შეიძლება საინჟინრო პრაქტიკისათვის მისაღები სიზუსტით აღწერილ იქნეს საზოგადო ფუნქციით, ე.ი.

$$\xi = a + bP, \quad (14)$$

სადაც a არის საწყისი პარამეტრი, ლიოსისებური გრუნტების ჯდენის კოეფიციენტი; b – წრფივი კავშირის საკუთხო კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს ფარდობით კომპრესიას ჯდენის პროცესში;

ჯდენადი გრუნტების კომპრესიული მრუდების მიხედვით, ადვილად განისაზღვრება

$$\xi = \frac{\Delta \ell}{1 + \ell_0}, \quad (15)$$


სადაც, ℓ_0 – გრუნტის საწყისი ფორიანობის კოეფიციენტი (ჯდენაზე); ℓ – გრუნტის

ფორიანობის კოეფიციენტის ცვალებადობა ჯდენის პროცესში.


ლიოსისებური გრუნტების ჯდენადობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც კომპრესიულ ერთდერძა ოდომეტრზე, ასევე საცდელი დატვირთვის ქვეშ, წყლის შეწონვით, რომელიც იწვევს ჯდენის დეფორმაციის მკვეთრ, ნახტომისებურ ზრდას. აქვე საჭიროა მივუთითოთ იმაზეც, რომ თიხებისათვის მდგრადი სტრუქტურული, ხისტი (არა-წყალკოლოიდური) კავშირებით, წყლით დასველებისას, მკვეთრი ჯდენა არ შეინიშნება, მაგრამ გარკვეული გადახრა მონოტონურისაგან მაინც ფიქსირდება. ნახ. 4-ზე მოცემუ-

ლია ლიოსისებური გრუნტის ჯდენის დინამიკა [9].

ლიოსისებური გრუნტების ფიზიკურ-მექანიკურ თვისებათა კომპლექსის ცვალებადობა, როგორც არაერთხელ აღენიშნეთ შემთ, წყლის გავლენით ჯდენის პროცესში საკმაოდ მკვეთრია, კერძოდ გრუნტის წინაღობა ძერის დეფორმაციისადმი მცირდება რამდენიმე რიგით (შინაგანი ხახუნის კუთხე $1,5 \div 2,0$ -ჯერ, ბმულობის ხვედრითი ძალა – 10 -ჯერ), რაც განაპირობებს გრუნტის მზიდუნარიანობის დაქვეითებას და ამობურცვის პროცესების განვითარებას.



ნახ. 4 ლიოსისებური გრუნტის ჯდენის დინამიკა



ნახ. 5 დეპრესიის მრუდის დაცემა საწყისი გრადიენტის მიხედვით

ნაგებობათა ფუძეების ჯდენის საწინააღმდეგო პასიურ ღონისძიებებს მიეკუთვნება ფუნდირება ჯდენადი შრის გავლით (თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია), რაც, ძირითადად, ხიმინჯოვანი საძირკვლის მოწყობით ხორციელდება – სიღრმით 10 მ-მდე. ჯდენის აღკვეთის აქტიურ ღონისძიებებს მიეკუთვნება ქიმიური მეთოდები, კერძოდ სილიკაცია, ან რაც დღეისათვის საკმაოდ პოპულარულია ზედაპირულ-აქტიური ნივთიერების გამოყენება ფორების შესავსებად. ამა თუ იმ ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენება, გრუნტის თვისებების რეჟიმის თვისებაზე,

სათანადო რეაგენტების ბაზაზე უკავშირდება კონკრეტულ ჰიდროგეოლოგიურ პირობებში ფილტრაციის კანონზომიერების შესწავლას.

ერთ-ერთ ღონისძიებად მიჩნეულია თავისუფალი დრენირების მეთოდი მაგრამ მისი ეფექტურობა საკმაოდ დაბალია. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კონკრეტულ გაანგარიშებას (24) ფორმულის მიხედვით. მივიღოთ: $q/k = 0,3$ მ, $h = 1,0$ მ, $H = 5,0$ მ, $\ell = 40$ მ, $I_0 = 0 \div 1,5$ გაანგარიშების შედეგები ილუსტრირებულია ნახ. 5-ზე.

დასკვნა

ბუნებრივ-ტექნიკური ჰიდრომელიორაციული სისტემების ნორმალური ექსპლუატაცია, შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ

და მხოლოდ ფილტრაციული პროცესების კვლევების საფუძველზე.

ლიტერატურა

1. **Дерягин Б.В.** Сольватные слои как особые граничные фазы на основе прямых методов исследования. //Труды всесоюзной конференции по коллоидной химии, 1982, с. 26-52;
2. **Истомина В.С.** Фильтрационная устойчивость грунтов. "Госстройздат", М., 1957, 135 с.
3. **Ломизе Г.М.** Движения воды в щелях. Издание академии наук Армянской ССР, 1947, 70 с.
4. **Кацарава Т.Е.** О механизме процесса фильтрационно-капиллярного передвижения влаги в набухающих почво-грунтах. //Тр. ГрузНИИГиМ, "Вопросы гидромелиорации", вып. 29, 1972, с. 267-280.
5. **Мирицхулава Ц.Е.** О надёжности крупных каналов. М., "Колос", 1981, 320 с.
6. **Тевзадзе В.И.** Расчётные модели плотности селевой смеси и объёма селевых выносов. //Г.Г.А.У. Юбилейный том, Т., 1999, с. 383-386.
7. **Павловский Н.И.** Неравномерное движение грунтовых вод (дальнейшее развитие вопроса). Л., 1932, 80 с.
8. **Нерпин С.В., Чудовский А.Ф.** Энерго и массообмен в системе растение-почва-воздух. Гидрометеоздат, Л., 1975, 358 с.
9. **Цытович Н.А.** Механика грунтов. М., "Высшая школа", 1979, 271 с.

მთის შპს-ს გარემოსდაცვითი მონიტორინგის ნიადაგის დეგრადაციის პროცესების
საწინააღმდეგო თანამედროვე ღონისძიებები

გოგა ჩახაია, ზურაბ ვარაზაშვილი, რობერტ დიაკონიძე, ლევან წულუკიძე,
ირინა ხუბულავა, თამარიკო სუპატაშვილი
Email: gogachaxaia@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

შეჯამება

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში განვითარებული ტექნოლოგიური კონსტრუქციებისა და დედამიწაზე მიმდინარე კლიმატური ცვლილებების ფონზე ფორმირდება უხვი ნალექები, რაც მიზეზი ხდება დიდი მასშტაბის წყალდიდობებისა. მოგეხსენებათ, რომ წყალდიდობებს ხშირად მოსდევს ადამიანთა მსხვერპლი და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების განადგურება. ინტენსიური და

ხანგრძლივი ნალექები პროვოცირებას უწევს ნიადაგის დეგრადაციის პროცესებს, როგორცაა: ეროზიულ-დვარცოფული და მეწყერული მოვლენები. ზემოაღნიშნული პროცესები დიდ პრობლემას უქმნის დვარცოფული ხასიათის მდინარეთა გაგლენის ზონაში არსებულ დასახლებულ პუნქტებს, ასევე სატრანსპორტო და ენერგოდერეფების ნორმალურ ფუნქციონირებას.

ძირითადი ნაწილი

სწორედ მიწის რესურსების დაცვისა და იქ არსებული ბიომრავალფეროვნების აღდგენის მიზნით არის შექმნილი მსუბუქი პოლიეთილენის მასალისგან დამზადებული ელასტიკური გეოხალიჩა „კოვამატი“. იგი მძიმე, მასიური კონსტრუქციების ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს, რომელიც დღესდღეობით ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (ფოტო 1, 2).

გეოხალიჩა „კოვამატი“ საგრძნობლად ამცირებს, ხშირ შემთხვევაში კი საერთოდ აღკვეთს ეროზიულ პროცესებს, ამიტომ მას ინტენსიურად იყენებენ საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების მიმდებარე დიდი ქანობის მქონე ფერდობებზე (ფოტო 2).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ხელოვნური მასალისგან დამზადებული გეოხალიჩა „კოვამატი“ შედარებით ძვირია, 1 მ² კოვამატის ღირებულება შეადგენს 13,8 აშშ დოლარს [1], რაც განვითარებადი ქვეყ-

ნებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ შექმნილ იქნა ნატურალური ბამბისა და ქსოვილისგან დამზადებული გეოხალიჩა „ნესფილე-2“, რომლის ფასი მნიშვნელოვნად დაბალია (1 მ² გეოხალიჩა „ნესფილე-2“-ის ღირებულება შეადგენს 1-1,5 აშშ დოლარს) მსოფლიოში აპრობირებულ გეოხალიჩებთან (სეკუმატი, კოვამატი, ენკამატი, ერომატი) შედარებით.

გეოხალიჩა „ნესფილე-2“ განეკუთვნება ეროზიის საწინააღმდეგო ფიტო-საინჟინრო-მელიორაციულ ღონისძიებას, იგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნიადაგის დეგრადაციის საწინააღმდეგოდ.

გეოხალიჩა „ნესფილე-2“ მსუბუქ, რბილ და ელასტიურ ლეიბს წარმოადგენს, იგი მორწყვისთანავე ნიადაგის ზედაპირს მჭიდროდ ეკვრის და უზრუნველყოფს მისი სტრუქტურის მდგრადობას.



ფოტო 1. გეოსალინა “კოვამატი“-ს საერთო ხედი



ფოტო 1. გეოსალინა “კოვამატი“-ს მონტაჟი


გეოსალინა „ნესფილე-2“-ის დამზადება მარტივია, კერძოდ: ნატურალური დალიან-დაგებული ბამბის და მარლის ქსოვილი იჭრება სტანდარტულ ზომებად (2X25 მ²) და მათ შორის ითესება დასაცავ ტერიტორიაზე

გავრცელებული ენდემური ჯიშის ბალახოვანი მცენარეების თესლი. შემდეგაც ხდება ზედა (ბამბის) და ქვედა (მარლის) ფენების მარტივი ტიპის სამაგრებით (ნახ. 3, ელემენტი 6) შეკვრა. მიღებული ორფენიანი


გეოხალიჩა დაეფინება წინასწარ დამუშავებულ ეროზირებულ ფერდობზე და მაგრდება ხის ან ლითონის ანკერების საშუალებით. ეროზირებულ ფერდობზე დაფენილი გეოხალიჩა კარგ შედეგს იძლევა მორწყვის ფერტიგაციის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, რაც ზრდის მულჩირების ეფექტს და უზრუნველყოფს მცენარეთა თესლის გაღვივება-ვეგეტაციას. აღსანიშნავია ისიც, რომ გეოხალიჩა „ნესფილე-2“-ის ფენებს შორის მოთავსებულ თესლისთვის საწყის ეტაპზე ნატურალური ბამბის მასალა სუროგატ ნიადაგას წარმოადგენს და აღარ საჭიროებს დამატებითი სტიმულატორების შეტანას.

მორწყვიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მოხდება დათესილი ბალახოვანი მცენარეების აღმოცენება და შესაბამისად დასაცავი ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების აღდგენა. ეროზირებულ ფერდობებზე გეოხალიჩა „ნესფილე-2“-ის დაფენა სასურველია მოხდეს აგრომელიორაციული ვადების დაცვით (გაზაფხული ან შემოდგომა).


ეროზიის საწინააღმდეგო გეოხალიჩა „ნესფილე-2“ წარმოადგენილია ოთხი ნახაზით: ნახ. 1 – ფერდობზე დაგებულ გეოხალიჩა „ნესფილე-2“-ის საერთო ხედი; ნახ. 2 – ზედხედი ა-ა და ბ-ბ ჭრილის ხაზებით; ნახ. 3 – ჭრილი ა-ა; ნახ. 4 – ჭრილი ბ-ბ.




ნახ. 1. ფერდობზე დაგებული გეოხალიჩა „ნესფილე-2“-ის საერთო ხედი
1. ლეიბის ზედა ფენა; 2. ლეიბის ქვედა ფენა; 3. ბალახოვანი მცენარის თესლი;
4. ეროზირებული ფერდობი; 5. ნიადაგი; 6. ანკერი



ნახ. 2. გეოსხალიჩის ზედხედი ა-ა და ბ-ბ ჭრილის სახეებით



ნახ. 3. ჭრილი ა-ა



ნახ. 4. ჭრილი ბ-ბ

გეოხალიჩა „ნესფილე-2“ მუშაობს შემდეგი პრინციპით: დასაცავ ტერიტორიაზე ფორმირებული ზედაპირული ჩამონადენის გარკვეული რაოდენობა შეიწოვება მის მიერ, ნაწილი ჩაიჟონება ნიადაგ-გრუნტში (ელემენტი 5), ხოლო გარკვეული ოდენობა ჩამოედინება ფერდობზე სუსტი ზედაპირული ნაკადების სახით. ფერდობის სიღრმეში ჩაედინება ჩვენს მიერ ფერტიგაციის წესით მიწოდებული ორგანული და მინერალური ნივთიერებები, რაც შემდგომში უზრუნველყოფს მცენარის ვეგეტაციის ნორმალურ განვითარებას.

გეოხალიჩა „ნესფილე-2“-ის ეკონომიკური მაჩვენებლები მაღალია, რადგან წარმოდგე-

ნის შემთხვევაში მისი დანერგვა ტექნიკურად ადვილად განსახორციელებელია და არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს მისი რემონტისათვის.

გეოხალიჩა „ნესფილე-2“-ის ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი მახასიათებლების გამო ჩვენ მიერ მზადდება საერთაშორისო საპატენტო განაცხადი მისი პრიორიტეტის დასაცავად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გეოხალიჩა „ნესფილე-2“-ის გამოყენება რეკომენდებულია სატრანსპორტო და ენერგო დერეფნებში მიმდინარე ეროზიული პროცესების საწინააღმდეგოდ.

დასკვნა

სწრაფად განვითარებადი თანამედროვე ტექნიკური პროგრესი ხშირად ეკოლოგიური წინასწორობის დარღვევის პროვოცირებას იწვევს. სხვადასხვა სახის მშენებლობებისა და მათი გავლენის ზონაში მრავლადაა ეროზიულ-დვარცოფული და მეწყრული მოვლენების წარმოშობის შემთხვევები, განსაკუთრებით დიდი პრობლემები იჩენს თავს სატრანსპორტო და ენერგო დერეფნების მიმდებარე ტერიტორიებზე. მსგავსი ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად დღეისათვის მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება ეროზიის

საწინააღმდეგო გეოხალიჩები. ჩვენ მიერ შექმნილი იქნა ნატურალური ბამბისა და ქსოვილისგან დამზადებული გეოხალიჩა – „ნესფილე-2“ (ნესფილე-1-ის გაუმჯობესებული ვარიანტი). აღნიშნული გეოხალიჩა გამოირჩევა თავისი ეფექტურობით, ტექნოლოგიური სიმარტივით და ეკონომიურობით. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც ტექნოგენურ ფერდობზე ბალახეული საფარის აღსადგენად, ასევე ნაყარი გრუნტების ეკოლოგიური კონიუნქტურის გასაუმჯობესებლად.

ლიტერატურა

1. <https://www.sciencelab.com/page/S/PVAR/23734/60-246790000>
2. http://www.igidexcons.ro/imag/pdf/1/COV_moto_rwayR1_antwerp_1.pdf

კალაპოტიანი ნაკადის მათემატიკური მოდელირება
ვარიაციული მეთოდის გამოყენებით

გურამ ჩიტიშვილი, გამარლი დონხაძე, ლენა კეკელიშვილი

Email: ekekelish@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო

შესავალი

წყლის ნაკადები, რომლებიც წარმოიქმნება წვიმის შედეგად ფერდობებზე და კალაპოტებში, თავისუფალზედაპირიან, ტურბულენტურ, ცვალებადმასიან და არასტაციონარულ დინებებს წარმოადგენს. ამ დინებების ხასიათი, თავისებურებები, განმსაზღვრელი ფაქტორები, გარემოზე ქმედების შედეგები მრავალი და მრავალფეროვანია. ამის გამო აქტუალურია მათი ერთობლივი შესწავლა, ანალიზი და პროგნოზი; გარკვეული მიზნების დასახვა, საჭირო ღონისძიებების დამუშავება და განხორციელება. ეს მოვლენები ხასიათდება დროისა და სივრცის მაღალი მასშტაბებით და პერიოდულობით, ამიტომ მათზე წარმოებულ დაკვირვებათა ანალიზი და განზოგადება მნიშვნელოვან სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ზოგჯერ მათი გადაწყვეტა შესაძლებელი და მიზანშეწონილია პროცესების მათემატიკური მოდელირების გზით.

ბის დასახვა, საჭირო ღონისძიებების დამუშავება და განხორციელება. ეს მოვლენები ხასიათდება დროისა და სივრცის მაღალი მასშტაბებით და პერიოდულობით, ამიტომ მათზე წარმოებულ დაკვირვებათა ანალიზი და განზოგადება მნიშვნელოვან სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ზოგჯერ მათი გადაწყვეტა შესაძლებელი და მიზანშეწონილია პროცესების მათემატიკური მოდელირების გზით.

ძირითადი ნაწილი

რთული და მრავალფაქტორიანი პროცესების მათემატიკური მოდელირებისათვის ხშირად საჭირო ხდება მთელი რიგი დაშვებების, გამარტივებების და სქემატიზირების გამოყენება. ამიტომ წარმოდგენილ ნაშრომში განიხილება თანაბარი, სტაციონარული, ტურბულენტური წყლის ნაკადი, სიმეტრიული ფორმის ცოცხალკვეთიან, ჰორიზონტისადმი მუდმივი α კუთხით დახრილ კალაპოტში, რომლის სქემა ნაჩვენებია ნახ. 1-ზე.

ხოლო MKN რკალის სიგრძე L სველი პერიმეტრია და გვაქვს შემდეგი ფორმულები:

$$dL = \sqrt{1 + f'^2(y)} dy,$$

$$F = 2 \int_0^b (H - f(y)) dy, \quad (1)$$

$$L = 2 \int_0^b dL.$$


xyz ორთოგონალური სწორხაზოვანი კოორდინატთა სისტემაა. ნაკადის მიმართულებას განსაზღვრავს ox ღერძი, y განივი კოორდინატია, z - ვერტიკალური და გარდა ამისა გამოიყენება შემდეგი აღნიშვნები: $KD = H = const$ - ნაკადის თავისუფალი ზედაპირის ნიშნობა, $OK = f(0)$ - ფსკერის ნიშნობა, $y = \pm b$ ნაპირების განივი კოორდინატებია, $B = 2b$ - ნაკადის სიგანეა, ხოლო $H_0 = H - f(0)$ - სიღრმეა. MKN ფიგურის ფართობი კალაპოტის F ცოცხალი კვეთია,

რეინოლდსის განტოლებებს წყლის აღნიშნული ნაკადისათვის აქვს შემდეგი სახე [1]:

$$\frac{\partial \tau_{xy}(y, z)}{\partial y} + \frac{\partial \tau_{xz}(y, z)}{\partial z} + \rho g \sin \alpha = 0, \quad (2)$$

$$\frac{\partial \tau_{yy}(y, z)}{\partial y} + \frac{\partial \tau_{yz}(y, z)}{\partial z} - \frac{\partial p(y, z)}{\partial y} = 0, \quad (3)$$

$$\frac{\partial \tau_{yz}(y, z)}{\partial y} + \frac{\partial \tau_{zz}(y, z)}{\partial z} - \frac{\partial p(y, z)}{\partial y} - \rho g \cos \alpha = 0, \quad (4)$$



ნახ. 1. წელის ნაკადის კალაპოტის ვირტუალური სქემა

სადაც ρ – წელის სიმკვრივეა, p – წნევა, g – დედამიწის მიზიდულობის აჩქარება, ხოლო τ_{xx}, τ_{xy} და ა.შ. ძაბვათა ტენზორის კომპონენტებია.

ვაინტეგრით (2) განტოლება dz -ით $f(y)$ -დან H -მდე და ჩავთვალოთ, რომ მხები τ_{xz} ძაბვის მნიშვნელობა ნაკადის თავისუფალ H ზედაპირზე ნულის ტოლია, ე.ი. $\tau_{xz}(y, H) = 0$, მაშინ ზოგიერთი გარდაქმნის შემდეგ მივიღებთ:

$$\tau_{xz}(y, f(y)) = \frac{\partial}{\partial y} \int_f^H [\tau_{xy}(y, z) dz - \tau_{xy}(y, f(y)) f' + \rho g \sin \alpha (H - f(y))] \quad (5)$$

(5) განტოლება გავამრავლოთ dL -ზე, ვაინტეგრით dy -ით $-b$ -დან b -მდე, გავითვალისწინოთ $f(y)$ და $\tau_{x,y}(y, z)$ ფუნქციების ლუწობა y არგუმენტის მიმართ და მიღებული შედეგი გავყოთ L -ზე, გვექნება:

$$\bar{\tau}_{x,z} = \rho g \sin \alpha \left(H - \frac{2}{L} \int_0^b \Phi(f, f') dy \right), \quad (6)$$

$$\Phi(f, f') = f \cdot \sqrt{1 + f'^2}, \quad (7)$$

სადაც $\bar{\tau}_{x,z}$ არის $\tau_{x,z}(y, z)$ ძაბვის საშუალო მნიშვნელობა ნაკადის სველი პერიმეტრის სიგრძეზე.

ანალოგიური წესით (3) და (4) განტოლებებიდან შეგვიძლია მივიღოთ τ_{yz} და

$\tau_{zz} - p$ ძაბვების საშუალო მნიშვნელობები სველი პერიმეტრის სიგრძეზე:

$$\bar{\tau}_{yz} = 0,$$

$$\overline{\tau_{zz} - p(y, f(y))} = p(y, H) + \rho g \cos \theta \left(H - \frac{2}{L} \int_0^b \Phi(f, f') dy \right),$$

სადაც $p(y, H)$ ატმოსფერული წნევაა, ხოლო $p(y, f(y))$ – ნაკადის წნევაა სველ პერიმეტრზე.

ეს ძაბვები დამოკიდებულია ერთი და იგივე ფუნქციონალზე

$$\int_0^b \Phi(f, f') dy \quad (8)$$

და განსაზღვრავს სველ პერიმეტრზე ნაკადის ქმედების შედეგად გამოწვეულ სრულ დატვირთვას.

(8) ფუნქციონალისათვის ეილერის განტოლება [2,3] მიიყვანება შემდეგ სახეზე

$$\Phi - f' \frac{d\Phi}{df'} = c_1,$$

საიდანაც (7) ფორმულის გათვალისწინებით მიიღება

$$f'^2 = \frac{f^2}{c_1^2} - 1, \quad f = \frac{1}{2} \left(c_2 e^{c_1} + \frac{c_2^2}{c_1} e^{-\frac{y}{c_1}} \right),$$

სადაც c_1 და c_2 ინტეგრირების მუდმივებია. $c_1 = c_2 = f(0)$ და საბოლოოდ გვაქვს ჯაჭვიწირის განტოლება [2]

$$f = \frac{f(0)}{2} \left(e^{\frac{y}{f(0)}} + e^{-\frac{y}{f(0)}} \right), \quad (9)$$

რომლისთვისაც სველი პერიმეტრის ბოლო-
 ებზე სრულდება პირობა

$$e^{\frac{b}{f(0)}} + e^{-\frac{b}{f(0)}} = \frac{2H}{f(0)}, \quad (10)$$

საიდანაც გვაქვს

$$\frac{b}{H} = \frac{f(0)}{H} \ln \left(\frac{H}{f(0)} + \sqrt{\frac{H^2}{f(0)^2} - 1} \right). \quad (11)$$

კავშირს ნაკადის ძირითად ინტეგრალურ
 მახასიათებლებს შორის განსაზღვრავს შემ-
 დეგი პიდრავლიკური დამოკიდებულებები [1]:

$$\frac{\bar{\tau}_{xz}}{\rho g} = \frac{u^2}{C^2} = Ri, \quad C = \frac{1}{n} R'; \quad (12)$$

სადაც u ნაკადის საშუალო სიჩქარეა
 ცოცხალ კვეთში, C - შეზის კოეფიციენტი,
 $i = \sin \alpha$ - ქანობი, $R = \frac{F}{L}$ - პიდრავლიკური

რადიუსი, ხოლო n - სიმქისის პიდრავლიკურ
 კოეფიციენტი; მაშინ (1), (6), (7) და (9)
 ფორმულებიდან გვაქვს:

$$L = 2f(0) \sqrt{\frac{H^2}{f^2(0)} - 1}, \quad F = 2Hb - f(0)L, \quad (13)$$

$$R = \frac{2Hb}{L} - f(0), \quad \bar{\tau}_{xz} = \rho g i \left(\frac{H}{2} - \frac{f(0)b}{L} \right);$$

ხოლო (11) და (12) ფორმულები გვა-
 ძღვეს:

$$2b = \frac{H + 2f(0)}{2H + f(0)} L,$$

$$(2Hb - f(0)L)^2 \left(\frac{2Hb}{L} - f(0) \right)^{2r+1} = \frac{n^2 Q^2}{i}, \quad (14)$$

სადაც Q ნაკადის ხარჯია.

რადგან განხილულ სქემაში კოორდინატ-
 თა სისტემის სათავის წერტილის არჩევას
 მნიშვნელობა არ აქვს, ამიტომ $f(0)$ -ის
 მნიშვნელობა შეგვიძლია დავასახელოთ
 ნებისმიერად იმ პირობით, რომ $f(0) < H$, ან
 გადავიდეთ ზღვარზე, როცა $f(0) \rightarrow 0$. ასეთ
 შემთხვევაში (11), (13) და (14) ფორმულები-
 დან ვლებულობთ:

$$L = 2H, F = H^2, R = \frac{H}{2}, \bar{\tau}_{xz} = \rho g i \frac{H}{2} \quad (15)$$

$$= \frac{H}{2}, H^{2r+5} = 2^{2r+1} \frac{n^2 Q^2}{i}$$

რადგან (7) ფორმულის თანახმად

$$\Phi_{ff'} = \frac{f(y)}{(1 + f'^2(y))^{3/2}} \geq 0 \quad -b \leq y < b,$$

ამიტომ (9) ამოხსნა ლეჟანდრის მიხედვით
 [3] უზრუნველყოფს (8) ფუნქციონალის
 მინიმუმს, ე.ი. $\bar{\tau}_{xz}$ და $\tau_{zz} - p(y, f(y))$
 ძაბვების მაქსიმუმს, რაც ხორციელდება Q
 ხარჯის მქონე ისეთი ნაკადის შემოქმედ-
 ბით, რომლის სიგანე სიღრმის ტოლია
 ($B = H$) და სამართლიანია (15) ფორმულები.
 ამას გარდა ეს ნიშნავს დინების უსწრაფესი
 რეჟიმის რეალიზებას და შესაძლებელია
 პიპოტეზურად ვიგულისხმოთ, რომ წყლის
 მოძრაობის ასეთ სურათს ადგილი ექნება
 კალაპოტის ფორმის თავისუფალი თვითრე-
 გულირების შედეგად.

დასკვნა

განხილულია თანაბარი, სტაციონარული,
 ტურბულენტური წყლის ნაკადი, რომელიც
 მიედინება ჰორიზონტისადმი მუდმივი კუთ-
 ხით დახრილ სიმეტრიულ კალაპოტში. ვარი-
 აციული აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით

მიღებული (15) ფორმულები ნიშნავს, რომ
 წყლის მოძრაობის ასეთ სურათს ადგილი
 ექნება კალაპოტის ფორმის თავისუფალი
 თვითრეგულირების შედეგად.

ლიტერატურა

1. **Картвелишвили Н.А.** Потоки в недеформируемых руслах Л.: Гидрометеиздат, 1973.
2. **Зельдович Я.Б., Мишкис А.Д.** Элементы прикладной математики. М.:Изд-во "Наука", 1967.
3. **Цлаф Л.Я.** Вариационное исчисление и интегральные уравнения. М.: Изд-во "Наука", 1970.

ОЦЕНКА РИСКА ПАВОДКОВ НА Р. КУРЕ НИЖЕ ВПАДЕНИЯ Р. АРАКС

Гасанова Н.И.

E-mail: *naila.hasanova@mail.ru*

Бакинский Государственный Университет
AZ-1148, Баку, Азербайджан, ул.З.Халилова 23

ВВЕДЕНИЕ

Паводки являются одним из часто повторяющихся и наиболее значимых опасных природных явлений, охватывающих большие территории. Неожиданные паводки наносят огромный материальный ущерб экономике страны и являются серьезной угрозой для жизни и здоровья людей. Эта проблема стоит наиболее остро в поймах рек и на примыкающих территориях, где хозяйственная деятельность осуществляется без учета рисков паводков и наводнений. В таких условиях возникает острая необходимость в управлении паводками, как комплекса мероприятий, направленных на уменьшение потерь от паводков, как в экономическом отношении, так

и в социальном. Паводки и сопутствующие им негативные явления являются угрозой не только экономике страны, но и национальной безопасности [1,2].

За последнее десятилетие (начиная с 1993 г) в мире зафиксировано немалое количество наводнений, разовый ущерб от которых превышал 10 миллиардов долларов - в США, Европе, Китае и Корее [3]. Рост подобных катастроф требует отведения особой роли паводкам при оценке и анализе национальной и экологической безопасности. В связи с этим одним из первоочередных задач является разработка методов прогнозирования паводков, оценка опасности и борьбы с ними.

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Как отмечено в [1], во многих странах изучению феномена риска уделяют большое внимание, а в США в ряде отраслей созданы системы анализа и менеджмента риска. В настоящее время разработаны научно-методические основы оценки рисков в различных областях деятельности человека: в области обеспечения промышленной безопасности при аварийных ситуациях, при оценке риска для здоровья и безопасности человека, геологической безопасности территорий и в области гидротехнического строительства. В современных условиях оценка риска является основной базой для принятия решений в различных областях экономики и

техники.

Под «оценкой риска» в нашем случае рассматривается процесс воздействия естественных природных явлений. Риск, как вероятностная величина, указывает пределы возможностей, в которых он находится и не может быть точно оценен.

При расчетах, связанных с наводнениями, под риском R надо понимать вероятность появления паводка с максимальным расходом в заданное время с известной обеспеченностью в данном створе[4]:

$$R(x) = 1 - F(x), \quad (1)$$

где $R(x)$ – вероятность (риск) превышения некоторого заданного числа x . F – российской

гидрологической практике $R(x)$ называют функцией обеспеченности или обеспеченностью; $F(x)$ – интегральная функция распределения случайной величины (в данном случае максимальных расходов воды), показывает вероятность того, что случайная величина не превысит некоторое заданное число x .

Вероятность, называемая риском R , что событие Q произойдет по крайней мере один раз в течении n последовательных лет, определяется по формуле[5]:

$$R_n = 1 - \left(1 - \frac{1}{T}\right)^n = 1 - \{F(\overline{Q})\}^n \quad (2)$$

Из формулы (1) следует, что можно нормировать срок службы сооружения и вероятность R_n превышения расчетного расхода за этот срок, т.е. вычислить $F(Q)$:

$$F(Q) = (1 - R_n)^{\frac{1}{2n}} \quad (3)$$

и определить Q по найденному значению $F(Q)$. После того, как вероятность $F(Q)$ задана, надо выбрать функцию распределения.

Для аппроксимации случайной статистической выборки экстремальных характеристик теоретической функцией распределения используют один из трех предельных законов: Гумбеля (I тип), Фреше (II тип), Вейбулла (III тип)[6]. За рубежом в практике расчетов максимального стока различной вероят-

ности превышения широко используется закон распределения Гумбеля [7]. Пособие по определению расчетных гидрологических характеристик рекомендует в качестве функции распределения вероятностей максимальных расходов воды трехпараметрическое гамма-распределение.

В данной работе с применением теории вероятностей произведена оценка риска паводков на р. Кура после впадения р.Аракс после строительства водохранилищ. Для исследований выбраны створы Сурра на р.Кура и Саатлы на р.Аракс. Продолжительности рядов наблюдений после строительства водохранилищ составляют соответственно 48 и 40 лет.

Средние максимальные расходы воды в створах Сурра и Саатлы за этот период равны соответственно 1100 м³/с и 505 м³/с. Средне-квадратические отклонения соответственно равны 472 м³/с и 267 м³/с.

В таблице $1 - p^* = \frac{m}{n}$ – частота события или эмпирическая обеспеченность. Математическое ожидание паводков рассчитано по формуле $m = \sum_{i=1}^n Q_i P^*$ и равно соответственно в створе Сурра на Кура 1200 м³/с и створе Саатлы на Аракс 510 м³/с.

Таблица 1

Интервалы и частота паводков на р.Кура-Сурра и р.Аракс-Саатлы

р. Кура-Сурра (n=48)				р. Аракс-Саатлы(n=40)			
интервалы (м ³ /с)	частота, m	$p^* = \frac{m}{n}$	$p^x (X \geq x)$	интервалы (м ³ /с)	частота, m	$p^* = \frac{m}{n}$	$p^x (X \geq x)$
491-500	1	0,021	1,000	148-200	3	0,075	1,000
501-750	7	0,146	0,979	201-300	6	0,150	0,925
751-1000	19	0,396	0,833	301-400	7	0,175	0,775
1001-1250	8	0,167	0,437	401-500	5	0,125	0,600
1251-1500	2	0,042	0,270	501-600	7	0,175	0,475
1501-1750	4	0,083	0,228	601-700	4	0,100	0,300
1751-2000	3	0,062	0,145	701-800	2	0,050	0,200
2001-2250	3	0,062	0,083	801-900	2	0,050	0,150
2251-2750	1	0,021	0,021	901-1000	3	0,075	0,100
				1001-1480	1	0,025	0,025




Рис. 1. Гистограмма и кривая распределения максимальных расходов паводков на р.Куре и р.Аракс после строительства водохранилищ

На рисунке 1 приведены гистограмма и соответствующая кривая распределения максимальных расходов паводков по интервалам в исследуемых створах.

Выбранный закон распределения максимальных значений Гумбеля имеет вид [7]:

$$P(X \leq x) = F(x) = \exp\{-\exp[-\alpha(x - q)]\}, \quad (4)$$

где q -мода случайной величины x , определяется значениями среднего и среднеквадратического отклонения (СКО) исходного ряда по формуле:

$$q = x_c - 0,45\sigma_x \quad (5)$$

Параметр α через значение среднеквадратического отклонения можно выразить так:

$$\alpha = 1,28/\sigma_x \quad (6)$$

Уравнения (5) и (6) связывают параметры при $n \rightarrow \infty$. Для конечных выборок из n членов Гумбель предложил следующие формулы:

$$\begin{aligned} (1/\alpha) &= \sigma_x / \sigma_y \\ q &= x_{cp} - y_{cp} (1/\alpha) \end{aligned} \quad (7)$$

Параметры u_{cp} и σ_y определяются в зависимости от длины анализируемого ряда по таблице [7].

Для створа Сурра на р. Кура ($n = 48$) $u_{cp} = 0,546$ и $\sigma_y = 1,150$.

Находим, что функция распределения $F(Q)_K = 0,95$.

На реке Аракс в створе Саатлы ($n = 40$) $u_{cp} = 0,541$ и $\sigma_y = 1,131$.

Следовательно находим, что функция распределения $F(Q)_A = 0,99$.

Полная вероятность двух независимых

событий, происходящих одновременно или последовательно, в данном случае паводков на р. Кура и р. Аракс, равна:

$$P_O = F(Q)_K \times F(Q)_A = 0.94$$

Риск или вероятность паводков определяется при $n = 1$:

$$R(\bar{Q}) = 1 - \{P(Q)\}^n$$

$$R_n = 0.06$$

Следовательно, риск появления паводков после строительства водохранилищ ниже впадения р. Аракс в р. Кура - велик.

ВЫВОДЫ

Таким образом, паводки и сопутствующие им негативные явления требуют отведения им особой роли при оценке и анализе экологической безопасности. Ранжирование паводков по экологической опасности, размещение и привлечение инвестиций, выработка стратегии борьбы с наводнениями, составление карт безопасности и т.д. - все это требует привлечения возможностей теории анализа рис-

ка. В конечном итоге, предвидение грозящего бедствия при достаточной точности прогнозирования и анализ риска необходимы для снижения ущерба и последствий негативных явлений от паводков.

Данная статья выполнена при поддержке гранта "50+50" Бакинского Государственного Университета.

Литература

1. **Мирицхулава Ц.Е.** Наводнения и национальная (экологическая) безопасность: прогнозирование катастрофических паводков и оценка рисков //Инженерная экология. №3, М.: 2004, с.21-31.
2. **Гавардашвили Г.В.** Экологическое равновесие селеносных водотоков вдоль Военно-Грузинской дороги (методы теорий надежности и риска) //Инженерная экология, №2, М.: 2002, с.11-17.
3. **Гарцман Б.И.** Дождевые наводнения на реках юга Дальнего Востока: методы расчетов, прогнозов, оценок риска. //Диссертация ... доктора географических наук, 25.00.27, Иркутск, 2005. (www.lib.ua-ru.net)
4. **Картвелишвили Н.А.** Стохастическая гидрология. Л: Гидрометеиздат, 1975, 162 с.
5. **Висмен У. мл., Харбаф.Т.И., Кнепп Д.У.** Введение в гидрологию. Л: Гидрометеиздат, 1979, 470 с.
6. **Васин В.П., Морошкин Ю.В., Скопинцев В.А., Фёдоров Ю.Г.** Вероятностно-статистический подход к определению расчетных климатических нагрузок на воздушные линии электропередачи. (ОАО «Институт «Энергосетьпроект») (www.expoelectroseti.ru)
7. **Сикан А.В.** Методы статистической обработки гидрометеорологической информации. СПб: РГГМУ, 2007, 278 с.

ს ნ ო ტ ა ც ი ე ბ ი

წყალთა მეურნეობა

არაწრფივი ტალღური დინამიკის
მეთოდების გამოყენება
წყალმომარაგების მრუდების
სტატისტიკური ანალიზის
ამოცანებისათვის

ა. ბაღდოევი, ვ. ტოკმაჯიანი, მ. პოდსიანი
ერევნის არქიტექტურისა და მშენებლობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. ერევანი, სომხეთი

სტატიაში მოცემულია არაწრფივი ტალღური დინამიკის მეთოდების გამოყენება წყალმომარაგების პროცესების ალბათობების განაწილების გამოკვლევებისათვის ორი პარამეტრის ემპირიული მრუდების გასწვრივ ქ. გორისისთვის 2007-2009 წლებში და ტიპური საშუალო მრუდის გასწვრივ ქ. ერევნისათვის 2008 წელს.

გამოყოფილია მრუდების პარამეტრების მცირე ცვლილებების დამახასიათებელი ლატენტური უბანი, რომელიც აღწერილია ცნობილი დიფუზიის წრფივი განტოლებით პროცესის ალბათობებისთვის, ამასთან, შერჩეული კინეტიკური განტოლებების სისტემის თანახმად მათი ამოხსნა წარმოადგენს რყევითი-ექსპონენციალური სახის ტრენდს, და არაწრფივი დიფუზიური განტოლებით აღწერილ პარამეტრების მნიშვნელოვანი ცვლილებების უბანში ტრიგერული გადასვლის შემდეგ, ალბათობებისთვის მოცემულია მისი ამოხსნა დარტყმითი ტალღის სახით.

შემოთავაზებულია ალბათობების განსაზღვრის გამარტივებული მიდგომა აღნიშნული უბნების გასწვრივ პროცესების მნიშვნელოვანი ცვლილებების დარტყმითი ტალღის განტოლების და ემპირიული მრუდების დახრის საფუძველზე, რაც ახლოსაა თეორიულ დარტყმით ტალღასთან. განსაზღვრულია პარამეტრების მნიშვნელოვანი ცვლილებების ყველა უბნისათვის ერთიანი არაწრფივი კოეფიციენტი, რაც ამტკიცებს დარტყმითი ტალღების შერჩეული მოდელის გამოყენების შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: წყალმომარაგება, შემთხვევითი პროცესები, დიფერენციალური განტოლებები, ტალღური დინამიკა.

წყალთა მეურნეობა

ლაჯანურის კაშხლის შესაძლო ავარიის
შემთხვევაში წარმოშობილი
წყალდიდობების მათემატიკური
იმიტაცია

გ. გავარდაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი
ქ. თბილისი, საქართველო

ლაჯანურის თაღოვანი რკინა-ბეტონის კაშხლის ნგრევის შემთხვევაში წარმოშობილი წყალდიდობის მათემატიკური იმიტაციის მიზნით ნაშრომში გადაამუშავებულ იქნა “Волна-2” პროგრამის ალგორითმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს კაშხლის ნგრევის შემთხვევაში ვიანგარიშოთ ტალღის სიჩქარე, გარბენილი მანძილი და რაც მთავარია, დატბორილი ტერიტორიის გეომეტრიული ზომები(მდინარის ღერძიდან მარჯვნივ და მარცხნივ) დროის ფაქტორის მხედველობაში მიღებით.

ლაჯანურის კაშხლის შესაძლო ავარიის შემთხვევაში, საბედნიეროდ, საშიშროება არ ემუქრება მოსახლეობას, რომელიც განლაგებულია, მდინარე რიონის მიმდებარე ტერიტორიებზე.

საკვანძო სიტყვები: კაშხალი, წყალდიდობის იმიტაცია, პროგნოზირება, ავარია.

ჰიდროტექნიკური ნაგებობების
საიმედოობა და რისკი

ტოლწინალობის თაღოვანი კაშხლების
ბაღამწყვეტ განტოლებათა სისტიმა

ზ. გუდენიძე, ტ. კვიციანი, ს. ავალიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, საქართველო

ნაშრომში მოცემულია თაღოვანი კაშხლების ოპტიმალური დაპროექტების საკითხები, როცა მოცემული შუა ზედაპირის გეომეტრიის პირობებში განისაზღვრება კაშხლის საანგარიშო კვეთებში სისქეები, რომლებიც უზრუნველყოფს კაშხლის ტოლწინალობას ანუ კაშხლის ტანის მინიმალურ მოცულობას. გადამწყვეტ განტოლებათა

სისტემა წარმოდგენილია 5 წონასწორობის განტოლებით, 3 დეფორმაციათა სიჩქარის უწყვეტობის პირობით და 1 რთული დაძაბული მდგომარეობის მოდიფიცირებული სიმტკიცის პირობით. სისტემის ამოხსნის შედეგად ცალსახად განისაზღვრება 8 შინაგანი ძალოვანი ფაქტორი და ოპტიმალური სისქე. საკონტაქტო სიბრტყეზე „კაშხალი – ფუძე“ ძალები განისაზღვრება სასრული ელემენტების მეთოდით.

საკვანძო სიტყვები: თაღოვანი კაშხლები, შინაგანი ძალოვანი ფაქტორი, ოპტიმალური სისქე.

ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედოობა და რისკი

კატასტროფული ტალღის მათემატიკური მოდელირება ზონპარის კაშხლის ბარჯვევის შემთხვევაში

თ. გველესიანი¹, გ. ბერძენაშვილი²

- 1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- 2) შპს “BSC”

ქ. თბილისი, საქართველო

წარმოდგენილია ძირითადი შედეგები პროექტისა, რომელიც განხორციელდა კომპანია “ბრიტიშ პეტროლეუმის (BP)” დაფინანსებით. განიხილება ტალღა, რომელიც წარმოიქმნება მდ. პატარა ლიახვზე აგებული მიწის მაღალი (71 მ) მიწის კაშხლის მთლიანი რღვევის შედეგად. ავტორების მიერ შედგენილი ახალი კომპიუტერული პროგრამის საშუალებით მიღებულ იქნა ტალღის ყველა პარამეტრის გრძივი კოორდინატისა და დროის მიხედვით ცვლილების ამსახველი გრაფიკები. ამის საფუძველზე შესაძლებელი ხდება იმ საფრთხის პროგნოზირება, რომელიც შეიქმნება ტალღის ზემოქმედებისას გარემოზე და კერძოდ, მაგისტრალურ ბაქო-ჯეიხანის ნავთობსადენზე, რომელიც კვეთს მდ. დიდი ლიახვის კალაპოტს ქ. გორის ახლოს.

საკვანძო სიტყვები: კაშხალი, კაშხლის რღვევა, ჰიდროკვანძის გარემო, ქვედა ბიეფი, კაშხლის გარღვევის ტალღის მათემატიკური მოდელირება, მათემატიკური პროგნოზი; ტალღის პარამეტრები.

გარემოს დაცვა

გლობალური დათბობის ფონზე შავიზღვისპირეთის აბრაზიული პროცესებისა და დაცვა მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევების გზით (მდინარე რიონის მაგალითზე)

რ. დიაკონიძე, ლ. წულუკიძე, თ. სუპატაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ქ. თბილისი, საქართველო

ნაშრომში განხილულია შავი ზღვის საზღვრების ცვლილებების მოკლე ისტორია უკანასკნელი 120-140 ათასი წლის პერიოდისათვის.

პლანეტის გლობალური დათბობის ფონზე შეფასებულია შავიზღვისპირეთის ფორმირების დღევანდელი პრობლემები და შემოთავაზებულია აბრაზიული პროცესების დაცვის ერთ-ერთი ოპტიმალური შესაძლებლობა – მდინარეთა მყარი ჩამონადენის დარეგულირების გზით.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვა, გლობალური დათბობა, აბრაზია, მყარი ჩამონადენი.

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

მორენულ-მყინვარული კომპლექსების ტიპები, როგორც ტიან-შანის ბამყინვარების რეზერვისის კრიტერიუმი

ს. ეროხინი, ტ. ტუზოვა, დ. მამატკანოვი

ყირგიზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წყლის რესურსებისა და ჰიდროენერგეტიკის ინსტიტუტი ქ. ბიშკეკი, ყირგიზეთი

განხილულია მყინვარული ლითოგენეზის აკუმულაციური და ეროზიული ფაქტორები. მდნარი წყლებით მყინვარის გარეცხვის ენერჯის მიხედვით გამოყოფილია მორენულ-მყინვარული კომპლექსის ექვსი ტიპი ტიან-შანზე. შემოთავაზებულია მორენულ-მყინვარული კომპლექსის ტიპის მიხედვით განისაზღვროს მყინვარის რეგრესიის სტადია და გაკეთდეს მისი შემდგომი განვითარების პროგნოზი.

საკვანძო სიტყვები: ტიან-შანი, მორენულ-მეინვარული კომპლექსი, მეინვარული ლითოგენეზი, რეგრესიის სტადიები.

გარემოს დაცვა

თანამედროვე გეოტექნოლოგიური პროცესების ზეგავლენა ეკოსისტემაზე „ტრასეკა“ მშენებლობის ზონაში და მათი რეგულირება

ზ. ვარაზაშვილი, გ. ჩახაია, ს. მოდებაძე, ი. ხუბულავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ქ. თბილისი, საქართველო

წარმოდგენილი სტატია ეხება სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის – „ტრასეკა“-ს მშენებლობის და გავლენის ზონაში მიმდინარე თანამედროვე გეოტექნოლოგიურ პროცესებს, მათი წარმოშობის მიზეზებს, გავრცელების და განვითარების პირობებს. აღწერილია ამ პროცესების უარყოფითი ზეგავლენა ადგილობრივ ეკოსისტემაზე. სტატია მიზნად ისახავს საფუძველი ჩაუყაროს და ხელი შეუწყოს საქართველოში გეოტექნოლოგიური პროცესების აღნუსხვის, მონიტორინგისა და მართვის პრინციპების შემუშავებას.

საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგიური გარემო, ეკოსისტემა, ნიადაგის ეროზია, სენსიტიური უბნები, ტრასეკა.

გარემოს დაცვა

საქართველოს მიწის რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგიის ახალი მიდგომა

მ. ვართანოვი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ქ. თბილისი, საქართველო

განხილულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, მათ შორის სარწყავი ფართობების, გამოყენების დინამიკა. აპრობირებულია საქართველოს სხვადასხვა კატეგორიის მიწების სახალხო-სამეურნეო შეფასების ახალი მიდგომა. გაკეთებულია დასკვნა სასოფლო-

სამეურნეო სავარგულების მაღალეფექტური გამოყენების, ეკოლოგიური უსაფრთხოების, ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგის მდგრადი ფუნქციონირების აუცილებლობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მიწის რესურსები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ეკონომიკური შეფასება.

ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია

მდინარე ხადის-ხემის ჰიდროლოგია და ჰიდროგრაფია

ი. ზაქაიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ქ. თბილისი, საქართველო

